საქ. კ. პ. ც. კ.-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი—
სკკპ ც. კ.-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის
ინსტიტუტის ფილიალი

რ. იმნაიშვილი

კამო

(ბიოგრაფიული ნარკვევი)

★

სახელგამი
1955

წინასიტყვაობა

წინამდებარე ბროშურა წარმოადგენს კამოს ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევს. იგი მიზნად ისახავს ამ შესანიშნავი მებრძოლი ბოლშევიკისა და პროფესიონალური რევოლუციონერის მოღვაწეობა გააშუქოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ფონზე, პარტიული ორგანიზაციების მუშაობასა და მშრომელ მასებთან უშუალო კავშირში.

ბიოგრაფიული ნარკვევი დაწერილია საარქივო დოკუმენტების, მემუარული მასალებისა და სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების საფუძველზე.

ნარკვევი დაწერა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ მუშაკმა რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა.

სკკპ ცკ-თან არსებული
მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ისათვის, და პარტიულმა მოღვაწეებმა იციან, რომ ჩემ მიერ შესრულებული ყოველი ახალი აქტი იყო წმინდა პარტიული და, რაც მთავარია, მოკლებული პირად ანგარებას" [1].

* *
*

კამო — სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი დაიბადა 1882 წლის 28 მაისს ქალაქ გორში. მისი მამა არშაკ ნერსეს ძე ტერ-პეტროსიანი მოიჯარადრე იყო. ოჯახში პატარა სიმონის გარდა ქალიშვილები ჰყავდათ: ჯავაირა, არუსიაკა, სანტუხტა და ლუსია. დედა გვამრჯე და შრომისმოყვარე დიასახლისი მარიამ ანდრიას ასული აივაზოვა განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა შვილების აღზრდას და ცდილობდა მათთვის საკმაო განათლება მიეცა.

შვიდი წლის კამო, მცირეოდენი წინასწარი მომზადების შემდეგ, გორის საქალაქო სასწავლებელში მიაბარეს.

სკოლაში გამეფებული იყო იეზუიტური რეჟიმი, ერთფეროვნება და რუტინა. კამოს ბუნება ამას ვერ შეეგუა. მისი ყურადღება ვერ მიიზიდა საგნების მედავითნურმა სწავლებამ, რაშიაც რელიგიას ყველგან დახავსებულობის, უმოძრაობისა და დოგმატიზმის მკვდარი სული შეჰქონდა. კამო თავიდანვე მკვირცხლი, მოხერხებული, უშიშარი და თანაც მეტად თავმდაბალი ბავშვი იყო; უყვარდა ცოცხალი თამაშობანი, კრივი, ბურთაობა და სხვა. ჯერ კიდევ ძალიან პატარა, იგი გაუამხანაგდა კალატოზების, მღებრების, ღარიბთა შვილებს და მათ შორის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

8 — 9 წლის კამო კითხულობს მაინ-რიდის წიგნებს, გატაცებულია ფანტასტიკური გმირების თავგადასავალით, დიდი სიყვარულით სწავლობს ისტორიასა და გეოგრაფიას, 15 წლის ასაკში კი მონდომებითა და გატაცებით ეწაფება რუსული ლიტერატურის კლასიკოსებს. კამო ამ პერიოდში თუმ-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 4, გვ. 1.

ცა არ იცნობს პოლიტიკურ მოძრაობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ღრმა სიმპათიით არის გამსჭვალული ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მიმართ.

სასკოლო რეჟიმისადმი პროტესტანტული დამოკიდებულება კამომ სწავლის დასაწყისიდანვე გამოამჟღავნა. ერთხელ იგი სკოლიდანაც კი დაითხოვეს, მაგრამ მდგომარეობა არც ამის შემდეგ შეცვლილა. რეაქციონერი მასწავლებლები კვლავ ამჩნევდნენ კამოში სიძულვილს სკოლაში გამეფებული შეზღუდულობის მიმართ, მის მახვილ გონებას, გულწრფელ და უანგარო სიყვარულს თავისუფლებისადმი. კამოს სკოლაში დატოვება შეუძლებლად ჩათვალეს და 1898 წელს იგი სასწავლებლიდან გარიცხეს.

ამის შემდეგ კამომ გადაწყვიტა სწავლა შინ განეგრძო. იგი ხშირად 12 — 14 საათს კითხულობდა, მაგრამ მალე მის ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა — დედის გარდაცვალებამ და ოჯახის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნამ — აიძულეს კამო ხელი აეღო ამ მიზნის განხორციელებაზე. 1901 წელს კამომ დატოვა გორი და საცხოვრებლად გადავიდა თბილისში თავის დეიდა ელისაბედ ბახჩიევთან.

ამ პერიოდის თბილისი წარმოადგენდა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად კერას კავკასიაში. აქ ზედიზედ ეწყობოდა მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები. თბილისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს 1899 წლის 19 აპრილისა და 1900 წლის 23 აპრილის არალეგალურ საპირველმაისო მიტინგებს, თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს გრანდიოზულ გაფიცვას და სხვ. რევოლუციონური მოძრაობის შემდგომი ზრდის მიზნით დიდი მუშაობა გაჩაღდა: იქმნებოდა მუშათა წრეები, ჯგუფები, ტარდებოდა ფარული კრებები და სხვ. სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ფართოდ გაშალა რევოლუციური პროპაგანდა. იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა არალეგალური ფურცლები და პროკლამაციები.

მარქსისტული აგიტაციის უმნიშვნელოვანეს ძალას ადგილობრივ ქართველ პროპაგანდისტებთან ერთად წარმოადგენ-

დნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული მუშა სოციალ-დემოკრატები: მ. კალინინი, ს. ალილუევი, ნ. ვიგორბინი, ფ. მაიოროვი, ი. კოჩეტკოვი და სხვები. მარქსიზმის პროპაგანდის საქმეში ფართოდ იყენენ ჩაბმული მოსწავლე ახალგაზრდებიც. ნაყოფიერი სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული თბილისის პროლეტარიატის ბრძოლამ, რომელსაც სათავეში ედგა ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ი. ბ. სტალინის, ვ. კ. კურნატოვსკის, ვ. ზ. კეცხოველის, ა. გ. წულუკიძის და სხვათა შემადგენლობით 1900—1901 წლებში შეგნებული, აშკარა კლასობრივი ბრძოლის ხასიათი მიიღო.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია 900-იან წლებში განიცდიდა არალეგალური ტექნიკის დარგში მომუშავე კადრების ნაკლებობას. დიდი სიძნელეები იქმნებოდა დაქსაქსული პარტიული ჯგუფების ურთიერთ დაკავშირება-გაერთიანების, არალეგალური გაზეთის, ბროშურების, პროკლამაციების ბეჭდვა-გავრცელებისა და საერთოდ პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობის ფართოდ გაშლის საქმეში.

პარტიას ესაჭიროებოდა ცოცხალი, ენერგიული, გამჭრიახი, რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლები, მოხერხებული ტრანსპორტიორები, მბეჭდავები, მეკავშირეები და სხვ., რომლებსაც საკმაო უნარი ექნებოდათ მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების უზრუნველსაყოფად საჭირო ტექნიკურ სამუშაოთა განხორციელებისათვის.

ასეთი მუშაობა ცარიზმის დესპოტურ პირობებში უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული: მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის გაძლიერებასთან ერთად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა რეპრესიები და რევოლუციონერთა პოლიციური დევნა. თბილისი სავსე იყო ჯაშუშებითა და პროვოკატორებით. 1901 წლის მარტის მეორე ნახევარში პოლიციამ ახალ რეპრესიებს მიმართა. 21 მარტს გაჩხრიკეს სტალინის ბინა ფიზიკურ ობსერვატორიაში (სტალინი ვერ დააპატიმრეს იმის გამო, რომ იგი ამ დროს

ბინაში არ იმყოფებოდა). ამავე დღეს დააპატიმრეს რუსი მარქსისტი, ლენინის მტკიცე მიმდევარი, მისი იდეების გამტარებელი ვ. კურნატოვსკი და თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის მთელი რიგი აქტიური წევრები. მუტეხის ციხე და საგუბერნიო საპყრობილე ავსებული იყო რევოლუციონერებით, მათ მოსათავსებლად ადგილი აღარ ჰყოფნიდათ და ახალ დაპატიმრებულთ სამხედრო საპატიმროში აგზავნიდნენ.

თბილისში ჩამოსვლამ და აქ გაჩაღებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ უდიდესი გავლენა მოახდინა კამოზე, იგი გატაცებით ჩაება პოლიტიკურ ბრძოლაში, გახდა ერთი იმ რევოლუციონერთაგანი, რომლებისათვისაც მომავალი აწმყოზე უფრო რეალური იყო. მ. გორკის მიერ სპეციალურად კამოს შესახებ დაწერილი ეტიუდის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ ადამიანებს „რევოლუციური მუშაობის გარეშე მთელი სინამდვილე, რომელშიაც მათი კლასი ცხოვრობს,.. რაღაც ცუდი სიზმრის, კოშმარის მინამსგავსად ეჩვენებათ, ხოლო რეალური სინამდვილე, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ, მათთვის სოციალისტური მომავალია“ [1]. ამიერიდან კამოს სიცოცხლე მუდმივ საფრთხეში იმყოფებოდა, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო დაპატიმრება, გადასახლება და დახვრეტაც კი. მიუხედავად ამისა, ცხოვრება, რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის შემდგომ, კამოსათვის უფრო შინაარსიანი და მიმზიდველი გახდა. „მე, — ამბობდა იგი, — ვარ მშრომელი ხალხის შვილი, მათში აღვიზარდე, ამიტომაც მივანებე თავი „სატერტეროდ“ მზადებას და ახლა ხალხის საკეთილდღეოდ სწავლას შევუდექი. მე მზად ვიქნები ყოველთვის დაუზარებლად შევასრულო დავალებანი. მე მწყურია, რომ მუშა ხალხს ვემსახურო და თუ საქმე მოითხოვს, შევეწირო კიდეც“ [2].

კამოს დაახლოება სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან და მისი ჩაბმა პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობაში სწრაფად მოხდა; ამ დაახლოებას ხელი შეუწყო კამოს დეიდის — ელისა-

---

[1] მ. გორკი, თხზ., ტ. 17, გვ. 344, 1952 წ.

[2] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 93 (11), საქმე 418, გვ. 17.

ბედ ბაბჩიევას გადაწყვეტილებამაც, რომ სასწავლებელში შესასვლელი გამოცდებისათვის მომზადების მიზნით თავისი დისშვილი სამეცადინოდ მიებარებინა გორელ თანამემამულე ახალგაზრდების — სემინარიის მოსწავლეების გიგო გოძიევისა და გიორგი ვარდოიანისათვის.

თბილისის სასულიერო სემინარია ამ დროს სავსე იყო სხვადასხვა ფარული წრეებითა და ჯგუფებით. რევოლუციურად განწყობილ მოსწავლეთა შორის თავიანთი აქტივობით გამოირჩეოდნენ გორიდან ჩამოსული ახალგაზრდები: მ. დავითაშვილი, გ. ელისაბედაშვილი, გ. პარკაძე, დ. სულიაშვილი, დ. ლუკაშვილი და სხვები, რომლებსაც უკვე საკმაო მარქსისტული მომზადება ჰქონდათ და რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ი. ბ. სტალინთან, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ პარტიულ ჯგუფთან, მუშაობდნენ არალეგალურ ორგანიზაციებში და ფართო პროპაგანდას აწარმოებდნენ მუშათა რევოლუციურ წრეებში. თავისი მასწავლებლებისა და სხვა ნაცნობ გორელ სტუდენტთა საშუალებით, რომლებიც ჩაბმული იყვნენ რევოლუციურ მოძრაობაში და რომლებთანაც ხშირად იკრიბებოდნენ სემინარიაში მოსწავლე რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები, კამო სწრაფად, 1901 წლის დასაწყისშივე, დაუახლოვდა სემინარიელთა არალეგალურ წრეებს, გაეცნო ი. ბ. სტალინს და უშუალოდ ჩაება თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში. რევოლუციური გათვითცნობიერების მიზნით, საკუთრივ მისი სიტყვებით კი „ჭკუის სასწავლად", კამო რეგულარულად ესწრებოდა მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული წრეების ფარულ შეკრებებს, გატაცებით კითხულობდა პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, რომელსაც ურჩევდა და რომლითაც სისტემატურად ამარაგებდა მას ი. ბ. სტალინი. ი. ბ. სტალინთან შეხვედრებმა უდიდესი გავლენა მოახდინა კამოზე, რომელიც შემთხვევით როდი ამბობდა: „სტალინს რომ შევხვდი, მას შემდეგ გავსოციალისტდიო" [1].

---

[1] „მგზნებარე რევოლუციონერი", გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1935 წ., 10 თებერვალი, № 35.

არალეგალურ მუშაობასთან ერთად კამო განაგრძობდა მეცადინეობას — სწავლობდა მათემატიკასა და რუსულ ენას. აღსანიშნავია, რომ სწორედ რუსული ენის გრამატიკაში მეცადინეობის დროს, არსებითი სახელის ბრუნებათა ფორმების შესწავლის სიძნელეებთან დაკავშირებით მიიღო მან თავისი პარტიული სახელი — „კამო“, რომელიც მას ი. ბ. სტალინმა შეარქვა, ამაზე მოგვითხრობს კამოს შესახებ დაწერილი მრავალი მოგონება. კამოს მასწავლებელი გიგო გოძიევი თავის მოგონებაში აღნიშნავდა, რომ კამო „...რუსულ ენაში... მეცადინეობის დროს, როცა არსებით სახელს აბრუნებდა, მიცემითი ბრუნვის კითხვა „кому“-ს მაგივრად თითქმის სულ მუდამ „камо“-ს ამბობდა. ამ ამბავს ბევრჯერ დასწრებია ამხანაგი სოსო, ბევრი უცინია კამოს ასეთი გამოთქმის გამო, რის შემდეგ მას „კამო“ დაარქვა“ [1].

ამის შემდეგ პროლეტარიატისათვის თავდადებულ მებრძოლს, სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანს კამოს სახელით იცნობენ.

არალეგალურ წრეებში მეცადინეობასთან ერთად კამომ თავიდანვე მოჰკიდა ხელი პრაქტიკულ-რევოლუციურ საქმიანობას. იგი არაერთხელ ამბობდა, რომ „მხოლოდ ის, ვისაც შეუძლია და სურვილიც აქვს გააკეთოს პატარა საქმე, გააკეთებს დიდ საქმესაც. ვინც ამჟამად წვრილმანებს არ აკეთებს, მას მომავალში დიდი საქმის გაკეთება არ შეუძლია“ [2]. მართლაც, კამო თავდაპირველად ასრულებდა ამხანაგების მცირე დავალებებს, გებულობდა, სად იმართებოდა კრებები, ატყობინებდა მათ მონაწილეებს მისამართს, გადაჰქონდა არალეგალური ლიტერატურა, სასტამბო მოწყობილობა და სხვ. კამოს ადრინდელი პერიოდის მოღვაწეობისა და მუშათა მოძრაობაში მის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯების შესახებ ძველი რევოლუციონერის გ. მიკირტუმოვის მოგონებაში ვკითხულობთ: „კამო მე გავიცანი პირველად ჩემს ბინაში, ბებუთოვის ქუჩაზე, არსენიევის ჩიხი № 20-ში, სადაც

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 34, საქმე 411, გვ. 4.

[2] იქვე, კამოს პირადი ფონდი, საქმე 1, გვ. 5.

ის მოიყვანა ახალგაზრდა იატაკქვეშელმა ს. დ. ვარ-დოიანმა (ისიც გორელი იყო), მას ეცვა მოსწავლის რუხი ფერის ხალათი უქამროდ... და შესანახად მოიტანა შეხვეული იატაკქვეშა სასტამბო დაზგა. ის გამოიყურებოდა ნათელი, კამოსათვის დამახასიათებელი მბრწყინავი სახით, ლაპარაკობდა ცოტას. ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1901 — 1902 წლები. როგორც ჩანდა, კამო ეს-ეს იყო იწყებდა თავის რევოლუციურ კარიერას. ამ დღიდან იგი დრო და დრო იწყებს ჩემს ბინაში სიარულს, ხან მოაქვს არალეგალური ლიტერატურა, ხან უკან მიაქვს, ხან კიდევ მხოლოდ ღამის გასათევად მოვა“ [1]. კამო ჯერ კიდევ ადრე, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, ამოწმებდა თანამებრძოლთა თვისებებს და მათ ვარგისიანობას მუშაობისათვის.

პოლიციისათვის თვალის ახვევის მიზნით კამო ხშირად იცვლიდა მორთულობას, ხან თავადი იყო, ხან გიმნაზიელი, კინტო, ინჟინერი და სხვ. ა. წულუკიძის დედინაცვალი მარიამ წულუკიძე იგონებს: „ხშირად მოვიდოდა ჩვენსას კამო სხვადასხვა ტანსაცმელში გამოწყობილი — ხან კინტოური, ხან სტუდენტისა და ინჟინრის. ერთხელ თაბახით თავზე დადგმული გვესტუმრა და თევზების მაგიერ მოიტანა არალეგალური ლიტერატურა. მეორეხელ თითქოს ვაშლის გამყიდველად მოგვევლინა“ [2]. კამო ეუფლებოდა კონსპირაციული მუშაობის ჩვევებს და თანდათანობით სულ უფრო მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო და რთულ დავალებებს ასრულებდა.

1901 წლის დასაწყისისათვის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჯგუფმა დიდი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გაშალა საპირველმაისო დემონსტრაციის მოსაწყობად. შესანიშნავი პროკლამაციები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე განმარტავდნენ დემონსტრაციის, მაისობის

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 93(11), საქმე 418, გვ. 32 — 33.

[2] ბათუმის სახელმწიფო რევოლუციური მუზეუმის არქივი, ფ. 4, საქმე 11, გვ. 8.

მნიშვნელობას, მოუწოდებდნენ თბილისის ყველა ეროვნების მუშებს რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ფართო მონაწილეობა მიეღოთ მომავალ საპირველმაისო დემონსტრაციაში; რეგულარულად ტარდებოდა მუშათა საიდუმლო კრებები და სხვ.

თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯგუფის დავალებით კამო აქტიურ მონაწილეობას იღებდა საპირველმაისო დემონსტრაციის მოსამზადებლად გაშლილ მუშაობაში, აცნობდა მუშებს დემონსტრაციის ჩატარების წინასწარ გეგმას. კამოს მეტად საპასუხისმგებლო და ძნელი საქმე დაევალა — უზრუნველეყო თბილისის სხვადასხვა უბნებში დემონსტრაციის წინ დაბეჭდილი პროკლამაციების გავრცელება. ეს დავალება მან პირნათლად შეასრულა და სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად ასობით რევოლუციური ფურცელი წარმატებით გაფანტა ქალაქის თითქმის ყველა უბანსა და ქუჩაში. პროკლამაციების გავრცელების ერთ-ერთი ეპიზოდის შესახებ იმდროინდელი ბრძოლების მონაწილე, ძველი რევოლუციონერი სიმონ დავითის ძე ნატროშვილი გვიამბობს: „1901 წელს ვცხოვრობდი თბილისში ავჭალის (ახლა საბჭოს) ქუჩაზე... 17 აპრილს (ახალი სტილით 30 აპრილს) შუა დღის შემდეგ, ჩემთან მოვიდა ამხანაგი სოსო და მითხრა: — ამ საღამოს შენთან შესანახად მოიტანენ საპირველმაისო ფურცლებს და ხვალამდე უნდა შეინახოო... არ გავიდა საათიც, რომ კამომ და დათიკო კაპანაძემ ბოხჩაში შეკრული ფურცლები შემოიტანეს და ერთ-ერთ კედელში დატანებულ განჯინაში ჩაყარეს. მაგონდება, მათ რამდენიმე გზობა გააკეთეს და განჯინა ფურცლებით გაავსეს, 18 აპრილს (ახალი სტილით 1 მაისს), დილით ადრე, იმავე კამომ, კაპანაძემ და სხვა მუშებმა ჩემი ოთახიდან გაიტანეს ფურცლები და გაფანტეს ქალაქში“ [1].

დემონსტრაცია ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მომზადდა. წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით დანიშნულ

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 34, საქმე 129, გვ. 21 — 22.

ღღეს — 1901 წლის 22 აპრილს სალდათის ბაზრის რაიონში შეგროვდა 3000-მდე მუშა. გაისმა პოლიტიკური სიტყვები, აფრიალდა წითელი დროშა. მ. ბოჭორიძესთან, ზ. ჩოდრიშვილთან, გ. თელიასთან, ნ. ვიგორბინთან და სხვა მოწინავე მუშებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა კამოც. 22 აპრილს გამართულ დემონსტრაციას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ლენინური „ისკრა“ მიუთითებდა, რომ ეს იყო ისტორიულად ღირსშესანიშნავი მოვლენა, „აშკარა რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი კავკასიაში“ [1]. მუშების შეუპოვრობა და თავდადება აშკარად მეტყველებდა, რომ თბილისის პროლეტარიატში სულ უფრო და უფრო მეტად მტკიცდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა მძლავრი რევოლუციური ნებისყოფა.

საპირველმაისო დემონსტრაციის ჩატარების დღეს კამომ ახალი მეტად საპასუხისმგებლო დავალებაც შეასრულა. 22 აპრილს არტისტული საზოგადოების თეატრში უნდა ეჩვენებინათ შექსპირის პიესა „ჰამლეტი“ სომხურ ენაზე. გაზეთები „კავკაზი“, „ცნობის ფურცელი“, „მშაკი“ და სხვ., რამდენიმე დღით ადრე იტყობინებოდნენ ამის შესახებ. მთავარ როლში გამოდიოდა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი იონესიანი. სპექტაკლს დიდძალი მაყურებელი დაესწრო. პარტიის დავალებით ამ საღამოს კამომაც გასწია თეატრისაკენ. წარმოდგენა 8 საათზე დაიწყო. კამო ავიდა ქანდარაზე და ელოდა იმ მომენტს, როდესაც ჰამლეტი თავისი მამის აჩრდილს ხედავს და როდესაც საზოგადოების მთელი ყურადღება სცენისკენაა მიპყრობილი. ამ დროს გადაისროლა მან ხუთასამდე ცალი პროკლამაცია ცენტრალური ჭაღის მიმართულებით. პროკლამაციები გაიფანტა და ძირს დაეშვა. შეიქნა დიდი აურზაური. მაყურებლებმა დაიტაცეს ფურცლები. ჟანდარმთა როტმისტრი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიმკაცრით, უდიერად ართმევდა მათ მოქალაქეებს. მან ერთი მაღალი წრის მანდილოსნისაგან კინაღამ სილა მიიღო. ამ უკანასკნელმა ზიზღით მიმართა მას: — თქვენ, წესი-

[1] გაზ. „ისკრა“, 1901 წ., ივლისი, № 6.

ერების დამცველო, რატომ დაუშვით ეს? ხოლო რაკი დაუშვით, რომ პროკლამაციები გადმოეყარათ, მაშინ ნება მოგვეცით წავიკითხოთ. კამომ ისარგებლა არეულობით, დასტოვა თეატრი, გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს, გაჩერდა გოლოვინის პროსპექტზე და უყურებდა, როგორ ჩხრეკდნენ პოლიციელები ყველას, ვინც კი გამოდიოდა თეატრიდან, როგორ იჭერდნენ ისინი „საეჭვო“ პირებს. კამო ხედავდა ამას და დასცინოდა მოტყუებულ პოლიციას.

საპირველმაისო დემონსტრაციის შემდგომი პერიოდი კამოს ცხოვრებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებითაა აღსავსე.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთში დაწყებულმა სამრეწველო კრიზისმა გამოიწვია მუშათა კლასის საარსებო დონის მკვეთრი დაცემა, მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება, მაგრამ, მეორე მხრივ, მან ბიძგი მისცა 900-იან წლებში პროლეტარიატის მზარდ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც სულ უფრო მწვავე, შეგნებული, პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს იღებდა და დღის წესრიგში აყენებდა ახალი ტიპის პარტიის შექმნის საკითხს.

ცარიზმის უსასტიკესი რეჟიმის პირობებში ახალი ტიპის რევოლუციური, მარქსისტული პარტიის შექმნის გრანდიოზული საქმის განხორციელებას, დიდი სიძნელეების მიუხედავად, ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა.

პროლეტარული პარტიის მშენებლობა რუსეთში დაიწყო პოლიტიკური, მარქსისტული ორგანოს — ლენინური „ისკრის“ შექმნით, რომელიც რეგულარულად გამოდიოდა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცალკეულ წრეებთან, სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებთან, სძლევდა იმ დროს პარტიისათვის დამახასიათებელ იდეურ დაქსაქსულობას, ორგანიზაციულ კუსტარულობას, თავს უყრიდა, რაზმავდა პარტიულ ძალებს ადგილებზე და ამზადებდა მათ მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში.

კავკასიელი ბოლშევიკები ი. ბ. სტალინის, ლ. კეცხოველის, ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით და ამიერკავკასიაში გადმოსახლებული რუსი მარქსისტების აქტიური მონაწილეობით მტკიცედ ახორციელებდნენ პარტიის აგების ლენინურ გეგმას, თანმიმდევრულად იცავდნენ გაზეთ „ისკრის“ პოზიციებს, დაუღალავად იბრძოდნენ არალეგალური პოლიტიკური, მარქსისტული გაზეთის გამოცემისა და პარტიული ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცებისათვის ადგილებზე.

პარტიული მშენებლობის წარმატებით განხორციელების მიზნით ვ. ი. ლენინს განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან.

ვ. ი. ლენინის იდეური ხელმძღვანელობით ი. ბ. სტალინმა და თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯგუფის მიერ ბაქოში მივლინებულმა ლადო კეცხოველმა ჯერ კიდევ ადრე, 1901 წლის სექტემბერში გამოუშვეს ქართული არალეგალური პოლიტიკური გაზეთის — „ბრძოლის“ პირველი ნომერი. სწრაფად განხორციელდა აგრეთვე არალეგალური ფურცლების, პროკლამაციების, ბროშურების, წიგნებისა და სხვ. გამოცემის დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმე. გაჩნდა გაზეთები, ბროშურები, ჩინებულად დაწერილი პროკლამაციები რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე და სხვ.

1901 წლის 11 ნოემბერს სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კონფერენციაზე არჩეულ იქნა თბილისის ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტი, ამავე წლის დეკემბერში შეიქმნა ბათუმის კომიტეტიც.

კამო დიდ დახმარებას უწევდა ბათუმის პარტიულ ორგანიზაციას არალეგალური ლიტერატურის, ფურცლებისა და პროკლამაციების ბეჭდვის მოგვარებაში, რასაც სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის ამ მეორე სამრეწველო ცენტრის პროლეტარიატის რევოლუციური გათვითცნობიერებისა და ახლად ჩამოყალიბებული ადგილობრივი ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის განმტკიცების საქმეში.

სტამბის ორგანიზაციისა და საბეჭდი მოწყობილობისათვის 1902 წლის თებერვალში ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა ი. ბ. სტალინი. კამო იგონებს: სტალინი „თბილისში ჩამოვი-

და, რათა გადავეყვანე ბათუმში სამუშაოდ. მაგრამ მარტის ამბების შემდეგ ის დაიჭირეს, მე კი თბილისში დავრჩი"[1]. თბილისში ყოფნის დროს ი. ბ. სტალინი კამოს დეიდის ე. ბახჩიევას კონსპირაციულ ბინაში (აბას-აბადის ქუჩა სახლი № 9) ცხოვრობდა. აქვე დაავალა ი. ბ. სტალინმა კამოს ეშოვა ბათუმის არალეგალური სტამბის ორგანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობა. ეს დავალება მან მალე შეასრულა.

1903 წლის იანვარში, საგლეხო რეფორმის წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით, რსდმპ თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით ფართო მუშაობა გაჩაღდა. მზადდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო დემონსტრაცია. არალეგალური ლიტერატურის, პროკლამაციებისა და ფურცლების გავრცელების საქმეში მოსწავლეებიც ჩაებნენ. რევოლუციური წრეები ამ პერიოდისათვის შექმნილი იყო თბილისის თითქმის ყველა სასწავლებელში: — მიწისმზომელთა სკოლაში, ტექნიკურ სასწავლებელში, ქალთა პირველ, მეორე და მესამე გიმნაზიაში, საფერშლო სკოლაში და სხვ. მათ მუშაობას ხელმძღვანელობდა თბილისის სკოლების მარქსისტთა წრეების სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარტიულ ცენტრთან. „მეკავშირედ" გამოყოფილი იყო კამო, რომელსაც მოჰქონდა არალეგალური ლიტერატურა, ჰბარდებოდა მოწაფეთაგან შემოსული საწევრო თანხები; კამოს საშუალებით მოსწავლეები იგებდნენ მუშათა წრეების მისამართს, იმ ამხანაგის სახელს, ვინც წაიყვანდა მათ წრეში სამუშაოდ, მოსალოდნელი დემონსტრაციის ადგილს, დროს, სად გაიფიცნენ, როგორ მიმდინარეობს გაფიცვა და სხვ. მაგრამ კამო მხოლოდ „მეკავშირე" როდი იყო. ს. ორჯონიკიძე, რომელიც ამ დროს საფერშლო სკოლაში სწავლობდა და უშუალოდ იყო დაკავშირებული კამოსთან, როგორც მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელი, იგონებს: კამო საკუთარ მოვალეობად სთვლიდა აეხსნა ჩემთვის რო-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 1, გვ. 2.

გორ გავმხდარიყავი ბოლშევიკი, როგორ მებრძოლა პროლეტარიატის ინტერესებისათვის[1]. კამო უნერგავდა მოსწავლეებს რევოლუციისადმი სიყვარულის გრძნობას, ასწავლიდა მათ კონსპირაციული მუშაობის მეთოდებს, მისი დავალებით მოსწავლე ახალგაზრდები წარმატებით ასრულებდნენ თეატრებში, სადარბაზო შესასვლელებში და ქალაქის სხვადასხვა რაიონში პროკლამაციების, ფურცლების გაფანტვის ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეს.

იმის გამო, რომ 19 თებერვალი სამუშაო დღეს ხვდებოდა, თბილისის კომიტეტმა გადაწყვიტა დემონსტრაცია კვირისათვის — 23 თებერვლისათვის გადაეტანა; საგლეხო რეფორმის წლისთავის დღეს, 19 თებერვალს კი სპეციალურად ამ თარიღისადმი მიძღვნილი პროკლამაციები უნდა გაევრცელებინათ. კამო გ. თელიასთან ერთად წარმატებით ავრცელებდა პროკლამაციებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა დემონსტრაციის მომზადების საქმეში.

აღნიშნული დემონსტრაციის ჩატარებაც გარკვეული გეგმით მოხდა. დემონსტრაციის წინ კამოს ამგვარი წინადადება წამოუყენებია: „მუშებს ბლომად უნდა დაეჭირათ მტრედები და მათთვის ფეხებზე მოებათ პაპიროსის წითელი ქაღალდი. იგი ვარაუდობდა, რომ პოლიცია, დაინახავდა თუ არა წითელქაღალდებიან მტრედებს, დაიბნეოდა, მათ აუტეხდა სროლას, დემონსტრანტებს კი საშუალება მიეცემოდათ უფრო დიდხანს შერჩენოდნენ ქუჩას. კამოს გეგმა არ მიიღეს, მაგრამ იმ იდეის შთაგონებით, როგორც კამო აღნიშნავს, ამხანაგებმა გადაწყვიტეს ეყიდათ საბავშვო საჰაერო ბურთები, მიებათ მათთვის წითელი ბარათები და მასზე მიეპყროთ ყურადღება“[2].

23 თებერვალს თბილისის პროლეტარიატი ქალაქის ქუჩებში გამოვიდა გაშლილი წითელი დროშებითა და ლოზუნგებით, რომლებზედაც ეწერა: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს რვასაათიან სამუშაო დღეს!“ ამ დროს თბილისის პოლიცმეისტრად ცნობილი შავ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 20 ივლისი, № 164.

[2] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 1, გვ. 2.

რაზმელი კოვალიოვი იყო, როდესაც კამომ, რომელიც დემონსტრაციას მიჰყვებოდა, გაბედულად ჩაუარა წინ, კოვალიოვმა[1] მკაცრად მიმართა: მოშორდი აქაურობას, თორემ დაგაპატიმრებო. კამო შევიდა სახლში, გადაიცვა და როცა გამოვიდა, პოლიცმეისტერმა ვეღარ იცნო იგი. სწორედ ამ დროს ვიღაცას მოასვენებდნენ. კამოს ქაღალდის დროშა ჰქონდა. მან გამოიყენა ერთ-ერთი ამხანაგის მიერ სანერგეში ნაყიდი პატარა ალუბლის ხე, აღმართა მასზე მიმაგრებული წითელი დროშა და სხვებთან ერთად შეერია სამგლოვიარო პროცესიის მონაწილე მასას. შეიქმნა საშინელი ალიაქოთი. ყველანი გაიქცა-გამოიქცნენ. მიცვალებული მარტოდმარტო დარჩა. პოლიციამ დაიწყო დემონსტრანტების შეპყრობა. კამო დროშასთან ერთად გადარჩა. პოლიციამ და ჟანდარმერიამ 60-მდე კაცი დააპატიმრა. ბევრი დაშავდა. თბილისის ქუჩები სისხლით მოირწყო.

დემონსტრაციის დროს მომხდარმა ამბებმა უდიდესი გავლენა იქონია კამოზე, გააძლიერა მისი სიძულვილი თვითმპყრობელობისადმი, ამის შემდეგ კამო კიდევ უფრო მტკიცედ ჩადგა დესპოტური ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში და ფართო მასშტაბის რევოლუციონერი გახდა. თავისი მოხერხებულობით, გამჭრიახი გონებით, საკმაო იუმორითა და ამხანაგებისადმი უბრალო, ქეთილი, მეგობრული დამოკიდებულებით კამომ თანამებრძოლთა უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა. იგი იცნობდა თითქმის ყველა ინტელიგენტ და მუშა რევოლუციონერს, განუწყვეტლივ დაჰქროდა ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში, იგებდა ახალ ამბებს, ესწრებოდა რევოლუციური ჯგუფების ფარულ შეკრებებს, ფანტავდა პროკლამაციებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. როგორც ჟანდარმერია ახასიათებდა, კამო ითვლებოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტიურ წევრად და „განთქმული იყო როგორც უაღრესად

---

[1] 1905 წ. ნოემბერ—დეკემბერში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის დროს მომხდარი შეიარაღებული შეტაკებისას კოვალიოვი მოკლულ იქნა ესერთა ტერორისტული ორგანიზაციის მიერ.

მკვირცხლი, ეშმაკი და მოხერხებული შემსრულებელი ყოველგვარი ტექნიკური რევოლუციური საქმეებისა"[1]. კამოს ცხოვრება მისაბაძი ხდებოდა. მან მცირე როლი როდი შეასრულა მრავალი ახალგაზრდისა და რიგითი პროლეტარის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

პოლიციის აგენტთა მოტყუება, მათ თვალწინ მრავალრიცხოვანი გაბედული რევოლუციური აქტების ჩატარება და სხვა გმირული, ფანტასტიკური ეპიზოდები ზრდიდა კამოს პოპულარობას და იგი, როგორც უაღრესად მოხერხებული, ჭკვიანი და თავდადებული რევოლუციონერი, თანდათანობით სულ უფრო სერიოზულ, რთულ და საპასუხისმგებლო პარტიულ დავალებებს იღებდა.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა კავკასიაში გადაჭრით მოითხოვდა დაქსაქსული პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებას. საჭირო იყო ამიერკავკასიის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა და ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის არჩევა. ი. ბ. სტალინი მაშინ პატიმრობაში იმყოფებოდა. ამის გამო ყრილობის მოწვევის საქმეს სათავეში ჩაუდგნენ მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ბ. კნუნიანცი, მ. ბოჭორიძე და კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

მზარდი მუშათა მოძრაობით დამფრთხალი თვითმპყრობელობა რეპრესიებს მიმართავდა. გამუდმებული დევნისა და ჟანდარმერია-პოლიციის მთელი აპარატის აქტივობის პირობებში ყრილობის მოსაწვევად საჭირო სამუშაოთა ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი მისი ტექნიკურ-ორგანიზაციული მხარეების მოგვარება, უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საჭირო იყო მეტად რთული და ძნელი ამოცანების გადაჭრა, სასტიკი კონსპირაცია, ფარული ბინის გამონახვა, კავშირის დამყარება სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციებთან. ყრილობის სხდომათა ადგილის დაცვა, თავდასხმის შემთხვევაში პოლიციასთან შეტაკებისათვის მომზადება და სხვა. აღ-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 31, საქმე 320, გვ. 1.

ნიშნულ სამუშაოთა უკეთ შესრულების მიზნით კავკასიის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ინიციატივით 1903 წლის დასაწყისს შეიქმნა პირველი ყრილობის მომწვევი სპეციალური საორგანიზაციო ბიურო.

კამო აქტიურად მონაწილეობდა ყრილობის მოწვევისა და ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფისათვის პარტიის მიერ დასახული თითქმის ყველა ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიების გატარებაში. ამ მუშაობის ერთ-ერთი ეპიზოდის შესახებ იგი შემდეგს იტყობინება: დაახლოებით 1903 წელს „მეტად მნიშვნელოვანი კონფერენცია (ყრილობა — რ. ი.) ღაინიშნა, რომელსაც ყველა რაიონის წარმომადგენლები უნდა დასწრებოდნენ. იმ ადგილის ახლო-მახლო კვარტალებს, სადაც კრება იყო დანიშნული, ჩვენი სადარაჯოები იცავდნენ. მე კი ჯგუფ-ჯგუფად, ორ-ორი, სამ-სამი კაცი შემყავდა კრების ოთახში“ [1].

კავკასიის კავშირის პირველმა ყრილობამ მოიწონა „ისკრის“ ტაქტიკური, პროგრამული, ორგანიზაციული მითითებები, მიიღო გადაწყვეტილება კავკასიის კავშირის შექმნის შესახებ და აირჩია კავკასიის კავშირის კომიტეტი. აღსანიშნავია, აგრეთვე, ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ კავკასიის კავშირს გამოეცა საკუთარი ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

კავკასიის კავშირის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის, საქართველოს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციებისა და თვითეული არალეგალური პარტიული მუშაკის ცხოვრებაში. კამოს მთელი შემდგომი მოღვაწეობაც ამიერიდან უშუალოდ უკავშირდება კავკასიის კავშირის კომიტეტს და პარტიის ცენტრალურ ორგანოებს. რომელთა მითითებები მისი რევოლუციური საქმიანობის ძირითადი საფუძველი იყო.

კავკასიის კავშირის კომიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რევოლუციური ღონისძიება იყო პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულის — პირველი მაისის დემონსტრა-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 1, გვ. 2.

ციისათვის მომზადება. ჯერ კიდევ ადრე, კავკასიის კავშირის დამფუძნებელი ყრილობის მიერ სპეციალურად მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის სამი მთავარი ქალაქის — თბილისის, ბაქოსა და ბათუმის პროლეტარიატი 27 აპრილს ქუჩებში უნდა გამოსულიყო და აღენიშნა თავისი დღესასწაული — პირველი მაისი.

კავკასიის კავშირის კომიტეტი ენერგიულად შეუდგა პირველი მაისისათვის მზადებას. დაიბეჭდა და ფართოდ გავრცელდა მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლები, ილუსტრაციები, სურათები, მოწოდებები და სხვ.

კამო მიხეილ ბოჭორიძესთან, არშაკ იაკუბოვთან, თეოფილე ჩიჩუასთან, ექვთიმე სართანიასთან და სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საპირველმაისო დემონსტრაციის მომზადებაში. თბილისის განაპირა უბნებში და ახლო მიდამოებში დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული. ფართო მასობრივ შეკრებებს ასობით მუშა ესწრებოდა; ვრცელდებოდა პროკლამაციები, მიმდინარეობდა ორგანიზაციულ-რევოლუციური მუშაობა, რომელშიც მთელი ენერგიით იყვნენ ჩაბმული კამო და პატარა არშაკა (ცნობილი რევოლუციონერის ა. იაკუბოვის პარტიული სახელი). ისინი ამ დროს ცხოვრობდნენ ქალაქგარეთ — კუკიაზე, თუმანოვისა და კრასნაია გორკას ქუჩაზე.

დაუღალავმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. საპირველმაისო დემონსტრაცია წარმატებით ჩატარდა. 27 აპრილს დილის 10 — 11 საათზე გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე შეიკრიბა თბილისის ფაბრიკა-ქარხნების 3000-მდე მუშა; გაისმა რევოლუციური სიტყვები, აფრიალდა წითელი დროშა. პოლიციამ და ჯარმა, შავრაზმელ ლავროვისა და კოვალიოვის ბრძანებით, ამჯერადაც დაარბიეს დემონსტრაცია. კავკასიის კავშირის კომიტეტი პროკლამაციაში „ვინ გაიმარჯვა“ — წერდა: „უსწორო ბრძოლამ 15 წამამდე გასტანა, ბევრი, ბევრი ამხანაგი დაგვიჩეხა ათით ერთზე მოსულმა მტერმა, 40-მდე დღესაც ციხეში იხარშება, მაგრამ მაინც ჩვენია, მეგობრებო, გამარჯვება. ეს შემკრთალი სახე ლავროვისა, სამარიდან ამოსული თვალები კოვალიოვისა და მათი

რაზმებისა, მაინც ვერ ეღირსა დემონსტრაციის ჩაფუშვას. მეორე მხრივ, მათ თვალწინ ამართული ჩვენი აჩრდილი, რომელმაც გაუფრთხო მათ ძილი 23 თებერვლიდან 27 აპრილამდე, რომელიც დღესაც და ყოველთვის მათ მეხით ემუქრება, — ყოველივე ეს მაჩვენებელია მათი თანდათანობითი დაცემისა, ჩვენი ძალის მომატებისა“ [1].

საპირველმაისო დემონსტრაციის წარმატებით ჩატარების შემდეგ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დიდი მუშაობა გააჩაღა საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებისათვის. ეს ამოცანა ადრეევე, ჯერ კიდევ კავკასიის კავშირის პირველ ყრილობაზე დაისვა, ამჯერად კი დღის წესრიგში მისი უშუალო პრაქტიკული განხორციელების საკითხიც დადგა.

კამო მისთვის ჩვეული ინიციატივითა და ენერგიით ჩაება საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებისათვის გაშლილ ძნელ და საპასუხისმგებლო მუშაობაში. მის მოვალეობას შეადგენდა პარტიული ორგანიზაციების მომარაგება შრიფტით და სხვა ტექნიკური მოწყობილობით. საბეჭდი დაზგების, შრიფტის, ქაღალდისა და სხვათა უქონლობა სერიოზულად აბრკოლებდა საქმეს. საჭირო იყო დაუღალავი მუშაობა, დაახლოება მბეჭდავ მუშებთან, ისეთ წყაროებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა სტამბების მოწყობილობის მიღება.

პარტიული ამხანაგებისა და ნაცნობი მუშების დახმარებით კამო სწრაფად უახლოვდება ქალაქის ლეგალურ სტამბებში მომუშავე მუშებს, რეგულარულ კავშირს ამყარებს მათთან და სულ მალე დიდი რაოდენობით იღებს შრიფტს, საბეჭდ მოწყობილობასა და სხვა მასალებს.

მარტიროსიანის პირველ სტამბაში (მიხაილოვის — ამჟამად პლეხანოვის — პროსპექტზე) მომუშავე ერთ-ერთი პროპაგანდისტის საშუალებით კამო დაკავშირებული იყო ასთამწყობ დავით ნერსესოვთან; მისივე დახმარებით უკავშირდებოდნენ მარტიროსიანის მეორე სტამბას, რომელიც იმყოფე-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 33, საქმე 55.

ბოდა ტერ-ასატუროვის სახლში ერევნის (ამჟამად ვ. ი. ლენინის) მოედანზე. შრიფტით და სხვა მოწყობილობით მომარაგებაში კამოს უდიდეს დახმარებას უწევდა, აგრეთვე, ამავე სტამბაში მომუშავე მისი ძველი მეგობარი, შემდეგში ავლაბრის არალეგალური სტამბის ასოთამწყობი მუშა ტიგრან ვახტანგოვი.

ქართული ამხანაგობის სტამბაში ამ დროს მუშაობდნენ ცნობილი რევოლუციონერები სერგეი ალილუევი, გიორგი ლელაშვილი, გიორგი თელია და სხვ. აქ ფართოდ გაიშალა მარქსისტული პროპაგანდა, მოეწყო მბეჭდავ მუშათა არალეგალური წრეები. სტამბის მუშები თანაუგრძნობდნენ რევოლუციონერებს და სისტემატურად ამარაგებდნენ პარტიულ ორგანიზაციას სასტამბო მოწყობილობით. ამასთან ერთად კამო თვითონაც ავალებდა ამ სტამბაში მომუშავეებს შრიფტისა და სხვადასხვა საბეჭდი მოწყობილობის გამოტანას.

მარტიროსიანი, ქართული ამხანაგობისა და ქალაქის სხვა ლეგალური სტამბებიდან გამოტანილი შრიფტი და სასტამბო მოწყობილობა ძირითადად კამოსთან იყრიდა თავს. კამოს უნდა მოეგვარებია აღნიშნული მასალების შესანახად გამოსადეგი კონსპირაციული ბინების, საწყობების გამონახვისა და მათი განაწილება-გამოყენების საქმეც. ამ ამოცანის შესრულება მეტად დიდ სიძნელეებს აწყდებოდა, მით უმეტეს 900-იან წლებში, როდესაც რეპრესიების შედეგად, საკმაოდ შეიზღუდა კონსპირაციული ბინების, საწყობების რაოდენობა, გაძნელდა ძველ ადგილებზე მათი დატოვება და ახლის გამოძებნა. კონსპირაციული ბინების ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვა მხრივაც — მასზე ბევრად იყო დამოკიდებული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მშენებლობისა და რევოლუციური მოძრაობის გაღვივების მიზნით გაშლილ საგამომცემლო, საწრეო-პროპაგანდისტულ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ სამუშაოთა წარმატებით განხორციელება.

შრიფტსა და სტამბის მოწყობილობას კამო სხვადასხვა ადგილას ინახავდა: ხარფუხში, სუფ-სარქისის ეკლესიის ეზოში, იოსებ და ტიგრან ვახტანგოვებთან, კუკიაზე — კრასნაია

გორკას ქუჩაზე და სხვ. მაგრამ ძირითადი საწყობი 1902—1903 წლებში ელისაბედ ბახჩიევას — კამოს დეიდის სახლის სარდაფი იყო.

კამო არა მარტო კრებდა და ინახავდა შრიფტსა და სასტამბო მოწყობილობას, არამედ კიდეც იყენებდა, ანაწილებდა მათ არალეგალური სტამბების მოსაწყობად; ეხმარებოდა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონში მომუშავე პარტიულ ამხანაგებს ბოლშევიკური არალეგალური სტამბების გამართვაში; პირადად აწყობდა ასეთ სტამბებს, საკუთარი ხელით ბეჭდავდა პროკლამაციებს, ბროშურებს, არალეგალურ ლიტერატურას და სხვ.

თბილისის მრავალეროვანი პროლეტარული მასისათვის ლიტერატურა მრავალ ენაზე იბეჭდებოდა, მაგრამ ავლაბრის მძლავრი არალეგალური სტამბის მოწყობამდე მკვეთრად იგრძნობოდა ლიტერატურის ნაკლებობა სომხურ ენაზე. კამომ ყურადღება მიაქცია ამას და 1903 წლის ზაფხულში ხარფუხის სუფ-სარქისის ეკლესიის შენობაში მცხოვრებ ამავე ეკლესიის დიაკონ იოსებ ვახტანგოვისა და მისი ძმის, ასოთამწყობ ტიგრან ვახტანგოვის დახმარებით აქვე ერთ-ერთ პატარა ოთახში მოაწყო ფარული სტამბა, რომელშიც სოციალ-დემოკრატიულ და სხვა არალეგალურ ლიტერატურას სომხურ ენაზე ბეჭდავდნენ. სტამბის საბეჭდი დაზგა კამომ თავისი ხელით ააწყო სხვადასხვა ნაწილებისაგან. დაზგა უნაკლოდ მუშაობდა და საათში იძლეოდა 100 ეგზემპლარ სუფთა ნაბეჭდს. გარკვეული გამოცდილების მიღებასთან და მუშაობის სიჩქარესთან ერთად ორ ადამიანს 250 ეგზემპლარის მოცემაც შეეძლო.

ამ სტამბამ დიდი მუშაობა გასწია 1903 წლის ზაფხულში სამხრეთ რუსეთის საგაფიცვო ბრძოლების პერიოდში.

გაფიცვა ბაქოში დაიწყო. ბაქოს მოჰყვა თბილისი, თბილისს კიევი, კიევს ელიზავეტგრადი, ბოლოს კი ოდესა. სამხრეთის მუშათა გრანდიოზული გაფიცვა ისეთ მოვლენას წარმოადგენდა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთელი შემდგომი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

საგაფიცვო ბრძოლების დროს მკაფიოდ იჩინა თავი ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვ. ეროვნების პროლეტარული მასების სოლიდარობამ. კამომ ენერგიული სააგიტაციო მუშაობა გააჩაღა სომხური პროლეტარული მასის რევოლუციური გათვითცნობიერებისა და თბილისის სხვადასხვა ეროვნების მუშათა ძმური, მეგობრული კავშირის განმტკიცებისათვის.

სამხრეთის საყოველთაო გაფიცვის დღეებში კამომ ტიგრან ვახტანგოვთან ერთად მის მიერ მოწყობილ ფარულ სტამბაში სომხურ ენაზე დაბეჭდა 20 — 25 ათასი ცალი პროკლამაციები: „რვა საათიანი სამუშაო დღე", „სახელმწიფო ხაზინა, ანუ მზაკვრული მექანიკა", „რა უნდა იცოდეს და ახსოვდეს ყოველ მუშას" და სხვ. კამო არა მარტო ბეჭდავდა, არამედ ჩვეული ოსტატობით ავრცელებდა კიდეც არალეგალურ ლიტერატურას, უამრავ მგზნებარე ფურცლებსა და პროკლამაციებს, რომლებიც კავკასიის კავშირის არალეგალურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლასთან" ერთად რევოლუციურ შინაარსს აძლევდნენ მუშების აღზრდას; მათი გავლენით თბილისის მრავალეროვანი პროლეტარიატი კიდევ უფრო ერთსულოვნად ირაზმებოდა ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ინტერნაციონალურ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ამავე წლის ივლისსა და აგვისტოში კამომ უამრავი ლიტერატურა შეაგროვა. მან სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად მოაწყო კავკასიის კავშირის კომიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა და ასეთივე, მხოლოდ უფრო მცირე ბიბლიოთეკები ქალაქის სხვადასხვა რაიონში. არალეგალური ლიტერატურის შესანახად გამოყენებული იყო კამოს დეიდის ე. ბახჩიევას ბინა. აგენტურისათვის ცნობილი იყო, რომ ბახჩიევას სახლი აბას-აბადის ქუჩაზე წარმოადგენდა არალეგალური, რევოლუციური ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად შესანახ ადგილს თბილისში.

კავკასიის კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით ივლისის საყოველთაო გაფიცვის შემდეგ კამოს, სხვა უფრო საპასუხისმგებლო დავალების მიღების გამო, მიანდეს მის მიერ

მოწყობილი სტამბის ლიკვიდაციის საქმე; სტამბის მთელი მოწყობილობა გადატანილ იქნა ქუთაისში, შემდეგ ჭიათურაში და გადაეცა ადგილობრივ კომიტეტს.

1903 წლის მაისში გამოვიდა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა". კავკასიაში სისტემატური ფართო პროპაგანდისტული მუშაობა გაიშალა. საქმის უკეთ მოსაწყობად საჭირო იყო მჭიდრო კავშირი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან და არალეგალური ლიტერატურით მომმარაგებელი ქსელის გაძლიერება. ამ მიზნით კავკასიის კავშირის კომიტეტმა ცნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა — პროფესიონალ-რევოლუციონერებისაგან გამოჰყო ტრანსპორტიორთა სპეციალური კადრები: კამო, ელისე ლომინაძე, მოსე კვარაცხელია, მარია სუვოროვა-ფეოდოროვა და სხვ., რომლებსაც დაევალათ „ისკრის", „პროლეტარაიტის ბრძოლის", რევოლუციური ბროშურების, პროკლამაციების, ფურცლების გავრცელება, როგორც თბილისში, ისე საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში.

კამოს ხშირად უხდებოდა ბაქოში მგზავრობა. 1903 წლის შემოდგომაზე, ბათუმში დაპატიმრების წინ, მან ბაქოდან ქუთაისში გადმოიტანა სამი ფუთი ლიტერატურა ქართულ და სომხურ ენებზე. სამგზავროდ ტრანსპორტიორს 25 მანეთი ეძლეოდა, მაგრამ კამო ძალიან ცოტას ხარჯავდა. მისი ანგარიშები მუდამ აკვირვებდა ამხანაგებს. მატარებლის ბილეთს იგი იშვიათად ყიდულობდა; ხშირად, თანხის დაზოგვისა და კონსპირაციის მიზნით, დაიმალებოდა სკამის ქვეშ და ისე მგზავრობდა. საჭმელს ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სჭამდა და, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ცდილობდა პარტიული თანხის დაზოგვას. არალეგალური ლიტერატურა კამოს წარმატებით გადმოჰქონდა ბაქოდან თბილისში, თბილისიდან ბათუმში, ფოთში, გორში და საქართველოს სხვადასხვა რაიონში; გარდა ამისა, იგი სისტემატურად აწვდიდა ადგილობრივ ორგანიზაციებს პარტიული ცენტრის გადაწყვეტილებებს, დირექტივებს, ხელმძღვანელი ამხანაგების მითითებებსა და სხვა ცნობებს.

ქუთაისში კამო უშუალოდ უკავშირდებოდა ა. წულუკიძის ოჯახს. კინტოს ტანისამოსში გამოწყობილი კამო თავზე თაბახით და თაბახზე ახალი თევზით, ძახილით: „რიბა!", „რიბა!", „რიბა!" შევიდოდა წულუკიძეების ეზოში, ნაწილ თევზს გაყიდდა, დანარჩენს სახლში შეიტანდა და თევზთან ერთად არალეგალურ ლიტერატურასაც მოხერხებულად გადასცემდა საშას. ტრანსპორტიორად მუშაობის დროს კამო ყოველმხრივ დახელოვნებული კონსპირატორი გახდა. გრიმის გაკეთება მან ისე კარგად ისწავლა, რომ შეხვედრისას ამხანაგებიც კი ვეღარ ცნობდნენ. კამოს მიერ შესრულებულ ყოველ აქტს თან ახლდა თავისებური მიმზიდველობა. იგი ხან ღარიბულად, გაჭუჭყიანებულ ტანისამოსში გამოწყობილი გლეხი იყო, კვერცხებიანი დიდი კალათით, ხან კოხტად ჩაცმული გიმნაზიელი პრიალა ჩემოდნით, ხან ბრწყინვალე თავადი, ინტელიგენტი და სხვ.

მიუხედავად ამისა ჟანდარმერიასა და პოლიციას შეუმჩნეველი არ დარჩათ კამოს საქმიანობა. ერთხელ, 1903 წლის 27 ნოემბერს, საღამოს, სადგურ ბათუმში თბილისის მატარებლიდან გადმოსული კამო, რომელსაც ხელში ეჭირა ჩემოდანი და დაწნული კალათი, საეჭვოდ მიიჩნია ოხრანკის წარმომადგენელმა, დააკავა და მიიწვია ჟანდარმთა სამორიგეო ოთახში. გასინჯვისას ჩემოდანი და კალათი გავსებული აღმოჩნდა არალეგალური ლიტერატურით: კავკასიის კავშირის ორგანოს გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის" რუსული, ქართული, სომხური ეგზემპლარებით, პროკლამაციებით და სხვ.

კამო დააპატიმრეს და მოათავსეს ბათუმის ციხეში. ამავე დღეს მის მიმართ აღძრეს საქმე სისხლის სამართლის წესდების მიხედვით.

გამოძიება კამოს პიროვნების გამორკვევით დაიწყო. ამ მიზნით ჟანდარმერიამ, ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწის მოთხოვნით, 1903 წლის 11 დეკემბერს გაჩხრიკა ტერ-პეტროსიანების სახლი ქალაქ გორში; კამოს მამას, არშაკ ნერსეს ძე ტერ-პეტროსიანს, უჩვენეს შვილის სურათი. იგივე სურათი უჩვენეს, აგრეთვე, ამიერკავკასიის

რკინიგზის სამმართველოს მოსამსახურეს, კამოს სკოლის ამხანაგს გაბრიელ სტეფანეს ძე წვენიევს, ამ უკანასკნელმა უარყო კამოსთან ნაცნობობა, მაგრამ მამამ, რასაკვირველია, იცნო შვილის სურათი და დაადასტურა, მისი პიროვნება. მდგომარეობა რთულდებოდა. ჟანდარმერია, რომელსაც სხვა მასალებთან ერთად ხელში ჩაუვარდა კამოს მიერ დაპატიმრების დროს საპირფარეშოში გადაგდებული პოლიტიკური შინაარსის ბარათი და რომლისთვისაც ნათელი გახდა კამოს ბათუმში ჩასვლის ნამდვილი მიზანი, გაფაციცებით ეძებდა კავშირს არალეგალურ ორგანიზაციებთან. მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. კამოს ორგანიზაციის არც ერთი წევრი არ დაუსახელებია, იგი სასტიკად უარყოფდა კავშირს პოლიტიკურ მოძრაობასთან და დაკითხვის დროს დაჟინებით იმეორებდა: „გორიდან წამოვედი სამსახურის საძებნელად... ჩემოდანი, ლიტერატურით სავსე, რომ აღმოჩნდა,... ვიღაც კაცმა მომცა, რომელმაც მთხოვა დავხმარებოდი, მაგრამ ის უკვალოდ გაქრა, მე კი ასე უდანაშაულოდ ჩავვარდი“ [1]. გორში ჩატარებული ჩხრეკის შედეგადაც საინტერესო ვერაფერი ნახეს. საქმე 1903 წლის 17 იანვარს დამთავრდა. ამავე დღეს იგი განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, ბოლოს კი, 1904 წლის 26 მაისს თბილისის სასამართლო პალატას. გამოძიებამ დაპატიმრების დროს აღმოჩენილი ნივთიერი მასალების გარდა ვერავითარი მნიშვნელოვანი ცნობები ვერ მიიღო. ამ პერიოდში ჟანდარმერიისათვის კამოს პარტიული სახელიც კი არ იყო ცნობილი. საქმეში კამო მარტო გადიოდა და არსებული მასალების საფუძველზე მას 3 წლის პატიმრობა მოელოდა. მაგრამ კამო არ ფიქრობდა სასჯელის მოხდას, პირიქით, დაპატიმრებისთანავე იგი უკვე გაქცევაზე ოცნებობდა, სურდა რაც შეიძლება მალე დაეღწია თავი საპატიმროსათვის, დაბრუნებოდა პარტიას და გადაშვებულიყო თვითმპყრობე-

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 1, გვ. 4. ამის შესახებ 1903 წლის ივნისში კამომ განცხადების სახით საჩივარიც კი გაუგზავნა თბილისის სასამართლო პალატას.

ლობის წინააღმდეგ გაჩაღებული რევოლუციური ბრძოლის ტალღებში.

გაქცევის პირველმა ცდებმა უშედეგოდ ჩაიარა. ჟანდარმის მოსყიდვა, რაც კამომ ჯერ კიდევ სადგურში სცადა, არ მოხერხდა. პირიქით, ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა, ამის გამო საპატიმროში იგი გაძლიერებული დაცვის ქვეშ გადაიყვანეს. ოთხი თვის განმავლობაში კამო ცალკე საკანში იჯდა, საიდანაც გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მიუხედავად ამისა, მას ხელი არ აუღია თავისი მიზნის განხორციელებაზე. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ საკანიდან, რომელშიაც ის მოათავსეს, მართლაც შეუძლებელია გაქცევა, კამო დაჟინებით მოითხოვდა საერთო საკანში გადაყვანას და მიაღწია კიდეც ამას. საერთო საკანში ორმოცამდე პატიმარი იჯდა. სიბინძურე, ციხის შემხუთავი ატმოსფერო, სისტემატური ავადმყოფობა, შიმშილობა, რასაც თან ერთვოდა უდიერი მოპყრობა ციხის ადმინისტრაციის მხრივ, დიდ პროტესტს იწვევდა პატიმრებში. ისინი უარს აცხადებდნენ საჭმლის მიღებაზე, აწყობდნენ გაფიცვებს. კამო პატიმართა ამ მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური იყო. მისი ინიციატივით 1904 წლის გაზაფხულზე მომზადდა ნიადაგი გასაქცევად. მოისყიდეს ყარაული, მაგრამ ცდა უშედეგოდ დამთავრდა, რადგან გაქცევის ღამეს პატიმართა ნაწილი ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. მალე ციებით დაავადების გამო კამოს დღეში ერთხელ სეირნობის უფლება მისცეს. სეირნობის დროს იგი დაწვრილებით ეცნობა ციხის მიდამოს, დაცვის ორგანიზაციას, ახერხებს კავშირის დამყარებას ბათუმის პარტიულ ორგანიზაციასთან და თითქმის მთლიანად შემუშავებული აქვს გაქცევის ახალი გეგმა. ციხის ეზოს ირგვლივ ერტყა აგურის გალავანი, რომლის სიმაღლე სამ მეტრს აღწევდა. მის ერთ მხარეს გიმნაზია იყო, მეორე მხარეს კი — ბულვარი. კამომ შეამჩნია, რომ გალავანს ერთ ადგილას აკლდა აგური; მცირეოდენი შეხტომით შესაძლებელი იყო ამ ადგილას ფეხის მოკიდება და მარჯვე, მოხერხებული კამარით კედელზე გადახტომა.

1904 წლის 17 სექტემბერს, დაახლოებით დღის 12 საათ-

ზე, მორიგი გასეირნებისას კამომ განახორციელა კიდეც თავისი გეგმა — ისარგებლა მცველი ჯარისკაცის ყურადღების მოდუნებით, იხელთა დრო, სწრაფად გადაეკვლო კედელს და მოახერხა მიმალვა. კამოს პირველი პატიმრობა დამთავრდა. თავისუფლება საპყრობილის შემდეგ — ასე ძლიერად, ასე სრულად არასოდეს არ განუცდია მას სიხარულის წარმტაცი გრძნობა.

გაქცევა მალე გაიგეს. მაშინვე საქართველოს ყოველ კუთხეში დაიგზავნა მიწერილობები[1]. პოლიციისა და ჟანდარმერიის აგენტებს ატყობინებდნენ გაქცეულის ნიშნებს, ნათესავთა მისამართს, მოითხოვდნენ მის დაუყოვნებლივ აღმოჩენასა და დაპატიმრებას. მაგრამ ოხრანკის ცდები უშედეგოდ დამთავრდა.

კამო ციხეში მიღებული მისამართით დაუკავშირდა ბათუმის კომიტეტის წევრებს და მალე თმაშეღებილი, თავადის ტანისამოსში გამოწყობილი, პარტიული ამხანაგების ე. ლომინაძისა და ვ. კალანდაძის დახმარებით თბილისში გაემგზავრა. მატარებელში იგი რომელიღაც მხიარულმექორწილეთა კამპანიას მიეკედლა, სადგურთან მიახლოებისას კი ისარგებლა შექმნილი არეულობით და სწრაფად მიიმალა.

თბილისში კამო დაუკავშირდა ი. ბ. სტალინს, მ. ცხაკაიას, მ. ბოჭორიძეს, ნ. ალაჯალოვას; იშოვა პასპორტი სიმონ ზოიძის გვარზე და ახალი ენერგიით ჩაება რევოლუციურ მუშაობაში.

მუშათა მოძრაობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნილება სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე. საჭირო შეიქნა დიდი მოცულობის სტამბების მოწყობა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის დადგენილებების საფუძველზე ჯერ კიდევ ადრე, 1903 წლის ბოლოს, ქალაქის განაპირა უბანში მოეწყო ავლაბრის დიდი არალეგალური სტამბა. 1904 წლის დეკემბერში სოლოლაკში მეორე, საკმაოდ მოზრდილი არალეგალური სტამბაც ამუშავდა. ამ სტამბის მოწყობას

---

[1] ცნობები კამოს გარეგნობის ნიშნების შესახებ მოსკოვის გაზეთებშიაც კი დაიბეჭდა. კამოს ძებნა მხოლოდ 1905 წ. ნოემბერში შეწყვიტეს.

კამო ხელმძღვანელობდა. ამჯერად მან, რუსეთიდან ჩამოსული ინჟინრის სახელით, მოღნინის ჩიხში (ახოსპირელის ქუჩა, სახლი № 14) დაიქირავა ერთი ოთახი, სადაც გადაიტანა სასტამბო დაზგა — „ამერიკანკა", შრიფტი, სალაროები და სხვ. ურიკაზე დალაგებულ სტამბის მოწყობილობაზე კონსპირაციული მოსაზრებით ზემოდან ხილი, ღვინოები და საოჯახო ნივთები ეწყო. სტამბაში კამოს გარდა სამი ასოთამწყობი მუშაობდა. აქ რუსულ და ქართულ ენებზე დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა რევოლუციური ფურცლები და პროკლამაციები. ჟანდარმერიამ შედარებით გვიან, 1906 წლის აპრილში, ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენასთან დაკავშირებით, თითქმის ზუსტად დაადგინა აღნიშნული სტამბის მდგომარეობა და ისიც, რომ მის მუშაობას ხელმძღვანელობდა კამო, რომელსაც კავკასიის კავშირის შემადგენლობიდან თბილისის მენშევიკური კომიტეტის გამოსვლის შემდეგ ამ სტამბის მოწყობილობა სხვა ადგილას გადაუტანია.

კამო უშუალოდ იყო დაკავშირებული ავლაბრის არალეგალურ სტამბასთან. მას გიგო ლელაშვილთან, გიორგი ჩიქოვანთან და სხვა ამხანაგებთან ერთად ევალებოდა შრიფტის, სასტამბო მოწყობილობისა და ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის შენახვა-ტრანსპორტირების საქმეც.

ლიტერატურის განაწილება ტრანსპორტიორებს შორის უდიდესი სიფრთხილით ხდებოდა. ავლაბრის სტამბას „მოეპოვებოდა საკუთარი ურიკა და ცხენი. დაბეჭდილ ლიტერატურას ჩააწყობდნენ ხილის ყუთებში, დაალაგებდნენ ურიკაზე და სტამბის ტრანსპორტიორს გ. ლელაშვილს მიჰქონდა იგი კონსპირაციულ პუნქტებში, კახეთის ქუჩის № 48 სახლში, ღვინის აღმართზე, სადალაქოში, მიხა ჩოდრიშვილის სადურგლო სახელოსნოში (მიხაილოვის პროსპ. № 110) და სხვ... ამ პუნქტებს შორის მთავარი ადგილი ეჭირა მ. ჩოდრიშვილის სადურგლო სახელოსნოს"[1] და ერთ-ერთ სადალაქოს ავლაბარში. აქ მზადდებოდა ყუთები, ორფსკერიანი ჩე-

---

[1] ზ. გეგეშიძე, ავლაბრის არალეგალური სტამბა, 1954, გვ. 27.

მოდნები. აღნიშნულ პუნქტებთან იყვნენ დაკავშირებული კამო და სხვა ტრანსპორტიორები, რომლებიც აქვე იღებდნენ ცალკეული რაიონებისა და გამავრცელებლების სახელზე სპეციალურ შეკვრებად გამზადებულ ლიტერატურას. სწორედ აქედან — მ. ჩოდრიშვილის სახელოსნოდან მიიღო კამომ ის ჩემოდანი, რომლითაც დააკავეს იგი ბათუმის სადგურში 1903 წლის 27 ნოემბერს.

ავლაბრის სტამბიდან მიღებული ლიტერატურის გავრცელებისა და სხვადასხვა პარტიული დავალების გამო, 1904 წლის ბოლოს და 1905 წლის ზაფხულისათვის, კამო არა ერთხელ მგზავრობს ბაქოში, ქუთაისში და საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

პირველად ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ლიტერატურა სომხურ ენაზე დიდი გაჭირვებით იბეჭდებოდა სომხური ენის სათანადოდ მცოდნე ასოთამწყობის უყოლობის გამო. საჭირო იყო სანდო, რევოლუციისათვის თავდადებული ადამიანის გამონახვა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა კამომ, მ. ცხაკაიასთან შეთანხმებით მან სტამბაში სამუშაოდ მიიყვანა ტიგრან ვახტანგოვი. კამომ, — იგონებს ვახტანგოვი,—1904 წლის დამლევს „შემომთავაზა მუშაობა დამეწყო ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, ამასთანავე მითხრა, რომ ეს სტამბა უაღრესად კონსპირაციულად არის მოწყობილი. ამ საპატიო წინადადებას მე, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დავეთანხმე. კამომ მოკლედ გამაცნო ამ სტამბაში მუშაობის პირობები და იმ დღესვე წამიყვანა მიხა ბოჭორიძის ბინაზე.

მე კარგად ვიცოდი სომხური ენა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა“ [1]. ამის შემდეგ საქმე გაიჩარხა, მუშაობა გაცხოველდა და სომხურ ენაზე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობამაც იმატა.

1904 წლის თებერვლისათვის ციმბირის გადასახლებიდან გამოიქცა და თბილისში დაბრუნდა ი. ბ. სტალინი. იგი სათა-

---

[1] ავლაბრის არალეგალური სტამბა, მასალებისა და დოკუმენტების კრებული, 1955, გვ. 52.

ვეში ჩაუდგა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს და ბოლშევიკების მიერ მარქსიზმის ფარული თუ აშკარა მტრების წინააღმდეგ გაჩაღებულ დაუნდობელ სადისკუსიო ბრძოლებს.

კამო, როგორც ზემოთ იყო აღნიშნნული, ხვდება ი. ბ. სტალინს და იწყებს მასთან ერთად მუშაობას. ჟანდარმერია იტყობინებოდა: „კამო გაიქცა ბათუმის ციხიდან და... ჩამოვიდა თბილისში, სადაც მუშაობდა იოსებ ჯუღაშვილთან (იგივე სოსოსთან)... ერთად“ [1]. ოხრანკა არ ცდებოდა. კამო სისტემატურად ასრულებდა სტალინისაგან მიღებულ სხვადასხვა პარტიულ დავალებებს: ბეჭდავდა, ავრცელებდა პროკლამაციებს, ესწრებოდა წრეების მეცადინეობას, კრებებს, დისკუსიებს, ამავე დროს, პოლიციის დევნისაგან ი. ბ. სტალინის მიერ თავისდაღწევის უკეთ ორგანიზაციის მიზნით, არჩევდა კონსპირაციულ ბინებს და გადაჰყავდა იგი ერთი საიმედო ადგილიდან მეორეზე.

იმ დროს, როდესაც კამო ბათუმის ციხეში იმყოფებოდა, რსდმპ II ყრილობის შემდგომ პერიოდში, პარტიის მიერ დამარცხებულ ოპორტუნისტთა — „ეკონომისტთა“ შემცვლელებად გამოვიდნენ ახალი ოპორტუნისტები, მენშევიკები. ჩაღდება ლენინის, ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ, მათი ოპორტუნისტული იდეების, გამთიშველი, დემაგოგიური ხერხების წინააღმდეგ, რომელთა საშუალებით მენშევიკები ცდილობდნენ პარტიული, ტექნიკური მუშაობისათვის გამოსადეგ კადრების თავის მხარეზე გადაყვანას, რევოლუციური მუშაობისაგან მათ ჩამოშორებას, მუშათა მოძრაობის, რევოლუციური სიტუაციის შემდგომი განვითარებისა და ზრდის შეჩერებას.

მენშევიკებმა კამოც მოსინჯეს, რომლისთვისაც ჯერ კიდევ ციხეში ყოფნის დროს გახდა ცნობილი პარტიაში მომხდარი განხეთქილების ამბები. ამ დროს კამო უკვე თბილისში იყო და ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 31. საქმე 51, გვ. 378.

სტამბას სოლოლაკში; მისი მიმბრობით მენშევიკებს აღნიშნული სტამბისა და მისი მოწყობილობის ხელში ჩაგდებაც სურდათ. მაგრამ რევოლუციურ წრეებში და ი. ბ. სტალინთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მიღებულმა წრთობამ უშედეგოდ როდი ჩაიარა კამოსათვის.

ციხიდან გამოქცევის შემდეგ იგი გულმოდგინედ დაეწაფა რსდმპ II ყრილობის ოქმების, სოციალისტური, მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის შესწავლას. სერიოზული მუშაობის შედეგად კამოსათვის ნათელი გახდა ის უდიდესი უფსკრული, რომელიც ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებობდა. კამო ჩაუკვირდა მათ შორის არსებულ უთანხმოებებს, აწონ-დაწონა ყოველივე და პროლეტარული, რევოლუციური მებრძოლის სულისკვეთებით აღსავსე ღრმა, ორგანული სიძულვილის გრძნობით განიმსჭვალა მენშევიკების მიმართ, კატეგორიული უარი განაცხადა მათთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე და თავიდანვე მტკიცედ დადგა ბოლშევიკების, ლენინის, ბოლშევიკური კავკასიის კავშირის მხარეზე.

პარტიაში მომხდარი განხეთქილება კამოს პრაქტიკულ საქმიანობაში იმითაც გამოიხატა, რომ მენშევიკებმა სასტიკი უარი მიიღეს ბოლშევიკების სტამბაში პროკლამაციების დაბეჭდვაზე. კამომ მათ განუცხადა, რომ სტამბა ამჟამად მენშევიკებს აღარ ეკუთვნით, რადგან იგი მან მოაწყო, შრიფტიც მისია, მანქანები კი ეკუთვნის კავკასიის კავშირს, რომელიც ბოლშევიკურ პლატფორმაზე დგას.

II

დადგა 1905 წელი. მთელ რუსეთს ელვის სისწრაფით მოედო 9 იანვარს პეტერბურგში ზამთრის სასახლესთან უიარაღო მუშების შეუბრალებლად დახვრეტის ამბავი. რევოლუცია დაიწყო.

პეტერბურგის ამბებმა ფართო გამოძახილი პოვა საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც. 18 — 19 იანვარს გაიფიცნენ თბილისის რკინიგზის სახელოსნოების, სტამბების, თამბაქოს, ფეხსაცმელის, მექანიკური და სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუ-

შები. ვაფიცვებს დემონსტრაციები მოჰყვა. იანვრის გაფიცვებთან დაკავშირებით რსდმპ .კავკასიის კავშირის კომიტეტმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა ფართო სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა გაშალეს. კამოს შეუსვენებლივ, მთელი კვირაობით ღამღამობითაც კი უხდებოდა მუშაობა. იბეჭდებოდა, ვრცელდებოდა უამრავი პროკლამაციები, არალეგალური ლიტერატურა, მზადდებოდა გაფიცვები, დემონსტრაციები, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ცარიზმისათვის მანამდე არნახულ საშიშ ხასიათს იღებდა.

რევოლუციური მოძრაობის შესუსტებისა და ჩახშობის მიზნით თვითმპყრობელობა არა ერთხელ მიმართავდა პროლეტარული სოლიდარობის დარღვევის, ხალხთა ურთიერთ წასისიანებისა და ხოცვა-ჟლეტის პოლიტიკას.

ამჯერად ცარიზმის ყურადღება ამიერკავკასიამ მიიპყრო. აღვირახსნილი, შოვინისტური პროპაგანდისა და ნაციონალიზმის გაღვივების გზით მან განახორციელა კიდეც თავისი ბარბაროსული ჩანაფიქრი. 1905 წლის თებერვლის დასაწყისს ბაქოსა და მის გარეუბნებში მცხოვრებ სომეხ-თათართა შედარებით ჩამორჩენილი, ნაციონალიზმის შხამით გაბრუებული ბრბოები 2 — 3 დღის განმავლობაში შეუბრალებლად ხოცავდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს. ამით ცარიზმმა სერიოზული ზიანი მიაყენა მუშათა მოძრაობას.

მეფის ხელისუფლება თბილისშიც ცდილობდა მსგავსი პროვოკაციის მოწყობას, მაგრამ ამ ცდების პასუხად თბილისის პროლეტარიატი ერთსულოვნად, მტკიცედ დაირაზმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული კავკასიის კავშირის გარშემო.

სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის გამო პროტესტის ნიშნად თბილისში მშრომელთა მძლავრი დემონსტრაცია მზადდებოდა. კამო ს. ორჯონიკიძესთან და სხვა ამხანაგებთან ერთად ამ დემონსტრაციის მოწყობის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო. იგი ამზადებს წითელ დროშას რევოლუციური წარწერებით, დემონსტრაციის წინ — 12 თებერვალს და დემონსტრაციის დღესაც ავრცელებს ფურც-

ლებს, ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ პროკლამაციებს: „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას“, „მეფის მთავრობის ბაქოს დანაშაულებანი“ და სხვა[1].

14 თებერვალს დილით, წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ხარფუხის სუფ-სარქისის სომხური კათედრალური ეკლესიის მახლობლად, ეზოში შეკრება იწყეს თბილისის ფაბრიკა-ქარხნების სხვადასხვა ეროვნების მუშებმა და ჯარისკაცებმა. ეკლესიის ეზოში გამართული ხანმოკლე მიტინგის შემდეგ დემონსტრანტები ერევნის მოედნის გავლით სასახლის ქუჩისაკენ გაეშურნენ. როგორც კი მიაღწიეს კავკასიის არმიის შტაბის შენობას, უცბად კამომ ააფრიალა წითელი დროშა წარწერებით: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს სოციალიზმს“ და სხვ. ასე გაიარეს მათ სასახლის ქუჩა და გოლოვინის პროსპექტის ნაწილი. მეფისნაცვლის სასახლესთან დემონსტრანტთა 10-ათასიანი მასა შეჩერდა. აქ დროშით ხელში დემონსტრანტებს შორის აღმართულმა კამომ პირველად წარმოთქვა სიტყვა მშრომელთა მასის წინაშე; შემდეგ, ამავე დემონსტრაციის მსვლელობის გზაზე, ქაშვეთის ეკლესიასთან, სალდათის ბაზართან და სხვ. იგი უკვე ორჯერ თუ სამჯერ გამოვიდა სიტყვით.

თავის სიტყვებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულმა კამომ ჯერ ქართულ, შემდეგ კი რუსულ ენაზე მოხდენილად, უბრალოდ, მშრომელთათვის გასაგებად ცხადყო ცარიზმისა და ბურჟუაზიის შოვინისტური პოლიტიკის დამღუპველი გავლენა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე, ამხილა მიტინგზე სიტყვებით გამოსული ნაციონალისტი ორატორები. კამო ყველას გასაგონად აკრიტიკებდა სასულიერო წოდებისა და ლიბერალთა წარმომადგენლების სიტყვებს, უწოდებდა მათ პირფერულს. იგი აღნიშნავდა, რომ როგორც ქართველ ფედერალისტებს, ისევე სომეხ ნაციონალისტებს ეშინიათ წითელი დროშისა[2], მაგრამ პროლეტარიატს ვერაფერი ვერ გათიშავს, მის მიერ გაჩაღებუ-

---

[1] ცნობების მიხედვით კამომ დემონსტრაციის დღეს (14 თებერვალს) 25.000 პროკლამაცია გაავრცელა.

[2] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 1, გვ. 7.

ლი რევოლუციური მოძრაობა განუწყვეტლივ იზრდება. ამის დასადასტურებლად კამომ მოიყვანა მეტად დამახასიათებელი შედარება თბილისელი მუშების წარსული ბრძოლების ისტორიიდან. იგი აღნიშნავდა: „1901 წელს დემონსტრაცია ისე სწრაფად გარეკეს, რომ მედროშემ სამიოდე წუთიც კი ვერ გაძლო, ახლა კი ჩვენ მთელი 10 წუთის განმავლობაში დემონსტრაციულად დავდივართ წითელი დროშით, რაც რევოლუციური მოძრაობის დიდი ზრდის მაჩვენებელია“ [1]. კამო მოუწოდებს ხალხს ბრძოლისაკენ და მოითხოვს ფიცს, რომ ისინი ისევე მამაცურად გამოვლენ რევოლუციის მხარდასაჭერად, როგორც დღეს გამოვიდნენ დემონსტრაციაზე. „ვფიცავთ“, — გრიალებს ხალხი [2].

დემონსტრაციის მიერ აშკარა პოლიტიკური ხასიათის მიღებამ სერიოზულად შეაშფოთა თვითმპყრობელობა. სპეციალურად გამოძახებული ცხენოსან კაზაკთა ესკადრონი მათრახებითა და ხმლებით ეკვეთა დემონსტრანტებს და გაჰფანტა ისინი. კამომ მხოლოდ თავისი მოხერხებულობით დააღწია თავი დაპატიმრებას.

ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის ქარცეცხლში რუსეთში ზედიზედ იქმნებოდნენ მუშათა დეპუტატების საბჭოები — მშრომელთა. რევოლუციური ხელისუფლებისა და აჯანყების ორგანოები. გურია, სამეგრელო, ქართლი, თბილისისა და ქუთაისის მთელი რიგი მაზრები შეიარაღებული ბრძოლის ცეცხლმა მოიცვა. სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით გლეხობა და მისი წითელი რაზმები ანადგურებდნენ მთავრობის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, ქმნიდნენ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს, სახალხო სასამართლოებსა და სხვ.

რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა რეპრესიებიც. სათათბიროსა და სხვადასხვა „დათმობის“ დაპირებებთან ერთად მასობრივი დაპატიმრებებით, საალყო

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 1, გვ. 7.

[2] იქვე. ფ. 33, საქმე 105.

წესების შემოღებით, სამხედრო ნაწილებისა და კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური რაზმების გაძლიერებით ცარიზმი კვლავ ცდილობდა მუშათა მოძრაობის განიარაღებასა და ჩახშობას. უკმაყოფილო, უკიდურესად აღშფოთებული პროლეტარული მასა სასტიკად გმობდა ცარიზმის პოლიტიკას და დაუყოვნებლივ გმირულ-რევოლუციურ მოქმედებას მოითხოვდა.

პროლეტარიატის მისწრაფებებს საუკეთესოდ გამოხატავდნენ ბოლშევიკები, რომლებიც რუსეთში შექმნილი რევოლუციური მომენტის მთავარ და გადაუდებელ ამოცანად თვლიდნენ პროლეტარიატის დარაზმვას თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად შეიარაღებული გამოსვლების მოწყობის გზით; ისინი მოუწოდებდნენ და ასწავლიდნენ მუშებს, რომ ხალხის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებაში და თვით ხალხის მიერ მოწყობილ ძლევამოსილ შეიარაღებულ აჯანყებაშია.

ცარიზმის შეიარაღებული ძალა შეიარაღებული წინააღმდეგობითვე უნდა დათრგუნვილიყო, ამისათვის საჭირო იყო აჯანყების ტექნიკური მომზადება, რევოლუციური რაზმების ორგანიზაცია და სხვ.

კავკასიელი ბოლშევიკები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ აჯანყებისა და მისი ტექნიკური მომზადების საკითხებს. კავკასიის კავშირის ორგანო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ 1905 წლის ოქტომბერში წერდა: „ტექნიკური ხელმძღვანელობა და მთელი რუსეთის აჯანყების ორგანიზაციული მომზადება, აი ის ახალი ამოცანა, რომელიც პროლეტარიატს დაუსახა ცხოვრებამ“ [1].

აჯანყების მომზადების ტექნიკურ საქმეთა მოგვარების მიზნით თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან შეიქმნა სპეციალური სამხედრო შტაბი და მთელი რიგი სამხედრო-საინსტრუქტორო წრეები. იარაღის შეძენა, განაწილება, გადაგზავნა საქართველოსა და ამიერკავკასიის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისათვის, მებრძოლი ჯგუფების,

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“, № 10, 1905 წ.

რაზმების შექმნა, გაწვრთნა, სამხედრო საქმისათვის გამოსადეგი პარტიული კადრებისადმი ხელმძღვანელობა, საწყობების, ყუმბარებისა და ფეთქებად ნივთიერებათა სახელოსნოების მოწყობა, პარტიზანული და ქუჩის ბრძოლების ტექნიკის შესწავლა — აი რა შეადგენდა ბოლშევიკური სამხედრო შტაბისა და საინსტრუქტორო წრეების მოვალეობას.

პარტიის მიერ გაშლილი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად რევოლუციური ჯგუფებისა და რაზმების მოქმედება კიდევ უფრო გააქტიურდა. ვ. ი. ლენინი სტატიაში „რევოლუციური არმიის რაზმების ამოცანები“ 1905 წლის ოქტომბერში წერდა: „ჯაშუშების, პოლიციელების, ჟანდარმების დახოცვა, საპოლიციო უბნების აფეთქება, დატუსაღებულთა განთავისუფლება, მთავრობის ფულადი თანხების ხელში ჩაგდება და აჯანყების საჭიროებისათვის გამოყენება, — ასეთი ოპერაციები უკვე წარმოებს ყველგან, სადაც კი აჯანყება ღვივდება, პოლონეთშიც და კავკასიაშიც, და რევოლუციური არმიის ყოველი რაზმი დაუყოვნებლივ მზად უნდა იყოს ასეთი ოპერაციებისათვის, ყოველ რაზმს უნდა ახსოვდეს, რომ თუ მან ახლავე ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა ასეთი ოპერაციის მოსახდენად, მას, ამ რაზმს, ბრალად დაედება მ ი უ ტ ე ვ ე ბ ე ლ ი უ მ ო ქ მ ე დ ო ბ ა — პასიურობა“ [1].

კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტების წევრებთან — მ. ბოჰორიძესთან, ზ. ჩოდრიშვილთან და სხვებთან ერთად კამომ დაუშრეტელი ენერგიით მოჰკიდა ხელი შეიარაღებული აჯანყების სამხედრო-ტექნიკური მზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და გამძღოლის მოვალეობის შესრულებას, მუშათა რაზმების ორგანიზაციას, იარაღის შეძენასა და განაწილებას. კამო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცარიზმის მიერ ოქტომბერ — ნოემბერში პროვოცირებული სომეხთათართა მორიგი ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაშორებლად პარტიის მიერ გაშლილ საქმიანობაში; ავრცელებდა ეროვნული შუღლის წინააღმდეგ მიმართულ პროკლამაციებს, ფურცლებსა და სხვ. მან თავის რაზმთან ერთად იარაღით ხელში

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 520.

დარბევისაგან იხსნა ებრაელთა უბანი და ქალაქის მთელი რიგი რაიონების უიარაღო მშრომელი მოსახლეობა.

რევოლუციურმა აღმავლობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. 9 დეკემბერს მოსკოვის ქუჩები ბარიკადებით მოიფინა. მუშათა რაზმებსა და ჯარებს შორის სისხლისმღვრელი, გაფთრებული ხელჩართული ბრძოლები გაჩაღდა. შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. ცნობა მოსკოვის პროლეტარიატის გმირული ბრძოლების შესახებ მთელ რუსეთს მოედო და საქართველოშიც მუშათა და გლეხთა დეკემბრის შეიარაღებული რევოლუციური გამოსვლების მძლავრი ფაქტორი გახდა. განსაკუთრებული აქტივობით თბილისის პროლეტარიატი გამოირჩეოდა.

მთავრობა შეაშფოთა თბილისის პროლეტარიატის რევოლუციურმა აქტივობამ, მან გადაწყვიტა ანგარიში გაესწორებინა მისთვის. 15 დეკემბერს ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. მდგომარეობა გამწვავდა. შავრაზმელები, ჟანდარმები და პოლიციელები ჩხრეკდნენ და აპატიმრებდნენ ყველა ოდნავ საეჭვო პირს, თავს ესხმოდნენ მუშათა კრებებსა და მიტინგებს, შეუბრალებლად ძარცვავდნენ ქალაქის პროლეტარული უბნების მოსახლეობას. მაგრამ რეპრესიებმა ვერ შეასუსტა თბილისელი მუშების რევოლუციური ბრძოლა, პირიქით, ამ ბრძოლისა და პოლიტიკური კრიზისის ახალი, კიდევ უფრო ძლიერი გამწვავება გამოიწვია. 16 დეკემბერს გამოშვებულ პროკლამაციაში „ყველა მოქალაქეს“ მუშათა ცენტრალური საგაფიცვო ბიურო სასტიკად გმობდა რეაქციის ველურ თარეშს და პროლეტარიატს იარაღისაკენ, თვითმპყრობელობის აჯანყების გზით დამხობისაკენ მოუწოდებდა. დადგა საყოველთაო შეიარაღებული გამოსვლის დაუყოვნებლივ მოწყობის საკითხი.

აჯანყების მომზადების ცენტრად გადაიქცა ნაძალადევი, შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაციას კი სათავეში ჩაუდგა სამხედრო-შტაბი, რომელშიც შედიოდნენ მ. ბოჟორიძე, ზ. ჩოდრიშვილი, კამო, ე. სართანია და სხვ.

კამო აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეიარაღებული ბრძოლების გეგმის შემუშავებაში, სამხედრო შტაბის მთელ

საქმიანობასა და მუშათა მებრძოლი ჯგუფებისა და შეიარაღებული წითელი რაზმების ორგანიზაციაში.

18 დეკემბერს თვითმპყრობელობა თავს დაესხა თბილისის პროლეტარიატს. კაზაკთა მრავალრიცხოვან ნაწილებს, რომლებიც მოულოდნელად გარს შემოერტყნენ ნაძალადევს და ცდილობდნენ მუშათა რაიონში ქურდულად შეჭრას, ხუდადოვის ტყის მახლობლად (ნოვროზის ქუჩაზე) შეეჩეხა სამხედრო შტაბის მიერ გამოყოფილი მუშათა შეიარაღებული პატრული, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: კამო, მ. კალაძე, გ. ელიავა, პ. ცინცაძე, გ. დვალი და სხვები, სულ 11 თუ 12 კაცი. გაიმართა ხანმოკლე, გააფთრებული და უთანასწორო ბრძოლა. გმირული წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად თავდამცველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ჯარისკაცებმა ისინი კაზაკების „ცეპთან“ მიამწყვდიეს, შემოეხვივნენ გარს და თითქმის ყველანი ხიშტებითა და ხანჯლებით დახოცეს ან დაასახიჩრეს. შეტევის ადგილი, ახლო-მახლო ხეები მოფენილი იყო საშინლად ნაწამებ, მხეცურად დაჩეხილ ადამიანთა გვამებით, რომელთა ცნობაც კი ალარ შეიძლებოდა.

ბრძოლის დროს მიღებული მძიმე ჭრილობებით საშინლად დასახიჩრებული, სისხლით მოთხუპნული, ტანსაცმელ-შემოხეული და თითქმის გონებადაკარგული კამო, შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, კაზაკებს ჩაუვარდა ხელში.

კამომ ახალ ხერხს მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მან თავი გულუბრყვილო, მოსულელო ადამიანად გაასაღა. კაზაკები ცდილობდნენ მის გამოტეხას, ემუქრებოდნენ სიკვდილით, სცემდნენ, ორჯერ კიდეც ჩამოკიდეს, მოითხოვდნენ ეთქვა, რომ ის რევოლუციონერია, მაგრამ ამაოდ. კამო ვერ გატეხა წამებამ, იგი დაჟინებით უარყოფდა პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობის ბრალდებას. დამტვრეული და ნაცემი კამო მეტეხის ციხეში მოათავსეს. მან აქაც უდიდესი მოხერხებულობით განაგრძო თავისი პირვანდელი როლის შესრულება, დაუმეგობრდა ციხეში შემთხვევით მოხვედრილ ახალგაზრდას, გაცვალა პასპორტი და დაარწმუნა გამომძიებელი, რომ იგი ფერშლის

ალალმართალი შეგირდი — შანშიაშვილია, რომელიც წმინდა ოჯახური საქმეების გამო იყო ნაძალადევში და იქ მომხდარი არეულობის დროს გაუგებრობით, სრულიად შემთხვევით ჩავარდა კაზაკთა ხელში.

კამო, როგორც „შემთხვევით" დაპატიმრებული მალე გაანთავისუფლეს. ჟანდარმერია და მეტეხის ციხის ადმინისტრაცია გვიან მიხვდა ჩადენილ შეცდომას — იმას, რომ პიროვნება, რომელიც „ციხიდან გასათავისუფლებელი პატიმრის მაგივრად გაათავისუფლეს"[1], იყო კამო და არა შანშიაშვილი. მშვიდობიანად მიმალული კამო კიდევ დიდხანს დასცინოდა მის მიერ ასე მოხერხებულად მოტყუებულ კაზაკებს და თვითმპყრობელობის მოხელეთა სიბეცეს.

კამომ დაიხსნა თავი, მაგრამ მეტეხი სავსე იყო რევოლუციონერებით. 1906 წლის აპრილში ჟანდარმერიის მიერ ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენასთან დაკავშირებით იქ იჯდნენ ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, მ. ბოჟორიძე, ნ. ალაჯალოვა და სხვ.

პარტიულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა დაეხსნა პატიმრობიდან პოლიტიკური ტუსაღების ნაწილი მაინც. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო კამომ. შემთხვევითი როდია, რომ ჟანდარმერიის მასალები მრავალჯერ იმეორებენ, კამი იყო პოლიტიკური პატიმრების მთელი რიგი გაქცევების ორგანიზატორიო[2].

1906 წლის აპრილში კამოს დახმარებით მეტეხიდან გაიქცა ბათუმელი რევოლუციონერი „ტოგო" (ქანტურია). ამის შემდეგ პარტიის სამხედრო ტექნიკურ ჯგუფთან ერთად, კამოსა და ბაბე ბოჟორიძის აქტიური მონაწილეობით, მოეწყო პოლიტიკურ პატიმართა მასობრივი გაქცევა. მეტეხის ციხის სამი მხარე მიუდგომელი იყო, მხოლოდ მეოთხე მხარეს ესაზღვრებოდა კერძო მფლობელთა საცხოვრებელი სახლები. საპყრობილის გვერდით დაქირავებულ ბინიდან, ხანგრძლივი შრომისა და ზუსტი გაანგარიშების შედეგად, ერთ-ერთი

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 31, საქმე 325, გვ. 139.

[2] იქვე, საქმე 320, გვ. 2.

საკანის ქვეშ გაყვანილ იქნა გვირაბი, რომლის საშუალებით ციხიდან გამოვიდა და მშვიდობიანად მიიმალა 32 პოლიტიკური პატიმარი [1].

III

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა რევოლუციის დამარცხებას. მუშათა კლასი ახალი შეიარაღებული გამოსვლებისათვის ემზადებოდა.

ვ. ი. ლენინი 1906 წ. 4 იანვარს სტატიაში „მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში" წერდა: „დაე მუშათა პარტიის წინაშე აშკარად დაისახოს მისი ამოცანები. ძირს კონსტიტუციური ილუზიები! საჭიროა შევაგროვოთ ახალი, პროლეტარიატის მომხრე ძალები, საჭიროა „დავაგროვოთ გამოცდილება" რევოლუციის ორი დიადი თვისა (ნოემბერი და დეკემბერი)... საჭიროა უფრო გარკვეულად, პრაქტიკულად დავაყენოთ ახალი აქტიური გამოსვლის კოლოსალური ამოცანები, ვემზადოთ მისთვის უფრო მტკიცედ, უფრო სისტემატურად, უფრო შეუპოვრად" [2]. მართლაც შეიარაღებულმა აჯანყებამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში თავისი გაგრძელება ჰპოვა 1906 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის მთელ რიგ სამხედრო გამოსვლებსა და გაფიცვებში. მოძრაობაში ებმებოდნენ არმია და თვითმპყრობელობის ზარბაზანთა გრიალით გამოღვიძებული გლეხობის სულ უფრო და უფრო ფართო მასები.

შეიარაღებული აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მისი ტექნიკური მოუმზადებლობაც იყო. იგრ-

---

[1] ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ნ. ალაჯალოვა და ავლაბრის სტამბის აღმოჩენასთან დაკავშირებით დაპატიმრებული პარტიული ამხანაგების ნაწილი ციხიდან გამოუშვეს გვირაბის გაყვანის დამთავრებამდე, რადგან თვითმპყრობელობამ ვერ შეძლო აღმოეჩინა მათი დანაშაულის დამამტკიცებელი მასალები. 32 პატიმართან ერთად გაქცევა სცადა მ. ბოჭორიძემ, რომელიც ამ დროს მეტეხის ციხეში იჯდა ოთაროვის გვარით, მაგრამ თავისი ზორბა აღნაგობის გამო ვერ გაძვრა ვიწრო გვირაბში.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 99.

ძნობოდა იარაღის მკვეთრი ნაკლებობა. დეკემბრის გაკვეთილების გათვალისწინების საფუძველზე ბოლშევიკები მომავალი ბრძოლებისათვის მუშათა კლასის კიდევ უფრო გაძლიერებულ შეიარაღებას მოითხოვდნენ. 1906 წლის მაისში ბოლშევიკების მიერ რსდმპ IV გამაერთიანებელი ყრილობისათვის წარდგენილი რეზოლუციების პროექტის ერთ-ერთ პუნქტში ეკითხულობთ: „საჭიროა კიდევ უფრო ენერგიული მოქმედების განვითარება მებრძოლი რაზმების გამრავლებისათვის, მათი ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ყოველგვარი იარაღით მომარაგებისათვის“ [1]. განსაკუთრებით იგრძნობოდა ავტომატური თოფების, ყუმბარების, ფეთქებადი ნივთიერებისა და სხვადასხვა გაუმჯობესებული სახის იარაღის ნაკლებობა. ვ. ი. ლენინი წერდა: „სამხედრო ტექნიკა სულ უკანასკნელ დროს კიდევ ახალ ნაბიჯებს სდგამს წინ. იაპონიის ომმა წარმოშვა ხელის გრანატი. იარაღის ფაბრიკამ ბაზარზე გამოუშვა ავტომატური თოფი. ერთსაც და მეორესაც უკვე წარმატებით იყენებენ რუსეთის რევოლუციაში, მაგრამ სრულიად არასაკმაო რაოდენობით. ჩვენ შეგვიძლია და უნდა გამოვიყენოთ კიდეც ტექნიკის გაუმჯობესება, ვასწავლოთ მუშათა რაზმებს ყუმბარების მასობრივი დამზადება, დავეხმაროთ მათ და ჩვენს მებრძოლ რაზმებს მოიმარაგონ ფეთქებადი ნივთიერება, საფალიები და ავტომატური თოფები“ [2].

იარაღის შეძენისათვის ბრძოლა ფართოდ გაიშალა კავკასიაში. ეწყობოდა ხელყუმბარების დამამზადებელი სახელოსნოები. იარაღის ნაწილს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის სახსრებით იძენდნენ, ძირითადად კი მისი შეძენა წმინდა რევოლუციური ხერხებით, შეიარაღებული ძალის დახმარებით ხდებოდა; იტაცებდნენ არსენალებიდან, ართმევდნენ პოლიციის, თვითმპყრობელობის მოხელეებს, ჯარის ნაწილებს; გარდა ამისა, მებრძოლი რაზმებისა და სხვადასხვა „ექსცესური“ ჯგუფების მიერ ექსპროპრიირებული ფულით

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 1, გვ. 132. 7-ე გამოცემა.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 197.

ყიდულობდნენ უცხოეთში — ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, მალულად გადმოჰქონდათ გემებით, საზღვრებზე კონტრაბანდის სახით და სხვ.

ფული მხოლოდ და მხოლოდ ხაზინიდან მიჰქონდათ. 1905 წ. დეკემბერში ყვირილაში ექსპროპრიაცია უყვეს 201 000 მანეთს. ბოლშევიკების სამხედრო და მებრძოლი ადგილობრივი ორგანიზაციების მოქმედება, რსდმპ IV გამაერთიანებელი ყრილობის მენშევიკური, ოპორტუნისტული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, მტკიცე საფუძველს პოულობდა ყრილობაზე ვ. ი. ლენინის, ბოლშევიკების თვალსაზრისში და 1906 წლის შემოდგომაზე ტამერფორსში გამართულ რსდმპ სამხედრო და მებრძოლი ორგანიზაციების პირველი კონფერენციის გადაწყვეტილებებში იმის შესახებ, რომ პარტიზანული გამოსვლები დასაშვებია, „დასაშვებია, აგრეთვე, საბრძოლო გამოსვლები მტრის, ე. ი. თვითმპყრობელური მთავრობის ფულადი სახსრების ხელში ჩასაგდებად და ამ სახსრების გამოსაყენებლად აჯანყების საჭიროებისათვის, ამასთან სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსახლეობის ინტერესები რაც შეიძლება ნაკლებად ილახებოდეს“ [1].

აღნიშნული მითითების საფუძველზე ჯარისკაცთა რაზმებზე, ბადრაგებზე თავდასხმები და სახაზინო თანხების ექსპროპრიაცია კავკასიაში სულ უფრო მეტად ემორჩილებოდა პარტიის მტკიცე კონტროლს და თანდათანობით იღებდა ორგანიზებული, ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული პარტიზანული გამოსვლების ხასიათს [2], სერიოზულ ზიანს აყენებდა თვითმპყრობელობას და მნიშვნელოვნად განამტკიცებდა რევოლუციური ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას. კამო პატიმართა განთავისუფლების გარდა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, აქტიურად მონაწილეობდა აღ-

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 1, გვ. 133.

[2] იგულისხმება რევოლუციური სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკური) მებრძოლი რაზმებისა და ჯგუფების მიერ ჩატარებული ოპერაციები.

ნიშნულ ოპერაციებსა და მთავრობის ხაზინიდან ექსპროპრიირებული ფულით იარაღის შეძენის ორგანიზაციაში.

1906 წლისათვის რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ბიერ გამოყოფილ სპეციალურ კომისიასთან[1] ერთად კამო ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთ შეძენილი იარაღის კავკასიაში ფარულად გადმოტანის საქმეს.

იარაღის შესყიდვა 1906 წლის თებერვლიდან დიდად გაფართოვდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ლიტვინოვის დახმარებით ს. ქავთარაძემ ბელგიის ქალაქ ლიეჟში დიდი რაოდენობით შეიძინა მანლიხერის სისტემის კარაბინები, ავტომატური რევოლვერები, მაუზრები, ვაზნები და სხვ.

იარაღის რუსეთში გადმოსატანად საჭირო იყო მისი გაგზავნა ვარნაში — ბულგარეთზე გავლით, ამან საქმის შეფერხების საგრძნობი საშიშროება წარმოშვა. ცარიზმისადმი სიმპათიით განწყობილი ბულგარეთის მთავრობა და რეაქციული წრეები არ დაუშვებდნენ მათ ტერიტორიაზე რუსეთის რევოლუციური ორგანიზაციების იარაღის გადაზიდვას. საჭირო იყო მოხერხებული მოქმედება. და აი, მაკედონელი ვაჭრის — ტიუფიქჩიევის[2] დახმარებით ბულგარეთის მთავრობა დაარწმუნეს იმაში, რომ იარაღი შეძენილია მაკედონიის რევოლუციური ორგანიზაციების მიერ და განკუთვნილია არა რუსეთში, არამედ ბულგარეთისადმი მტრულ ოსმალეთში მცხოვრები აჯანყებული სომხებისათვის გადასაგზავნად. ამგვარად მიღებული ნებართვით მოხერხდა იარაღის მშვიდობიანი ტრანსპორტირება და ვარნაში შეგროვება. შეიძინეს და ვარნაშივე ჩამოიყვანეს მცირე ტონაჟის (ათას ფუთამდე) გემი „ზარა“, შეარჩიეს გუნდიც. კაპიტნად ყოფილი პოტიომკინელი მეზღვაური ათანასე კაიუტ-კოიუტენკო აიყვანეს. გემისა და მთელი ექსპედიციის ხელმძღვანელობა დაევალა

---

[1] აღნიშნული კომისია შეიქმნა 1906 წლის იანვარში ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. ამ კომისიას საზღვარგარეთ გამგზავრება და იარაღის შეძენის ორგანიზაცია დაევალა.

[2] პროგრესული მიღვაწე, მაკედონიის რევოლუციური ორგანიზაციის აქტიური თანამგრძნობი

კამოს, რომელიც 1906 წლის 5 დეკემბერს კავკასიიდან სოფიაში , შემდეგ კი 9 დეკემბერს ვარნაში ჩავიდა.

იარაღით დატვირთულ „ზარას“, რომელიც ზღვაში 12 დეკემბერს გავიდა, ორი დღის შემდეგ, ძლიერი ქარიშხლის ამოვარდნის გამო, კატასტროფა შეემთხვა, იგი სერიოზულად დაზიანდა და სულინიდან 15 მილის დაშორებით მეჩეჩზე გაირიყა. კამო და გემის მთელი ეკიპაჟი აშკარა დაღუპვისაგან რუმინელმა მეთევზეებმა იხსნეს.

იარაღის გადმოტანის საქმე მარცხით დამთავრდა. რეაქციის გაძლიერებულ შემოტევებთან დაკავშირებით კი თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციები შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლების გასაჩაღებლად დაჟინებით მოითხოვდნენ შაშხანებს, ავტომატურ იარაღს, რევოლვერებს. ამავე პერიოდში, ჟანდარმერიის მიერ ყუმბარების დამამზადებელი ორი დიდი კერის — ავლაბრის სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის და ავჭალის ფარული სახელოსნოს ლიკვიდაციისა და გამოცდილ სპეციალისტთა მასობრივი დაპატიმრება-გაფანტვის გამო, მკვეთრად შემცირდა ხელყუმბარების — სახალხო აჯანყების ამ აუცილებელი იარაღის რაოდენობაც.

ფეთქებად ნივთიერებათა და ყუმბარების დამზადების ფართოდ გაშლისათვის საჭირო იყო საქმის ხელახალი ორგანიზაცია: სათანადო მასალის, კადრებისა და ცოდნის დაგროვება. ამ მიზნით და სხვა პარტიული დავალებების გამო პეტერბურგში წასასვლელად ემზადება დიდი გაჭირვებისა და დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ რუმინეთიდან — სულინიდან თბილისში დაბრუნებული კამო. მაგრამ ჟანდარმერიისათვის, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საზღვარგარეთიდან იარაღის ტრანსპორტირების ორგანიზატორთა მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს, 1907 წლის 20 იანვარს ცნობილი გახდა ისიც, რომ „აღნიშნული ოპერაციის ხელმძღვანელი, პარტიაში „კამოს“ სახელით ცნობილი პიროვნე-

[1] კამო აქ შეხვდა ლიტვინოვსა და ტიუფიქჩიევს.

ბა, ამჟამად თბილისში იმყოფება და დღეს თუ არა ხვალ ემზადება პეტერბურგში გასამგზავრებლად“ [1].

საჭირო იყო ჩავარდნის თავიდან აცილება, გასამგზავრებლად სერიოზული მომზადება და სასტიკი კონსპირაციის დაცვა.

პარტიის დახმარებით, კამოს უშოვეს თავად კოკი დადიანის ნამდვილი პასპორტი, და ბრწყინვალე თავადის ტანსაცმელში გამოწყობილი იგი მშვიდობიანად ჩავიდა პეტერბურგში. აქ მაშინ რუსეთის ყოველი კუთხიდან ჩამოდიოდნენ ამხანაგები, რომლებსაც აცნობდნენ მუშაობის საკითხებს, რევოლუციური მოძრაობის ახალ ეტაპზე პარტიის მიერ აღებულ გეზს, აძლევდნენ ტექნიკურ დავალებებს და სხვ.

ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს თავდაპირველად სპეციალურ შესახვედრ ადგილებზე იდებდნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია და ვერა რუდოლფის ასული მენჟინსკაია; შემდეგ ყველაზე უფრო ახლობელ და ძვირფას ადამიანებს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ვ. ი. ლენინთან შეხვედრას უწყობდა. სამხედრო-ტექნიკურ დარგში მითითებების მისაღებად ჩამოსულნი ხვდებოდნენ ლეონიდ კრასინს (ნიკიტიჩს), რომელიც ამ დროს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა და მტკიცე ბოლშევიკურ პოზიციაზე იდგა.

პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე კამო ხვდება კრუპსკაიას და უახლოვდება ვ. ი. ლენინის ოჯახურ წრეს კოუკალაში. აღნიშნული შეხვედრისა და კამოსთან დაახლოების შესახებ კრუპსკაია იგონებს: „იმ ზამთარში მე და ვერა რუდოლფის ასული მუდამ ვხვდებოდით ერთმანეთს ტექნოლოგიური ინსტიტუტის სასადილოში. ეს ძალიან მოსახერხებელი იყო, რადგან სასადილოში ყოველდღიურად აუარებელი ხალხი სადილობდა. ...ჩვენ არავინ ყურადღებას არ გვაქცევდა. მხოლოდ ერთხელ კამო მოვიდა ჩვენთან შესახვედრად. კავკასიურ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და ხელში ეჭირა ხელსა-

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 31, საქმე 55, გვ. 1.

ხოცში გამოხვეული ბურთისებრი საგანი. სასადილოში ყველამ თავი მიანება ჭამას და დაუწყეს თვალიერება არაჩვეულებრივ მომსვლელს „ყუმბარა მოიტანა“ — გაუელვა, უთუოდ, უმეტესობას აზრმა. მაგრამ იგი ყუმბარა კი არა, საზამთრო აღმოჩნდა. კამომ ჩვენ და ილიჩს მოსაკითხი მოგვიტანა — საზამთრო და რაღაც დაშაქრული თხილი. „ბიცოლამ გამოგზავნაო“, — რაღაც მორცხვად განმარტა კამომ. ეს... შეურყეველი ნებისყოფის, უშიშარი მებრძოლი ამავე დროს იყო არაჩვეულებრივად მთლიანი პიროვნება, ოდნავ გულუბრყვილო და ნაზი ამხანაგი. იგი ძლიერ დაახლოებული იყო ილიჩთან, კრასინთან... დადიოდა ჩვენთან კოუკალაში, დაუმეგობრდა დედაჩემს, უამბობდა მას ბიცოლაზე, დებზე. კამო ხშირად დადიოდა ფინეთიდან პიტერში, ყოველთვის თან მიჰქონდა იარაღი და დედაჩემი ყოველთვის განსაკუთრებული ზრუნველობით გაუკეთებდა რევოლვერებს ზურგში“ [1].

კამო პეტერბურგში თითქმის ერთი თვე დარჩა. მთელ საღამოებს იგი ტექნოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში ატარებდა, სადაც სწავლობდა ყუმბარებისა და ფეთქებად ნივთიერებათა დამზადებას, ამასთან მ. ბოჭორიძესა და სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად ამზადებდა იარაღს კავკასიაში გამოსაგზავნად.

1907 წლის 14 თებერვალს კამო დაბრუნდა თბილისში და თან ჩამოიტანა ახალი ე. წ. „სტოლიპინის სისტემის“ ყუმბარები და უამრავი ფეთქებადი მასალა.

ამ დროისათვის მეფის მთავრობამ გაძლიერებით იწყო პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების განადგურება. ჟანდარმების, პოლიციელების, პროვოკატორებისა და შავრაზმელ დამრბევთა ყაჩაღური თავდასხმები მუშათა კლასზე ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. დაიხურა პროლეტარული გაზეთები. საკატორღო საპყრობილეები, ციხეები და გადასახლების ადგილები რევოლუციონერებით აივსო. ვ. ი. ლენინი წერდა: „ფინეთის

[1] ნ. კ. კრუპსკაია, „მოგონებანი ლენინზე“, გვ. 162, 1933 წ., სახელმწიფო გამომცემლობა.

განადგურებამ, ბევრი ამხანაგის დაპატიმრებამ, ქაღალდების ხელში ჩაგდებამ, სტამბების გადატანის, საზღვარგარეთ ბევრი ამხანაგის გადაგზავნის საჭიროებამ, ყოველივე ამან მ რ ა ვ ა ლ ი სრულიად მოულოდნელი ხარჯი გამოიწვია. პარტიის საფინანსო მდგომარეობა მით უფრო საავალალოა, რომ ორი წლის განმავლობაში ყველა გადაეჩვია იატაკქვეშეთს და რომ ისინი „გაანებივრა“ ლეგალურმა და ნახევრადლეგალურმა მუშაობამ. ფარული ორგანიზაციების შექმნა თითქმის ხელახლა გვიხდება. ამას დიდძალი ფული უნდა“ [1].

პარტიაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო 1907 წლის აპრილ—მაისში მ. გორკის დახმარებით ინგლისელი მეწარმის ჟოზეფ ფელცისაგან აიღეს მოკლევადიანი სესხი. აღნიშნული თანხა უნდა გადაეხადათ 1908 წლის 1 იანვრისათვის. სესხის აღების მიუხედავად ფულის ნაკლებობა პარტიაში კვლავ დიდი სიმწვავით იგრძნობოდა. და აი, ამხანაგების ჯგუფი თბილისში, ჯერ კიდევ 1906 წლის ბოლოდან, ამზადებს დიდ ექსპროპრიაციას. რევოლუციისათვის საჭირო სახსრები შესაძლებელი იყო მოეპოვებინათ შეიარაღებული ძალით, ისევე როგორც ხდებოდა არსენალებიდან იარაღის გამოტანა, პოლიციელთა, სამხედრო ნაწილების განიარაღება და სხვ. მშრომელთა სახსრები უნდა მოხმარებოდა არა თვითმპყრობელობის ჩინოვნიკური აპარატის განმტკიცებას, არამედ მათ ნამდვილ მფლობელებს, ჩაგრულთა ინტერესებისათვის მებრძოლი მუშათა პარტიის განმტკიცებას და იმ რევოლუციას, რომელსაც ახდენდნენ მშრომელები — ქვეყნის მთელი დოვლათის შემქმნელნი.

თბილისში ჩამოსვლისთანავე კამო სათავეში ჩაუდგა ექსპროპრიაციის მომზადებას. მან ამ მიზნით არა ერთხელ იმოგზაურა ქუთაისში და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში, დაუკავშირდა ზ. ჩოდრიშვილს და მებრძოლი ტ. ქნიკური ჯგუფის წევრებს. მათი დახმარებით, თბილისის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 426.

მახლობლად — ავჭალის ფარულ ლაბორატორიაში[1] — იგი ამზადებდა ყუმბარებს. გარდა ამისა, სოლოლაკის იმ რაიონში, სადაც სახელმწიფო ბანკი იყო მოთავსებული, კამოს ინიციატივით დაქირავებულ იქნა ოთახი, რომელშიც გადაჰქონდათ და ინახავდნენ ექსპროპრიაციის მოსაწყობად საჭირო ყუმბარებსა და სხვადასხვა იარაღს.

1907 წლის 10 მაისს ექსპროპრიაციის მოწყობამდე თითქმის ერთი თვით ადრე, ლაბორატორიაში მომხდარი შემთხვევითი აფეთქების შედეგად კამოს, რომელიც თავისი ხელით ამზადებდა ყუმბარებს, მარჯვენა თვალი და მაჯა დაუშავდა. იგი დროებით მოწყდა მუშაობას და ორი-სამი კვირის განმავლობაში იწვა კერძო საავადმყოფოში. აქ მას ფარულად მკურნალობდნენ პროგრესულად განწყობილი ოკულისტი ვახტანგ მუსხელიშვილი და ექიმი სობოლევსკი. მაჯა სწრაფად შეხორცდა, თვალის შველა კი აღარ შეიძლებოდა. ჭრილობა საბოლოოდ დააჩნდა მას თეთრ ლაქად. მძიმე განცდების მიუხედავად, კამო სასოწარკვეთილებას არ მისცემია, პირიქით, საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მან კიდევ უფრო მეტი ენერგიით განაგრძო მუშაობა.

ექსპროპრიაციის უკეთ მომზადებისა და დასახული ამოცანის წარმატებით განხორციელების მიზნით კამომ კავშირი დაამყარა სახელმწიფო ბანკის მოხელესთან, რევოლუციონერების მიმართ თანაგრძნობით განწყობილ ნაცნობ თანამემამულე გიგო კასრაძესთან, რომელიც სისტემატურად აწვდიდა მას ზუსტ ცნობებს საქმესთან დაკავშირებული სხვადასხვა კონკრეტული საბანკო ოპერაციების შესახებ, ატყობინებდა პეტერბურგიდან მიღებული თანხის რაოდენობას, ფოსტიდან ბანკში გადმოსროლის წესს, დაცვის ორგანიზაციას და სხვ.

ჟანდარმერიამ ჯერ კიდევ აპრილში თითქოსდა მიაგნო ექსპროპრიაციის მზადების კვალს, მაგრამ კამო და მისი ჯგუფი მოხერხებულად, უდიდესი კონსპირაციის დაცვით მოქმე-

---

[1] აღნიშნული ლაბორატორია მოეწყო 1906 წელს და ჩავარდა 1907 წლის შემოდგომაზე. ყუმბარების დამზადების გარდა იგი წარმოადგენდა იარაღისა და ფეთქებად ნივთიერებათა მეტად მოხერხებულ საწყობს.

დებდნენ. აგენტურამ ვერ შეძლო მიღებული ცნობების დაზუსტება, რაიმე მნიშვნელოვანი კონკრეტული ფაქტების დადგენა და ექსპროპრიაციის მომზადების თუნდაც ერთი ნამდვილი მონაწილის აღმოჩენა.

1907 წლის 13 ივნისს დილით ბანკში უნდა გადაეტანათ პეტერბურგიდან მიღებული დიდი თანხა 250 000 მანეთის რაოდენობით. ფულის ტრანსპორტი ორი ეტლისაგან შედგებოდა. მას უნდა გაევლო ლორის-მელიქოვის (ახლანდელი კეცხოველის) ქუჩა, ერევნის მოედანი და მისულიყო ფრეილინის (ამჟამად სულხან-საბას) ქუჩაზე.

სამხედრო-ტექნიკურმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში კამოს გარდა შედიოდნენ ელისე ლომინაძე, ვანო კალანდაძე, ილიკო ჭაჭიაშვილი, თეოფილე კაკრიაშვილი, დათიკო ჭიაბრიშვილი, არკადი ელბაქიძე, აკაკი დალაქიშვილი, ვანო ინწკირველი[1] და სხვ., გადაწყვიტა აღნიშნული თანხის ექსპროპრიაცია და შეიმუშავა მისი მოწყობის კონკრეტული გეგმა.

თბილისში ამ დროს სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. ქალაქის თვითმმართველობის შენობასთან იდგა ოთხი კაზაკისაგან შემდგარი ცხენოსანი პატრული. მოედანზე მორიგე პოლიციელები თოფებით იყვნენ შეიარაღებული. გარდა ამისა, ტრანსპორტს იცავდა ყოველ წუთს სასროლად გამზადებული 5 ჯარისკაცისაგან შემდგარი ბადრაგი.

თავდასხმა ერევნის მოედანზე უნდა მომხდარიყო, რადგან მოედანზე, კერძოდ კი მის ცენტრში ბადრაგისათვის ნასროლი ყუმბარები და ჰაერში ატეხილი სროლა ნაკლებად ან თითქმის სულ არ დააზიანებდა ქვაფენილებზე გამვლელთ. ამავე მიზნით ოფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი კამო თავდასხმის წინ, ქალაქის თვითმმართველობის შენობასთან, გავრილოვის მაღაზიის მახლობლად, სოლოლაკის ქუჩის კუთხესთან და საერთოდ მოედანზე მდგომ ხალხს აფრთხილებდა — დაშ-

---

[1] ჩამოთვლილი ამხანაგები, თითქმის ყველანი, თვითმპყრობელობის ციხეებსა და კატორღებში გარდაიცვალნენ ან შეიარაღებულ შეტაკებათა დროს დაეცნენ.

ლილიყვნენ. ჟანდარმერიის ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: მოედანზე ცოტა ხალხი იყო. ძიების დროს გამოირკვა, რომ დილიდანვე ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი რომელიღაც სუბიექტი დასეირნობდა აქ და სთხოვდა დაეტოვებინათ მოედანი[1]. ამგვარად, „ექსცესის“ მოწყობის მომენტში თავდასხმის რაიონი თითქმის მთლიანად დაცლილი იყო ზედმეტი ხალხისაგან. ამის გამო, 7 ყუმბარის გასროლის მიუხედავად, მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში თითქმის არ ყოფილა. სამხედრო პირთაგან დაჭრილი აღმოჩნდა 5, მოკლული კი ერთი კაზაკი და ერთი პოლიციელი. ოპერაცია თავდამსხმელთა მხრივ სწრაფად და უმსხვერპლოდ ჩატარდა. ამას ხელი შეუწყო „ექსცესის“ მონაწილე თვითეული ამხანაგის თავდადებამ, უდიდესმა მოხერხებულობამ და მათ მიერ რევოლუციონერ-კონსპირატორის შესანიშნავი თვისებების გამომჟღავნებამ. ყველამ ზუსტად იცოდა თავისი ადგილი და მოვალეობა, მოედანზე გამოსვლისთანავე ფულის ტრანსპორტს ჩამოაშორეს ბადრაგი, გაჰფანტეს თვითმმართველობის შენობასთან მდგომი პიკეტი, შეიარაღებული სამხედრო პირები. აფეთქებამ და სროლამ ისეთი პანიკა შექმნა, რომ გარეშეთაგან ვერავინ შეძლო გარკვევა, საიდან გაისროლეს ყუმბარები, რამდენი იყვნენ ან საით მიიმალნენ თავდამსხმელები, ვერ შეამჩნიეს როგორ გაიტაცა ფული ოფიცრის ტანისამოსში გამოწყობილმა სამხედრო პირმა, რომელიც თავდასხმის მომენტში ველიამინოვის (ახლა ილია ჭავჭავაძის) ქუჩის მხრიდან ეტლით რამდენიმე წუთით შემოიჭრა მოედანზე და სწრაფად გაქრა.

ამ ექსპროპრიაციას, — წერდა ფ. მახარაძე, — არ ჰქონია შემთხვევითი ხასიათი. აქ იყო სისტემა, დასახული იყო გრანდიოზული გეგმა, რომლის განსაკუთრებული ხელოვანი იყო კამო. ეს აქტი იმ დროს, როდესაც სტოლიპინის რეაქცია მთელ რუსეთში მუშათა კლასზე თითქოს თავის გამარჯვებას ზეიმობდა, „არა მარტო დიდი მარცხი იყო რეაქციისათვის, არამედ ეს იყო, აგრეთვე, ერთგვარად მორალური სამაგიეროს

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 22, საქმე 415, გვ. 79.

გადახდა მუშათა კლასის მხრივ საბოლოოდ აღვირახსნილ შავრაზმელების წინააღმდეგ. რომ კამოსა და მის ჯგუფს ჰარტიის წინაშე კიდევ სხვა ღვაწლიც არ მიუძღოდეს, ან წარსულში ანდა მის შემდეგ, მარტო ეს ერთი ექსპროპრიაციაც კი ერევნის მოედანზე, სავსებით საკმარისი იქნებოდა, რომ მათი ხსოვნა სამუდამოდ დარჩენილიყო ჩვენში" [1].

კამომ ხაზინიდან ექსპროპრიირებული თანხა უდიდესი კონსპირაციის დაცვით გადაიტანა . ბაქოში, შემდეგ პეტერბურგზე გავლით — ფინეთში და 1907 წლის აგვისტოში გადასცა დანიშნულებისამებრ.

IV

თვითმპყრობელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ექსპროპრიაციის მონაწილეთა აღმოჩენას. წინასწარი გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელ მალინოვსკის. დაიწყო ჩხრეკა, დაკითხვები, მაგრამ თავდამსხმელთა ვინაობის ან მათი გაქცევის ნამდვილი მიმართულების დადგენა, სწორი ჩვენების სრული უქონლობის გამო, შეუძლებელი გახდა. მალინოვსკის მოქმედება, რომელიც ცრუ და ყალბ ცნობებს ეყრდნობოდა, უილაჯო, კარიკატურული იყო. 28 ივნისს საკომენდატო სამმართველოში დააკავეს ახალგაზრდა ქალი — სულით ავადმყოფი ადა გრიგოლის ასული მეჟებოვსკაია, რომელიც დაჟინებით გაიძახოდა, რომ ერთი ყუმბარა ერევნის მოედანზე თითქოს მან ისროლა. მეჟებოვსკაიას ავადმყოფობა აშკარა იყო. მიუხედავად ამისა, მალინოვსკიმ პროკურორის თანხმობით იგი მეტეხის ციხეში გაგზავნა. დაიწყო დაკითხვები. მეჟებოვსკაია ულოგიკო და უმიზნო პასუხებს იძლეოდა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი შეამოწმა ფსიქიატრმა. პატიმარი, რომელიც ჭკუაზე შემცდარი აღმოჩნდა, ციხიდან 2 ივლისს გაათავისუფლეს. დაპატიმრებები და უთავბოლო ძიება ამის შემდეგაც გრძელდებოდა. ამჯერად პოლიციის ყურადღება მიიპყრო ანა ვოსტრიკოვამ, რომელიც თბილისელ მო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ., 18 ივლისი, № 162.

ქალაქე ვიღაც გამბაროვს ემსახურებოდა მრეცხავად. ვოსტრიკოვასაგან მიღებული ფანტასტიკური, საეჭვო, ყალბი ცნობების საფუძველზე მალინოვსკიმ სერიოზული ძიება გამართა. ვოსტრიკოვას ჩვენებით პეტერბურგისა და თბილისის ქუჩებში დააპატიმრეს 14 სტუდენტი, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ „ექსცესის“ მოწყობის საქმესთან. ხანგრძლივი წამების შემდეგ, მათი უმრავლესობა გამოუშვეს; საგამომძიებლო მასალა, რომელმაც 1907 წლის დამლევისათვის სამი ტომი შეადგინა, სავსე იყო წინააღმდეგობებით, ყალბი ცნობებით, დამადასტურებელი საბუთები კი არ იყო. ამიტომ გამომძიებელს საშუალება არ ჰქონდა გარკვეულ გზას დადგომოდა და იგი ერთ ადგილს ტკეპნიდა.

1907 წლის აგვისტო კამომ ფინეთში, ვ ი. ლენინთან გაატარა. პროლეტარიატის დიდი ბელადის გაცნობამ, მასთან ხანგრძლივად ყოფნამ არაჩვეულებრივი გავლენა მოახდინა კამოზე. მას ბავშვური გულწრფელობით შეუყვარდა ილიჩი. კამო გამოიბრძმედა, დიდი გამოცდილება მიიღო, ბევრი რამ შეიძინა რევოლუციურ-მარქსისტული პარტიის თეორიისა და პრაქტიკის დარგში. იგი მზად იყო ახალი ძალით გადაშვებულიყო მრისხანე პოლიტიკური ბრძოლების ქარცეცხლში. კრასინთან ერთად, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური ცენტრის სამხედრო-ტექნიკურ საქმიანობას, კამომ აქვე — ფინეთში ყოფნის დროს შეიმუშავა თავისი მომავალი მოღვაწეობის დეტალური გეგმები.

1907 წლის ოქტომბრის დასაწყისს კამო მიემგზავრება პარიზში, ლიეჟში, ხვდება ლიტვინოვს, რომელსაც ფართო ნაცნობობა ჰქონდა ევროპაში და რომელიც დახელოვნებული იყო იარაღის შეძენის საქმეში. ლიტვინოვთან შეთანხმების შემდეგ კამო მცირე ხნით ბერლინში იმყოფება; 12 ოქტომბერს ჩადის ჟენევაში, შემდეგ ვენაში. აქ იგი რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ხვდება ლიტვინოვს და მასთან ერთად მიემგზავრება სოფიაში, სადაც ლიტვინოვს ჰყავდა ნაცნობი ინჟინერ-ქიმიკოსი, რომელიც ბულგარეთის სამხედრო სამინისტროში მუშაობდა. ამ ინჟინრისაგან ლიტვინოვმა და კამომ შეიძინეს ახალი სისტემის დიდი დეტონაციის 200 ფისტონი,

ასაფეთქებელი მოწყობილობა და 27 ოქტომბერს დაბრუნ-დნენ ბერლინში. ლიტვინოვი მცირე ხნით რუსეთში გამოემგ-ზავრა, კამო კი ბერლინში დარჩა.

სოციალ-დემოკრატიის რიგებში გამძვრალ პროვოკატორ ჟიტომირსკის წყალობით გერმანიის ხელისუფალთათვის ცნობილი გახდა, რომ კამო ბერლინში იმყოფებოდა. ზუსტად დაადგინეს მისი საცხოვრებელი ადგილიც. მაგრამ პოლიციამ ამ დროს ჯერ კიდევ არ იცოდა კამოს ნამდვილი გვარი. იგი მას ერთ-ერთ რუს რევოლუციონერ-ტერორისტად თვლიდა, რომელიც მირსკის[1] სახელს ატარებდა. დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ, 1907 წლის 9 ნოემბერს მირსკის გვარის მატარებელი პიროვნება გაჩხრიკეს. თავდასხმა მოულოდნელი იყო; ჩხრეკის შედეგად მას აღმოაჩნდა ორძირიანი ჩემოდანი, რომელშიც იპოვნეს: 200 გამზადებული საპირისწამლე, 12 ფისტონი მგრგვინავი ვერცხლისწყლით, 20-მდე ელექტრობატარეის ელემენტი, დიდძალი ფეთქებადი ნივთიერება, საცდელი მოწყობილობა და სხვ. კამოს ჩამოართვეს პასპორტი, გაცემული თბილისში მყოფი ავსტრიის გენერალური კონსულის მიერ დამზღვევი აგენტის — დიმიტრი მირსკის სახელზე. მფლობელის დაბადების თარიღად მასში აღნიშნული იყო 1886 წელი. პოლიციის მოხელე, რომელმაც მაშინვე მიაქცია ყურადღება იმას, რომ დაკავებული არ გავდა 21 წლის მამაკაცს დაეჭვდა „მირსკის“ ნამდვილ ვინაობაში. ეჭვები კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც შენიშნეს, რომ კამოს ნაწერი სრულებით არ უდგებოდა პასპორტში აღნიშნულ ხელწერას.

გერმანიის საპოლიციო ხელისუფლებმა, რომლებსაც რუსეთის თვითმპყრობელობისათვის სამსახურის გაწევის სურვილი ამოძრავებდათ, „მირსკის“ დაპატიმრება და სერიოზული ძიების გაშლა გადაწყვიტეს. 10 ნოემბერს შედგა პირველი დაკი-

---

[1] 1907 წლის 13 ივნისის „ექსცესის“ შემდეგ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრმა, ავსტრიის ქვეშევრდომმა დიმ. მირსკიმ კამოს რუსეთის საზღვარზე გადასასელელად დაუთმო თავისი საზღვარგარეთული პასპორტი.

თხვა. კამომ კატეგორიულად უარყო ბრალდებები და განაცხადა, რომ პასპორტში აღნიშნული ცნობები სავსებით სწორია. თავისი შედარებით ხნოვანი შესახედაობა მან მირსკის შთამომავლობის თავისებური ხასიათით ახსნა. კამო სხვა ბრალდებებსაც უარყოფდა და აღნიშნავდა, რომ ჩემოდანი მას არ ეკუთვნის; იგი მან ვენაში ითხოვა ვინმე პეტროვისაგან, რომელმაც დაავალა მას შემდეგ ეს ჩემოდანი გადაეცა რუსეთში კოზლოვსკის სადგურის უფროსისათვის. ის ფაქტი, რომ ჩემოდანს ორმაგი ძირი ჰქონდა და შიგ ფეთქებადი ნივთიერება ეწყო, მან სრულებით არ იცოდა[1]. კამო უარყოფდა ყოველგვარ კავშირს პოლიტიკურ მოძრაობასთან და აცხადებდა, რომ თბილისიდან ევროპაში გამოემგზავრა წმინდა ტურისტული მიზნით; დაათვალიერა ბაქო, პეტერბურგი; იყო ფინეთში იმატრის ჩანჩქერის სანახავად, შემდეგ ბერლინს ესტუმრა, ნახა ვენა, ცოტა ხნით სამხრეთ ევროპისაკენ იმოგზაურა, ბოლოს კი დაბრუნდა კვლავ ბერლინში, სადაც დ-რი ჰირშფელდი მკურნალობდა მარჯვენა თვალს. თვალის დაშავება კამომ სპირტის შემთხვევით აფეთქებას დააბრალა.

11 ნოემბერს კამო მოაბიტის ციხეში მოათავსეს. გაიმართა მიწერ-მოწერა რუსეთის მთავრობასთან. სპეციალურად მოვლინებული ფელდეგერის საშუალებით კამოს ბინაზე აღმოჩენილი ფეთქებადი მოწყობილობა დაუყოვნებლივ გადაიტანეს პეტერბურგში და საექსპერტიზოდ გადასცეს მიხაილოვის საარტილერიო აკადემიის ქიმიურ ლაბორატორიას. ამავე დროს, პოლიციის დეპარტამენტის მითითებით მირსკის პიროვნების დადგენა დაევალა თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს, რომელმაც ხანმოკლე ძიების შემდეგ, 1907 წლის ნოემბრის ბოლოს, შორაპნის მაზრის სოფ. საქერქედიეში, აღმოაჩინა ნამდვილი მირსკი და მოათავსა იგი მეტეხის ციხეში. პოლიციისათვის ნათელი გახდა, რომ მოაბიტის ციხეში მჯდომი ტუსაღი განზრახ ითვისებდა მირსკის გვარს. ამიერიდან ახალი ძალით გაიშალა ძიება ბერლინში

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 2, გვ.1.

დაპატიმრებული „მირსკის“ ნამდვილი ვინაობის გამოსარკვევად. გამოძიების შემდგომი მსვლელობის დროს, 1907 წლის დეკემბერში, პოლიციის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ ბერლინში დაპატიმრებული მირსკი სოციალ-დემოკრატია და პარტიაში ცნობილია „კამოს“ სახელწოდებით. გაუგებრობა თანდათანობით ქრებოდა. კამოს პარტიული სახელით ჟანდარმერია ადრიდანვე იცნობდა აქტიურ სოციალ-დემოკრატ მოღვაწეს. იგი წერდა: „კამო ითვლებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწედ, მოძრაობისა, რომელსაც დაახლოებით 8—9 წელიწადს ემსახურებოდა; იგი ცნობილი იყო როგორც ყოველგვარი ტექნიკური რევოლუციური საქმეების დიდად მოხერხებული და ჭკვიანი ორგანიზატორი, რომელიც აწყობდა არალეგალურ სტამბებს, სხვადასხვა საწყობებს,... გაქცევას ციხეებიდან“ [1] და სხვ. პოლიციამ ისიც იცოდა, რომ კამო მონაწილეობას იღებდა 1906 წლის დეკემბერში კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ ბულგარეთიდან იარაღის გადმოტანაში. არსებული ცნობების გარდა, ოხრანკას დადგენილი ჰქონდა, რომ კამოს სახელით ცნობილი პიროვნება იყო გორიდან, წარმოშობით სომეხი. ამგვარად, გამოურკვეველი მხოლოდ მისი ნამდვილი გვარიღა რჩებოდა. აღნიშნულ საქმეში ჟანდარმერიას დიდი დახმარება გაუწია ამ დროს ქუთაისის ციხეში მყოფმა პატიმარმა არსენ ქარსიძემ, რომელიც ჯაშუშობის გზას დაადგა. 1908 წლის მარტში მან ქუთაისის გუბერნიის დროებით გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნა განცხადება, რომელშიც ზუსტად ასახელებდა ერევნის მოედანზე მომხდარი ექსპროპრიაციის მონაწილეებს. „ექსცესის“ ხელმძღვანელად ქარსიძე კამოს ასახელებდა. ამის შემდეგ კამოს ვინაობის გამორკვევას უშუალოდ მოჰკიდა ხელი საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა მალინოვსკიმ, რომელიც განაგრძობდა ძიებას ერევნის მოედანზე სახაზინო თანხის გატაცების მონაწილეთა აღმოსაჩენად. 16 აპრილს ქარსიძეს წარუდგინეს კამოს სურა-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 31, საქმე 320, გვ. 2.

თი, 22 აპრილს კი მიღებული შედეგის შესახებ ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველომ შემდეგი შინაარსის სასწრაფო ცნობა გამოგზავნა თბილისში: „ქარსიძის ჩვენების თანახმად ფოტოსურათში აღნიშნული პიროვნება — კამო — არის გორის მცხოვრები სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი. ქარსიძისაგან მიღებული ჩვენების შემოწმება გრძელდება. შედეგებს გაცნობებთ დამატებით“ [1]. ოხრანკის მასალების გადასინჯვის შედეგად გამოირკვა, რომ ტერ-პეტროსიანის გვარით ცნობილი პიროვნება 1903 წლის ნოემბერში დაუპატიმრებია ბათუმის პოლიციას. ამის გამო 1908 წლის ივნისში ბათუმში ზედიზედ გზავნიან კამოს სურათებს. მალინოვსკის მოთხოვნით: „კამოს ნამდვილი პიროვნების დადგენის მიზნით, გთხოვთ გადმოგზავნილი სურათი წარუდგინოთ ბათუმის ციხის ადმინისტრაციის მუშაკებს და შედეგები მაცნობოთ“ [2]. ბათუმიდან მიღებული პასუხები საბოლოოდ ხსნიან კვანძს. ნათელი ხდება, რომ „პიროვნება ცნობილი კამოს პარტიული სახელით, არის გორელი მღვდლის შვილიშვილი სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი“ [3]. გარდა ამისა ირკვევა სხვა დაწვრილებითი ცნობებიც კამოს დაპატიმრებისა და ბათუმის ციხიდან გაქცევის შესახებ. ამგვარად, ხანგრძლივი ძიების შემდეგ თვითმპყრობელობამ ზუსტად დაადგინა ბერლინში დაპატიმრებული „მირსკის“ ნამდვილი ვინაობა.

ამავე პერიოდში, 1907 წლის ბოლოსა და 1908 წლის დასაწყისისათვის მარცხით დამთავრდა პარტიის მიერ გამოყოფილი ამხანაგების ცდა რუსეთის და ევროპის მთელ რიგ ქალაქებში ერთდროულად გადაეხურდავებიათ ექსპროპრიირებული ფული, რომლის დიდი ნაწილი 500-მანეთიანი ასიგნაციებისაგან შედგებოდა. აღნიშნულ მარცხს ფულის გადახურდავების საქმეში ხელი შეუწყო, ერთი მხრივ იმან,

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 22, საქმე 476, გვ. 79.

[2] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31 (თემატიკის მიხედვით), საქმე 139, გვ. 3.

[3] იქვე, გვ. 5.

რომ გატაცებული ასიგნაციების ნომრები[1] ჟანდარმერიამ აცნობა რუსეთის იმპერიის ყოველ კუთხეს, ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ხელისუფალთ, რის გამოც პოლიციის სასტიკი ბრძანებით 500 მანეთიანებს ყველგან დიდი დაკვირვებითა და ყურადღებით სინჯავდნენ, მეორე მხრივ კი იმან, რომ ამ საქმეშიც ჩაბმული აღმოჩნდა პროვოკატორი ჟიტომირსკი. ამასთან დაკავშირებით ნ. კ. კრუპსკაია წერს:

„ჩვენი საზღვარგარეთ გამგზავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა... ფულის გადახურდავების ცდა. ამის შესახებ იცოდა პროვოკატორმა ჟიტომირსკიმ; იგი აღნიშნული გადახურდავების ორგანიზაციაში მონაწილეობას ღებულობდა. მაშინ არავინ არ ვიცოდით, რომ ჟიტომირსკი პროვოკატორი იყო, და ყველანი სრული ნდობით ვეკიდებოდით მას. მან კი ამასობაში გასცა ბერლინში მყოფი კამო, რომელსაც აღმოუჩინეს დინამიტით სავსე ჩემოდანი... ამის შემდეგ... ჟიტომირსკიმ კვლავ გააფრთხილა პოლიცია, და ისინი, ვინც გადახურდავებაში მონაწილეობდნენ, დაპატიმრებული აღმოჩნდნენ“ [2].

1908 წლის 6 იანვარს მიუნხენში დააპატიმრეს ჟენევის ჯგუფის წევრი ოლგა რავიჩი, რომელსაც სურდა დაეხურდავებია 500-მანეთიანი ასიგნაცია. რავიჩის დაპატიმრებიდან ორი-სამი დღის შემდეგ მიუნხენშივე დააკავეს რამდენიმე სტუდენტი სოციალ-დემოკრატი, რომლებსაც აღმოუჩინეს 17 ხუთასმანეთიანი საკრედიტო ბილეთი. 8 იანვარს ჟენევაში დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატიის თვალსაჩინო მოღვაწე ნ. ა. სემაშკო. ჩავარდნები ხუთასმანეთიანების გადახურდავების დროს სულ უფრო და უფრო გახშირდა. მალე პარიზში აპატიმრებენ ამხ. ლიტვინოვს, ბულგარეთში — ტიუფიქჩიევს; ჟენევაში ო. რავიჩთან წერილობითი ურთიერთობის გამო სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს ამხ. კარპინსკი. მასობრივი თვითნებური დაპატიმრებები მოხდა ემიგრანტ რუს სოციალ-დემოკრატთა კოლონიებში: ბერლინსა და პარიზში, მიუნხენსა, ჟენევასა და სტოკჰოლმში. კამოსთან ერთად, რავიჩი, სემაშკო, ლიტვი-

---

[1] 62901-დან 63000-მდე და 63701-დან 63800-მდე.

[2] ნ. კ. კრუპსკაია, მოგონებები ლენინზე, პარტგამომცემლობა, 1933 წელი, ნაწილი II, გვ. 136.

ნოვი, კარპინსკი და სხვები თვითმპყრობელობამ ერევნის მოედნიდან 250 ათასი მანეთის გატაცების უშუალო მონაწილეებად — სისხლის სამართლის დამნაშავეებად გამოაცხადა და დაიწყო მოლაპარაკება მათი რუსეთის მთავრობისათვის გადაცემის შესახებ. თვითმპყრობელობის ხაზინიდან თანხების ექსპროპრიაცია აშკარა პოლიტიკური აქტი იყო, მაგრამ ცარიზმსა და დასავლეთ ევროპის რეაქციას მისი სისხლის სამართლის დანაშაულად გადაქცევა სურდათ, რათა ამით ანგარიში გაესწორებიათ მთელი რევოლუციური მოძრაობისათვის.

პარტიამ, რომლის წინაშე ამოცანად დადგა დაეცვა დაპატიმრებულები რეაქციის ცილისმწამებლური თავდასხმებისა და თვითმპყრობელობის კლანჭებში ჩავარდნისაგან, სასტიკი პროტესტი განაცხადა ცარიზმის უსამართლო მოთხოვნის გამო. იგი აღნიშნავდა, რომ ექსპროპრიაცია რევოლუციური მიზნით ექსპროპრიირებულთა მხრივ წარმოადგენს არა სისხლის სამართლის დანაშაულს, არამედ აშკარა რევოლუციურ აქტს. გარდა ამისა პარტია ამტკიცებდა, რომ სემაშკო და რავიჩი, ისევე როგორც ლიტვინოვი, კარპინსკი და სხვები ამ მხრივაც სრულიად უდანაშაულონი იყვნენ. მათ არ მიუღიათ მონაწილეობა თვითმპყრობელობის ხაზინაზე მოწყობილ თავდასხმაში. ნ. ა. სემაშკოს დაპატიმრების გამო პროტესტის ნიშნად ვ. ი. ლენინმა ოფიციალური განცხადებით მიმართა საერთაშორისო ბიუროს (ლენინის ეს განცხადება დაიბეჭდა გაზეთ „Berner tegvacht"-ის „ბერნის გუშაგი" № 29-ში 1908 წ. 5 თებერვალს). გარდა ამისა 2 თებერვალს ილიჩმა წერილი გაუგზავნა მ. გორკის, რომელსაც სთხოვდა, რომ თუ იგი იცნობდა სემაშკოს, გამოსულიყო მის დასაცავად შვეიცარიის პრესაში.

მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პარტიას და დაჟინებით მოითხოვეს უსამართლოდ დაპატიმრებული რუსი სოციალ-დემოკრატების განთავისუფლება. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, მიუხედავად მათი ოპორტუნისტული შეფერადებისა, მემარცხენე ელემენტების და მასების მოთხოვნის გავლენით იძულებული გახდნენ გამოსულიყვნენ პრესაში

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიურ მოღვაწეთა მიმართ მიღებული რეპრესიებისა და რუსეთისათვის მათი გადაცემის წინააღმდეგ. მხოლოდ რუსმა მენშევიკებმა დაუჭირეს მხარი თვითმპყრობელობის მოთხოვნას. ეს შემთხვევითი როდი იყო. მენშევიკები, რომლებიც გამოდიოდნენ პარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ლიკვიდაციის გეგმებით, თვითმპყრობელობასთან შერიგებას ცდილობდნენ; ამის გამო გმობდნენ, „ბლანკიზმად" და ძალადობად აცხადებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ შეიარაღებულ აქტს. ამ შემთხვევაშიც მათ საზიზღარი, გამცემლური პოზიცია დაიკავეს. მენშევიკები მარტოვი და აქსელროდი მოითხოვდნენ ერევნის მოედანზე მომხდარი „ექსცესი" გამოეყენებიათ ბოლშევიკების დისკრეტიზაციისათვის უცხოელთა თვალში; შეედგინათ ცილისმწამებლური მოხსენებები; ეთარგმნათ ისინი გერმანულ, ფრანგულ ენებზე, გაეგზავნათ კაუცკისათვის, ადლერისათვის, ინტერნაციონალური ბიუროსათვის ლონდონში, უფრო მეტი, ციურიხის ჯგუფმა, რომელშიც უმრავლესობა მენშევიკებს ეკუთვნოდათ, უარი განაცხადა მხარი დაეჭირა უმიზეზოდ დაპატიმრებული სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკების რუსეთის მთავრობის ხელში გადაცემის საწინააღმდეგოდ გაშლილი აგიტაციისათვის. მენშევიკების ასეთ გამცემლურ პოზიციაზე დადგომამ დიდად აღაშფოთა ვ. ი. ლენინი. მან 2 თებერვალს მ. გორკისადმი მიწერილ წერილში მენშევიკების ამ საქციელს ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული საზიზღარი გამოხდომა უწოდა.

თავისი დემაგოგიური, ცილისმწამებლური გამოსვლებით მენშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ ექსპროპრიაციის მონაწილეთა საქმე პარტიის ხაზით გამოსაძიებლად გადაეცა საზღვარგარეთულ ცენტრალურ ბიუროს, რომელმაც ჩამოაყალიბა სპეციალური საგამომძიებლო კოლეგია. ბოლშევიკების სიძულვილით დაბრმავებული მარტოვი, აქსელროდი და ადგილობრივი მენშევიკური ორგანიზაციები ზედიზედ უგზავნიდნენ კოლეგიას საზიზღარი ცილისწამებებით სავსე მოღალატურ წერილებს. ასეთი მოქმედების შედეგად საერთოპარტიულ საქმეში ნაკლებად კომპეტენტურ ამ კოლეგიას

დაუგროვდა უამრავი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი კონსპირაციული მასალა; პარტიის არალეგალურ მოღვაწეთა ნამდვილი სახეები, ცნობები კერძო კრებებისა და პარტიის საიდუმლო ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც შეადგენდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრთა საიდუმლოებას და რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ექსპროპრიაციასთან. განსაკუთრებულ—„აქტივობას“ კავკასიელი მენშევიკები იჩენდნენ. კავკასიის მენშევიკური საოლქო კომიტეტის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მან ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ ფურცელში ბრალი დასდო პარტიის ამ უმაღლეს ორგანოს ერევნის მოედანზე მომხდარი ექსპროპრიაციის საქმის გამოძიების გაჭიანურებაში და ცენტრალური კომიტეტის სანქციის გარეშე გამოიტანა დადგენილება ექსპროპრიაციის მონაწილე პირთა პარტიიდან გარიცხვისა და მათი სიების ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის დაგზავნის შესახებ.

საქმის ასეთი მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა როგორც პარტიული მუშაკების პირადი შემადგენლობის უშიშროებას, ისე პარტიის მნიშვნელოვან მატერიალურ ინტერესებსაც. ამის გამო ცენტრალურმა კომიტეტმა ჩამოართვა გამოძიების წარმოება საზღვარგარეთულ ცენტრალურ ბიუროს და მთელი მასალები გადასცა ცენტრალური კომიტეტის 5 წევრისაგან შემდგარ საგანგებო კომისიას. 1909 წლის 3—11 იანვარს პარიზში გამართულმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელსაც ვ. ი. ლენინი ესწრებოდა, სასტიკად დაგმო მენშევიკების ანტიპარტიული მოქმედება, უკანონოდ ცნო ამიერკავკასიის მენშევიკური საოლქო კომიტეტის თვითნებური დადგენილებები და ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართული ცილისწამების გამო დააყენა საკითხი ამ ორგანიზაციის პარტიულ სამართალში მიცემის შესახებ; ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების წინააღმდეგ დემაგოგიური გამოსვლებისა და გამცემლური საქმიანობის გამო პარტიულ სამართალში მისცეს მარტოვიც[1].

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 1, გვ. 257—259.

მენშევიკების, ისევე როგორც ცარიზმის, გეგმები კრახით დამთავრდა. დასავლეთ ევროპის მთავრობები, კარპინსკის, სემაშკოს, რავიჩის, ლიტვინოვისა და სხვა რევოლუციონერების მიმართ მიღებული რეპრესიული ზომების საწინააღმდეგოდ გაშლილი პოლიტიკური მოძრაობის აშკარა ზრდის წინაშე იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და უარი ეთქვათ დაპატიმრებული სოციალ-დემოკრატების თვითმპყრობელობისათვის გადაცემაზე. მალე პარიზის ციხიდან გამოუშვეს ლიტვინოვი; ჟენევაში გაათავისუფლეს კარპინსკი, სემაშკო და სხვები. ჯიუტობას მხოლოდ ბერლინის ხელისუფლები იჩენდნენ. ისინი კატეგორიულ უარს აცხადებდნენ კამოს მდგომარეობის შემსუბუქებაზე. დაკითხვები მთელი სისასტიკით გრძელდებოდა. კამოს საქმე 1908 წლის 14 თებერვალს სასამართლო კოლეგიას უნდა მოესმინა. გერმანიის მთავრობა მისი სისხლის სამართლის კანონებით დასჯას იმუქრებოდა.

პარტიამ, ვ. ი. ლენინის მითითებით, გადაწყვიტა კამოს დაცვა. ჯავაირა ტერ-პეტროსიანი იგონებს: „ილიჩს კამო ძალიან უყვარდა და აფასებდა მას, ამბობდა, რომ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა გადავარჩინოთო კამო. ვლადიმერ ილიას ძემ დაავალა ლიტვინოვს მიემართა კ. ლიბკნეხტისათვის, რათა მოეწყო ბერლინში დაპატიმრებული კამოს დაცვა. ოფიციალური ურთიერთობისათვის კ. ლიბკნეხტმა გამოჰყო ოსკარ კონის კანდიდატურა, თვითონ კი გავლენას ახდენდა პრესაზე და პარტიულ ხელმძღვანელობაზე. ლიბკნეხტმა ადვოკატ ოსკარ კონის კანდიდატურა წამოაყენა იმიტომ, რომ იგი იყო მისი მეგობარი და პარტიული ამხანაგი“ [1].

კამოს საქმესთან დაკავშირებით ბერლინში ჩამოვიდა ლ. ბ. კრასინი. მასთან შეხვედრის, სათანადო მითითებების

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 6, გვ. 3.

მიღებისა და საგამომძიებლო მასალების წინასწარი გადათვალიერების შემდეგ, 1908 წლის 6 თებერვალს ოსკარ კონმა ინახულა კამო მოაბიტის ციხეში. მეორე დღეს კი, როგორც ციხის ადმინისტრაცია იტყობინებოდა, პატიმარმა დაიწყო სიგიჟის გამომჟღავნება, შმაგობა და სხვ. საფიქრებელია, რომ შეშლილობის სიმულაციის აზრი მას სწორედ ოსკარ კონმა უკარნახა. ბერლინის პოლიცია, რომელიც სერიოზულად დაეჭვებულა ამაში, 8 თებერვალს სავსებით სამართლიანად კითხულობდა; ტუსაღმა „გუშინ ნახა თავისი დამცველი, ამან ხომ არ გამოიწვია მისი აღგზნებული მდგომარეობა?“ [1].

14 თებერვალს შედგა სასამართლო სხდომა. კამო უდიდესი ოსტატობით განაგრძობდა სიმულაციას. საბრალდებო სკამის ღაკავებისთანავე იგი „კვნესოდა და თავის ტკივილს უჩიოდა. შემდეგ, თარჯიმანი ქალის შემწეობით დაკითხვისას ახსნა, რომ ის 26 თუ 27 წლისაა, რუსეთის ქვეშევრდომია, თავდაპირველად სწავლობდა სომხურ სკოლაში და დროებით ცხოვრობდა თბილისში. სამი თუ ოთხი წლის წინათ ემზადებოდა გამოცდის ჩასაბარებლად მოხალისედ ჯარში წასვლის მიზნით. არასოდეს არ ყოფილა სამხედრო სამსახურში. პროფესიით გაზეთის კორესპონდენტია, ეწეოდა აგრეთვე თარგმნასაც. პოლიტიკური შეხედულებით სოციალ-დემოკრატია. ამის გარდა სხვა არავითარი ახსნა-განმარტება არ მოუცია. მაგიდაზე დადო თავი და მხოლოდ ყრუდ და გაუგებრად პასუხობდა“ [2].

კამოს ქცევამ სერიოზულად ჩააფიქრა სასამართლო კოლეგიის წევრები. მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება, რომლითაც სამკურნალო ექსპერტებს დაევალათ გამოერკვიათ კამოს სულიერი მდგომარეობა. კამო ციხის საავადმყოფოში მოათავსეს. ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად 1908 წლის 23 მაისს ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბრალდებულის „ყოფაქცევის დამახასიათებელი თვისებების სიმულირება დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელია; ასე იქცევა მხოლოდ

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 2, გვ. 3.

[2] იქვე, საქმე 2, გვ. 3.

ნაძდვილი ავადმყოფი, რომელსაც გონება დაბნელებული აქვს... ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა სულიერი აშლილობის ისეთი სახე, რომელიც უფრო მართებული იქნება ისტერიულ ფორმებს მივაკუთვნოთ. ეს სულიერი აშლილობა ემართებათ იმ პირებს, ვინც სასამართლოს განაჩენის ძალით ციხეში ან ჯერ კიდევ გამოძიებაში იმყოფება, ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, იმ პირებს, ვისაც ნერვები სავსებით ჯანმრთელი არა აქვს და ვისაც ან მემკვიდრეობითი მიდრეკილება აქვს, ან ნერვული ავადმყოფობა თუ ისტერია ჰქონდა, ან, ბოლოს, თავის სულიერ განვითარებაში უკვე წინათაც ემჩნეოდა დეფექტები, სახელდობრ, ეგრეთწოდებული დეგენერაციის მოვლენები. სულიერი ავადმყოფობა ამ სიტყვის ვიწრო აზრით გვევლინება უკვე როგორც საპყრობილეში ყოფნის შედეგი, რომელიც წარმოიშვა ამისათვის ხელსაყრელ ნიადაგზე“ [1]. ასეთი მსჯელობის შემდეგ, ექსპერტები კვლავ იმეორებენ იმას, რომ „დიმიტრი მირსკად წოდებული პირი დღეს წარმოადგენს სულით ავადმყოფ ადამიანს და ასეთად დარჩება მომავალშიაც, რამდენადაც შეიძლება ამის გათვალისწინება“ [2]. ამგვარად, კამოს მხრივ შეშლილობის სიმულაციის მიმართ ეჭვი თითქმის სავსებით გაქრა. დადგენილება მისი პატიმრობაში აყვანის შესახებ გაუქმებულ იქნა და 1908 წლის 4 ივნისს იგი ჰერცბერის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში გადაიყვანეს. ამავე დღეს გაიხსნა სამეურვეო ფურცელი, რომელშიც ზუსტად აღინიშნებოდა კამოს ქცევაზე დაკვირვების ყოველდღიური შედეგები.

კამო ოსტატურად განაგრძობდა სიმულაციას. მისი ფანტაზია ამ მხრივ უსაზღვრო იყო. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ საავადმყოფოში გადაყვანის პირველი დღეებიდანვე იგი განუწყვეტლივ მღეროდა, ლაპარაკობდა გაუგებრად, იკაწრავდა სახეს, ითხუპნებოდა გამოდენილი სისხლით, იგლეჯდა ულვაშებს — იმ მოტივით, რომ თითქოს სურდა ისინი სახსოვრად

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამო პირადი ფონდი, საქმე 2, გვ. 3 — 4.

[2] იქვე, გვ. 4.

გაეგზავნა ამხანაგისათვის; შეშლილისათვის დამახასიათებელი ყინიანობით მრავალჯერ იმეორებდა გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს, ამტკიცებდა, რომ იგი „დიმიტრი მირსკია“, რომ ბერლინში მხოლოდ თვალის სამკურნალოდ ჩამოვიდა ექიმ ჰირშფელდთან, რომ ორძირა ჩემოდანი პოლიციის გამოგონილი ამბავია და სხვ.

1908 წლის ივნისში რუსეთის მთავრობამ საბოლოოდ დაადგინა „მირსკი“ — „კამოს“ ნამდვილი ვინაობა. 13 ივნისს ბერლინის პოლიციას მოუვიდა პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალური მოწერილობა. ბერლინელთათვისაც ნათელი გახდა, რომ მათ მიერ დაპატიმრებული „მირსკი“, იგივე „კამო“ — სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანია, რომელიც ხელმძღვანელობდა ერევნის მოედანზე მოწყობილ ექსპროპრიაციას. რუსეთის მთავრობამ კამო სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოაცხადა, ამის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. დადგენილება კამოს დაპატიმრების შესახებ კვლავ შევიდა ძალაში. 29 ივნისს იგი სულით ავადმყოფთა ბერლინის საქალაქო საავადმყოფოში — ბუხში გადაიყვანეს და მოათავსეს სისხლის სამართლის დამნაშავეთა პავილიონში, რომელიც პოლიციის სპეციალური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

კამომ, რომელმაც მალე შეიტყო, რომ მისი ნამდვილი ვინაობა ცნობილია პოლიციისათვის, გადაწყვიტა ადრევე აეღო ხელი მტკიცებაზე, რომ იგი მირსკია, და სასჯელისაგან თავდახსნის მთელი იმედი შეშლილობის სიმულაციისათვის, თავისი ნებისყოფისა და მსახიობური ოსტატობისათვის მიენდო. 1908 წლის 22 აგვისტოს მან განაცხადა ნამდვილი გვარი. ამავე დროს, შეშლილის რეპუტაციის განმტკიცებისა და თავისი ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელების მიზნით, კამო თამამად მიმართავდა ხოლმე სიცოცხლისათვის საშიშ რადიკალურ საშუალებებს — საკუთარი სხეულის დაზიანებიდან თვითმკვლელობის სერიოზულ ცდებამდეც კი: 23 აგვისტოს მან სცადა კბილით გადაეჭრა მარცხენა ხელის ძარღვი; წინასწარ გაფრთხილების მიუხედავად დალია რძე, რომელშიც ვითომდა საწამლავი ერია, და სხვ. კამომ იცოდა,

რომ მას მუდმივად უთვალთვალებდნენ. მართლაც, მეთვალ-ყურენი ყოველთვის დროულად მიუსწრებდნენ ხოლმე მას და არ აძლევდნენ „განზრახვის“ სისრულეში მოყვანის საშუალებას. მალე კამო ლაზარეთში გადაიყვანეს და მოათავსეს ისეთ პავილიონში, სადაც განსაკუთრებული ზედამხედველობა იყო დაწესებული, რათა ავადმყოფებს არაფერი ევნოთ თავისი თავისათვის. კამო დამშვიდდა, დარწმუნდა, რომ მისი სჯერათ, უკლო ნერვიულობას, შმაგობას: „ავადმყოფობამაც“, თითქოს უფრო წყნარი ფორმები მიიღო. ეს სწრაფად აისახა საექიმო მეთვალყურეობაში, რომელიც იტყობინებოდა: „არშაკოვი [1] ამჟამად (1909 წლის მარტი რ. ი.) იჩენს ხანგრძლივ და ნათელ შეგნებას: თავდაჭერილადაა, აგრეთვე ბეჯითად მეცადინეობს... თუ საგამომძიებლო სამმართველოში ანგარიშს გაუწევენ იმას, რომ არშაკოვის მდგომარეობა უმჯობესდება, ექიმებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო მისი საგამომძიებლო საპატიმროში გადაყვანისა, ყოველ შემთხვევაში ამჟამად მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. საქმის გარჩევაში“ [2]. ზემოდმოყვანილი საექიმო დასკვნის საფუძველზე 1909 წლის 16 აპრილს კამო დააბრუნეს მოაბიტის ციხეში. საქმის გარჩევა 3 მაისისათვის დაინიშნა. სასამართლო სხდომის გადადების მიზნით კამო კვლავ სიმულანტობს. საგამომძიებლო საპატიმროში მოთავსების შემდეგ მას „უცნაურობა“ დაეტყო. ბუტ-ბუტებდა, იდიოტურად იღიმებოდა, საჭმელს აღარ ჭამდა. 24 აპრილს კი „მოუარა“ შმაგმა შეშლილობამ, დაამტვრია თავისი კამერის საგნები, უნდოდა სცემოდა ზედამხედველს. ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა გაეთოკა იგი. კამოს მიერ შეშლილისათვის დამახასიათებელი თვისებების ვირტუოზულად, არნახული ოსტატობით გადმოცემამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. საექიმო შემოწმებამ გამოიტანა დასკვნა: კამო სერიოზული ავადმყოფია და „ყოვლად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საში მაისისათვის იგი იმდენად მოკეთდეს, რომ შეძლოს საქმის გარჩევაში მონაწილეობის

---

[1] იგივე სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი.

[2] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 2, გვ. 6 — 7.

მიღებაო“ დადგენილება კამოს დაპატიმრების შესახებ კვლავ გაუქმდა. იგი დააბრუნეს ბუხის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში, სადაც დაიწყეს კამოს „ავადმყოფობის“ კიდევ უფრო „ღრმად“ შესწავლა. კამოს მხილების მიზნით ბუხში ბარბაროსულ მეთოდებს იყენებდნენ. შესამოწმებელს საშინლად აწვალებდნენ, ჩხვლეტდნენ ნემსებით, დაღავდნენ სხვადასხვა ზომის რკინის გახურებული შანთებით, აჯენდნენ კარცერში, სადაც ტემპერატურა ნულზე დაბალი იყო, სცემდნენ, ხელოვნურად უზიანებდნენ, უმტვრევდნენ სახსრებს, ძვლებს და სხვ. ასეთი წამების ატანა ჯანმრთელი ადამიანისაგან არნახულ დაძაბვას მოითხოვდა. თავისი საქმის აუცილებელი გამარჯვების უშრეტი რწმენის, უდიდესი ოპტიმიზმისა და მტკიცე ნებისყოფის წყალობით კამომ გაუძლო „ცივილიზებულ“ ბარბაროსთა მრავალფეროვან საშუალებებით წამებას.

ბერლინის ცნობილმა ფსიქიატრებმა აღიარეს თავიანთი მარცხი კამოს ნებისყოფის, გამძლეობისა და გამარჯვების რწმენის წინაშე. 1909 წლის 7 ივნისს მათ შემდეგი საბოლოო დასკვნა გამოიტანეს: „1. არშაკოვი არის ისეთი ადამიანი, რომელსაც არა აქვს საკმაო გონებრივი ნიჭი და ახასიათებს ისტერიულ-ნევრასთენიული ორგანიზაცია; ის ძლიერი სულიერი აგზნებისა და ხანგრძლივი პატიმრობის გავლენით ადვილად კარგავს სულიერ წონასწორობას და მაშინ გადადის აშკარა შეშლილობის მდგომარეობაში...

2. არშაკოვის მხრივ ავადმყოფური მოვლენების წინასწარ განზრახული სიმულაციის ან გაზვიადების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება.

3. არშაკოვს დღეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის გარჩევაში და არც შეეძლება მომავალში, რამდენადაც შეიძლება ამის გათვალისწინება. საეჭვოა, რომ მან საზოგადოდ შეძლოს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის მიღება; უფრო დასაჯერებელია, რომ ასეთი გაუმჯობესება არასოდეს არ დადგება.

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 2, გვ. 7.

4. არშაკოვს დღეს არ შეუძლია მოიხადოს სასჯელი და ამას ვერც მომავალში შეძლებს"[1].

აღნიშნული საექიმო დასკვნის მიუხედავად, კამო არ გაათავისუფლეს პატიმრობიდან. გერმანიის ხელისუფლებმა შეუძლებლად დაინახეს მისი გასამართლება ბერლინში, და 1909 წლის 21 სექტემბერს კამო რუსეთის მთავრობას გადასცეს. პოლიციის დეპარტამენტის ბრძანებით 30 სექტემბერს კამო თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის განკარგულებაში გადმოგზავნეს და ადგილზე ჩამოყვანისთანავე[2] მეტეხის ციხეში მოათავსეს. 19 ოქტომბერს იგი დაკითხა როტმისტრმა ფირალოვმა. დაკითხვაზე კამო ნათელ, პირდაპირ პასუხებს იძლეოდა. ფეთქებადი ნივთიერებისა და მისთვის ბერლინში ნაპოვნი ორძირიანი ჩემოდნის შესახებ კამო იმეორებდა 1907 წლის ნოემბერში გერმანიაში მიცემულ ჩვენებებს, კატეგორიულად უარყოფდა ერევნის მოედანზე მომხდარ „ექსცესში", რევოლუციურ, სამხედრო რაზმების შეიარაღებულ აქტებში მონაწილეობას და აცხადებდა, რომ კავკასიაში იგი ასრულებდა მხოლოდ ტრანსპორტიორის, არალეგალური ლიტერატურის, პროკლამაციების გამავრცელებლის როლს, რისთვისაც ერთხელ დაპატიმრებულიც კი იყო ბათუმში, საიდანაც გაიქცა; ასეთივე მუშაობას ეწეოდა ევროპაში მოგზაურობის დროსაც. პარიზში და ვენაში იმისათვის ჩავიდა, რომ იქ მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის გადაეცა 1907 წელს შტუტგარტში შემდგარი საერთაშორისო სოციალისტური ყრილობის ქართულად თარგმნილი ოქმები და, გარდა ამისა, ეთხოვა ფული კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის[3]. ასეთი განმარტების საფუძველზე კამო პოლიტიკურ დამნაშავედ ცნეს და თავდაპირველად წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი ნაწილის 102 მუხლი, რომელიც ითვალისწინებ-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 2, გვ. 17.

[2] კამო თბილისში 1909 წლის 12 ოქტომბერს ჩამოიყვანეს.

[3] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 22, საქმე 476 [16], გვ. 170 — 171.

და სასჯელს რევოლუციურ-პოლიტიკური ლიტერატურის ტრანსპორტირება-გავრცელების გამო. კამოს ჩანაფიქრი შედარებით დიდ პოლიტიკურ შეიარაღებულ აქტებში მონაწილეობის ბრალდებისაგან თავდახსნის შესახებ თითქოს ხორციელდებოდა კიდეც, მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. საქმეში ჩაერია საგანგებო საქმეთა გამომძიებელი მალინოვსკი. მალინოვსკის ადრევე ჰქონდა ცნობები ერევნის მოედანზე მოწყობილ ექსპროპრიაციაში კამოს მონაწილეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კამო სასტიკად უარყოფდა ბრალდებას, ხანგრძლივი ძიების შემდეგ მალინოვსკიმ საექიმო ექსპერტიზის, მოწმეების ჩვენებისა და სხვა მამხილებელი მასალების საფუძველზე, რომლებმაც 13—14 ტომი შეადგინა, საბოლოოდ დაადგინა ექსპროპრიაციაში კამოს მონაწილეობის ფაქტი, გამოაცხადა იგი სისხლის სამართლის დამნაშავედ და მისთვის ადრე წაყენებულ ბრალდებას სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნაწილის 152 მუხლით გათვალისწინებული ბრალდებებიც დაუმატა. პატიმრის წერილობითი პროტესტების მიუხედავად, თვითმპყრობელობამ გადაწყვიტა საქმე სამხედრო წესების თანახმად გაერჩია: დამთავრებული ძიების მასალები გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით თბილისის საოლქო სასამართლოდან კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო კოლეგიას გადაეგზავნა განსახილველად. კამოს სიკვდილით დასჯა მოელოდა. ამიტომ პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე მან კვლავ სიმულაციას მიმართა. თავდაპირველად „ავადმყოფობა“ წყნარ ფორმებში მჟღავნდებოდა. საკანში კამო ხშირად ფეხზე იდგა, გაშეშებული შეჰყურებდა ერთ წერტილს, ბუტბუტებდა, ელაპარაკებოდა თავის თავს, რამდენიშეჯერ ამბულატორიული დახმარებისათვის მეტეხის ციხის საავადმყოფოს მთავარ ექიმსაც მიმართა; უჩიოდა თავის ტკივილს, ნერვულობას, უძილობას და ოსტატურად ამზადებდა ნიადაგს შეშლილობის შმაგი ფორმების გამომჟღავნებისათვის. მაგრამ საქმეში არ იყო ბერლინის ფსიქიატრთა საბოლოო დასკვნა კამოს სულიერი მდგომარეობის შესახებ. ამის გამო მეფის ჟანდარმერიისა და სასამართლო ორგანოების მოხელენი დიდ უნდობლობას იჩენ-

დნენ, ადვილად ვერ წამოეგებოდნენ კამოს მიერ გადაგდებულ ანკესზე. საგანგებო საქმეთა გამომძიებელი მალინოვსკი, როტმისტრი ფირალოვი და მთელი რიგი მაღალი თანამდებობის პირები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ კამო სიმულანტია და ავადმყოფობას სასჯელისაგან თავის დაღწევის მიზნით იგონებსო. ამ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ 1910 წლის მარტში კამომ სცადა მცველი ჯარისკაცის მოსყიდვა და მისი საშუალებით ასანთის ყუთის ფსკერზე ჩაკრული საიდუმლო ბარათის გადაცემა ბახჩიევისათვის ბებუთოვის ქუჩაზე. მდგომარეობა მეტად კრიზისული იყო. ავადმყოფობის დასადასტურებლად აუცილებელი გახდა საექიმო ექსპერტიზის მასალების გადმოგზავნა გერმანიიდან. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ოსკარ კონმა, რომელიც კამოს თბილისში გადმოყვანის მიუხედავად კვლავ განაგრძობდა მის შესახებ შუამდგომლობას. კონი დაუკავშირდა ჯავაირა ტერ-პეტროსიანს და გადმოუგზავნა მას კამოს სულიერი მდგომარეობის შესახებ ბერლინში გამოტანილი ოფიციალური დასკვნის დამოწმებული ასლი, რომელიც ჩაკერებულ იქნა საქმეში. ამან საშუალება მისცა კამოს ადვილად დაერწმუნებია სასამართლო თავის „ავადმყოფობაში“.

1910 წლის 26 აპრილს კამოს საქმე განიხილა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო კოლეგიის სხდომამ. კამო ოსტატურად განაგრძობდა სიმულაციას. სასამართლო კოლეგიამ გადადო საქმის გარჩევა და ბრალდებულის სულიერი მდგომარეობის შემოწმება დაავალა საექიმო კომისიას. ბორკილებგაყრილი კამო მეტეხის ციხის საავადმყოფოს ცალკე პალატაში მოათავსეს. 1910 წლის 28 აპრილს ციხის საავადმყოფოს ზედამხედველისადმი გაგზავნილ მიმართვაში თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი კატეგორიულად მოითხოვდა: „წინადადებას გაძლევთ,.. პატიმარ ტერ-პეტროსიანცის გაქცევის საშიშროებისა და სამხედრო სასამართლოს მიერ ფსიქიკურად არანორმალურად ცნობის გამო, მასზე დაწესებულ იქნას განსაკუთრებული, ფხიზელი და განუწყვე-

ტელი მეთვალყურეობა, მით უმეტეს, რომ მისი არანორმალურობა მე მიმაჩნია სიმულაციად"[1].

თვითმპყრობელობის მოხელეები კამოს კვლავ სიმულანტად სთვლიდნენ. მეტიც, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარისადმი 1910 წლის 30 აპრილს გაგზავნილ ცირკულარში წერდა: „ჩემს განკარგულებაში არსებული საიდუმლო და სარწმუნო ცნობების საფუძველზე სიმონ ტერ-პეტროსიანცი თავის არანორმალურობას იგონებს იმ მიზნით, რომ მიაღწიოს გადაყვანას საავადმყოფოში, საიდანაც მას გაქცევის მოწყობის იმედი აქვს"[2]. ამის გამო პატიმრის მიმართ ათასგვარ ბარბაროსულ ცდებსა და ექსპერიმენტებს მიმართავდნენ. საექიმო მეთვალყურეობის გარდა კამოს საიდუმლო მეთვალყურეობაც დაუნიშნეს და მის ქცევაზე დაკვირვების ყოველდღიური შედეგები ზუსტად აღინიშნებოდა სპეციალურ ჟურნალში. 10 მაისს ექიმმა ორბელმა და ექსპერტიზამ, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ მასალებს კამოს სულიერი მდგომარეობის შესახებ, ხელახალი გასინჯვის შედეგად დაასკვნეს, რომ ტერ-პეტროსიანი არის არასაკმაო გონებრივი ნიჭის მქონე ადამიანი, რომელიც ძლიერი სულიერი აღგზნებულობისა და ხანგრძლივი პატიმრობის ზეგავლენით ადვილად გადადის აშკარა შეშლილობის მდგომარეობაში. ამგვარად, კამომ შეძლო საქმის გარჩევის გაჭიანურება, მაგრამ რეაქციის წლებში, სიმულაციის წარმატებით დამთავრებისა და ავადმყოფად აღიარების შემთხვევაში, ადვილი მოსალოდნელი იყო ჩამოეღრჩოთ, სიკვდილით დაესაჯათ გონებრივად სუსტი, შეშლილი ადამიანიც კი.

კამოს დასახსნელად გაიშალა ფართო ბრძოლა, მასში ჩაება პარტია. ცნობები მის საქმესთან დაკავშირებით თბილისში შექმნილი მდგომარეობის შესახებ სისტემატურად იგზაე-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი. საქმე 3, გვ. 16.

[2] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 22, საქმე 476/16, გვ. 7.

ნებოდა საზღვარგარეთ. 1911 წლის ივნის—ივლისში ევროპაში იმოგზაურა პროლეტარულმა მწერალმა აკოპ აკოპიანმა, რომელმაც პარიზში ა. ლუნაჩარსკის და ბერლინში კ. ლიბკნეხტს გადასცა ასლები ოქმებისა მეტეხის ციხის საავადმყოფოში კამოს წამების შესახებ. ა. აკოპიანი იგონებს, რომ ეს მასალები შემდეგ გამოქვეყნდა საზღვარგარეთულ გაზეთებში „Vorwerts"-სა და „L"umanité"-ში. უფრო ადრე, 1910 წლის აპრილში ოსკარ კონის ინიციატივით კამოს დასაცავად „Vorwerts"-თან ერთად გამოვიდა მემარცხენე რადიკალური ორგანო „Berliner zeitung"-ი. გაზეთები გერმანიისა და რუსეთის მთავრობებს ბრალად სდებდნენ იმას, რომ ისინი ტანჯავდნენ, სიკვდილით ემუქრებოდნენ ადამიანს, რომელიც ოფიციალური საექიმო დასკვნით სულიერ ავადმყოფად იყო აღიარებული. რევოლუციური პრესის პროტესტს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დასავლეთ ევროპის მშრომელებმა. 1910 წლის მაისში შინაგან საქმეთა მინისტრ სტოლიპინსა და კავკასიის მეფისნაცვალ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს შორის ამის გამო შემდეგი ხასიათის მიმოწერა გაიმართა: „ილარიონ ივანეს-ძევ! საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამა წლის 27 აპრილს № 42 წერილით მაცნობა, რომ უკანასკნელ დღეებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა განსაკუთრებული გულმოდგინებით მსჯელობს რუსეთის ქვეშევრდომის, იგივე „მირსკის" — ტერ-პეტროსოვის ბედზე... რადიკალური ორგანოები... თავს ესხმიან გერმანიის პოლიციას, რომელმაც არშაკოვი-მირსკი ბერლინის სულით ავადმყოფთა საქალაქო საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე გაასახლა რუსეთში, სადაც იგი იმავე წუთში დაკავებულ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ. პრესის თავდასხმები... მთავრობაზე აუცილებლად გაიზრდება, თუ მირსკის სიკვდილით დასჯიან. საგარეო საქმეთა სამინისტრო შიშობს, რომ ამას შეუძლია არასასიამოვნო გავლენა მოახდინოს რუსეთის ინტერესებზე"[1]. ამ წერილის პასუხად ვორონცოვ-დაშკოვი სტოლიპინს სწერდა: „რაც

[1] საარქივო მასალების კრებული „ტოვარიშჩ კამო", მაქსიმოვის რედაქციით, გვ. 12—13, 1924 წ.

შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროს შიშს, რომ ტერ-პეტროსოვისათვის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში გერმანიის პრესის თავდასხმას... მთავრობაზე შეუძლია ცუდი შედეგი გამოიღოს რუსეთის ინტერესებისათვის,.. ეს მოსაზრება ჩემ მიერ მხედველობაში იქნება მიღებული ტერ-პეტროსოვის შესახებ სამხედრო სასამართლოს განაჩენის ჩემს საკონფირმაციოდ წარმოდგენისას" [1].

რეაქციაზე თავდასხმების გაძლიერებითა და რევოლუციური ოპოზიციის აქტივობის ზრდით სერიოზულად შეშფოთებული თვითმპყრობელობა იძულებული გახდა დროებით გადაედო კამოს სიკვდილით დასჯის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა. პოლიტიკური სკანდალის თავიდან აცილების მიზნით მან გადაწყვიტა თავდაპირველად უარეყო დასკვნა კამოს სულიერად დაავადების შესახებ, დაემტკიცებინა, რომ იგი სიმულანტია და მხოლოდ ამის შემდეგ დაესაჯა იგი. საგანგებო საქმეთა გამომძიებელ რუსანოვს, რომელმაც ამ დროისათვის შეცვალა მალინოვსკი, სპეციალურ საექიმო კომისიასთან ერთად დაევალა გამოერკვია კამოს ნათესაობა და შეემოწმებინა მისი შთამომავლობითი მიდრეკილება სულიერი დაავადების მიმართ, გარდა ამისა, ბრალდებულის მოქმედების შესწავლის მიზნით დაეკითხა მეტეხის ციხის საავადმყოფოს მთელი მედპერსონალი, მეთვალყურენი და სხვ. 1910 წლის 24 ნოემბერს, მიღებული მასალების საფუძველზე შედგა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის მე-11 განყოფილების შერეული სხდომა. მოსამართლეებთან ერთად მას ესწრებოდნენ თბილისის ცნობილი ფსიქიატრები. სასამართლოში კამო ძაფზე გამობმული ჩიტით გამოცხადდა; იგი არავის არ აქცევდა ყურადღებას და განუწყვეტლივ ეთამაშებოდა ჩიტს. დასმულ კითხვებზე უცნაურ პასუხებს იძლეოდა. განაცხადა, რომ არ იცის თავისი დაბადების ადგილი, საზღვარგარეთ აქვს საკუთარი ავტოქარხანა, რომ მის ანგარიშზე სხვადასხვა ბანკებში 50 მილი-

---

[1] საარქივო მასალების კრებული „ტოვარიშჩ კამო", მაქისიმოვის რედაქციით, გვ. 12 — 13, 1924 წ.

I

კამო — სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი — ლენინური სკოლის პროფესიონალ-რევოლუციონერი, დიდი სიმამაცის ადამიანი, მგზნებარე პროლეტარული რაინდი იყო. ვ. ი. ლენინი ერთ-ერთ წერილში, 1912 წლის ზაფხულში, კამოს შესახებ წერდა: „...ვიცნობ... ყოველმხრივ, როგორც სრულიად განსაკუთრებული ერთგულების, სიმამაცისა და ენერგიის ადამიანს“ [1].

კამოს სახით მუშათა მოძრაობამ მოგვცა შესანიშნავი რევოლუციური მოღვაწე, ადამიანი, რომელიც სისტემატური პოლიციური დევნის პირობებში თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე უშიშრად, თავგანწირვით სძლევდა ყოველგვარ სიძნელეებს და თავის ერთგულ თანამოსაგრეებთან ერთად განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა პარტიის, მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინისა და მისი ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ი. ბ. სტალინის საპასუხისმგებლო დავალებებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, აწყობდა სტამბებს, საპატიმროებიდან პოლიტიკური პატიმრების გაქცევას, ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთიდან რუსეთში იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების გადმოტანას, გმირულად იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

კამო მთელი თავისი ცხოვრებისა და სახელოვანი რევოლუციური მოღვაწეობის მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშრომელ მასებთან, პარტიასთან. „ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი, — წერდა იგი, — ვაკეთებდი რევოლუცი-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, კრებული XXXV, გვ. 73.

ონი მანეთი ირიცხება და სხვ. კამო არა მარტო ლაპარაკით, არამედ გარეგანი შეხედულებითაც შეშლილის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მას ეცვა ჭუჭყიანი, დახეული ტანსაცმელი, თვალებს ატრიალებდა, იღიმებოდა უაზროდ. სხდომამ ვერ შეძლო გამოეთქვა კატეგორიული აზრი ტერ-პეტროსოვის სულიერი მდგომარეობის შესახებ. მან აუცილებლად ცნო მეთვალყურეობის გაგრძელება და პროკურორის დასკვნის თანახმად დაადგინა: „ბრალდებული სიმონ არშაკის-ძე ტერ-პეტროსიანი მისი სულიერი მდგომარეობის უფრო ზუსტად გამორკვევის მიზნით სამეთვალყუროდ გადაეცეს თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს ფსიქიატრულ განყოფილებას“ [1].

1910 წლის 21 დეკემბერს კამო, გაძლიერებული დაცვის ქვეშ, მეტეხის ციხიდან მიხაილოვის საავადმყოფოში გადაიყვანეს. თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი სამკურნალო დაწესებულების დირექტორს საიდუმლოდ აფრთხილებდა: „პატივი მაქვს გთხოვოთ, რომ ხსენებული ტუსაღისადმი შემოიღოთ სასტიკი და შეუსუსტებელი მეთვალყურეობა მისი გაქცევის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად“. [2] ასეთი მითითების საფუძველზე საავადმყოფოს ადმინისტრაციამ და ჟანდარმერიამ კამოს მიმართ უსასტიკესი ზომები მიიღეს. მე-9 უბნის პოლიცმეისტერმა, რომელსაც ევალებოდა მიხაილოვის საავადმყოფოში გამოსაცდელად მოთავსებული პატიმრების დაცვის ორგანიზაცია, კამოს გადმოგზავნისთანავე დამატებით დააწესა აქ სამი საპოლიციო საგუშაგო. ბორკილებგაყრილი კამო მოათავსეს შმაგ შეშლილთა განყოფილების ცალკე კამერაში, რომელიც იკეტებოდა და იზოლირებული იყო ყველა დანარჩენი ოთახებისაგან. მეთვალყურედ გამოყვეს 3 ზედამხედველი და საავადმყოფოს 4 მოსამსახურე.

დაკვირვების შედეგად მიხაილოვის საავადმყოფოს დღიურში 1910 წლის 21 დეკემბრიდან 1911 წლის 20 აპრილამ-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 3, გვ. 5.

[2] იქვე, გვ. 14.

დე კამოს შესახებ შეტანილი ცნობებიდან ჩანდა, რომ იგი კვლავ დიდი ოსტატობით განაგრძობდა სიმულაციას. მთელი დღეების განმავლობაში წრიალებდა, ღიღინებდა, უსტვენდა და სხვ. კამო ისე მოხერხებულად თამაშობდა შეშლილის როლს, რომ მეთვალყურენი იძულებული გამხდარან ასეთი დასკვნაც კი გამოეტანათ: „ბორკილები კი არ ამძიმებდა, არამედ თავისი ჩხრიალით ართობდა პატიმარს და თითქოს აკომპანირებდა კიდეც მის მიერ წამოწყებული სიმღერების დროს“ [1]. ხანდახან კამო იცვლიდა ხასიათს, იღებდა შეწუხებულ სახეს, კვნესოდა, შფოთავდა, ნატრობდა სიკვდილს. შემოწმებისა და „ავადმყოფის“ სხვადასხვა საშუალებით გასინჯვის შედეგად მიხაილოვის საავადმყოფოს მთავარი ორდინატორი ორბელი, ბერლინელი კოლეგების მსგავსად, თითქოს შეშლილისათვის დამახასიათებელ ობიექტურ ნიშნებსაც „პოულობდა“ და სერიოზულად „ასკვნიდა“, რომ „ავადმყოფის“ მხრივ იგრძნობა „დერმოგრაფიზმის მოვლენები, კანის მგრძნობელობის მკვეთრი დაკლება, ალაგ-ალაგ ტკივილის გრძნობის დაკარგვა,... ფარადიული დენისადმი კუნთების აღგზნებადობის შესუსტება... და საერთოდ მის თავზე წარმოებული გამოკვლევის მიმართ სრულიად განურჩეველი დამოკიდებულება“ [2].

თვითმპყრობელობას სურდა რაც შეიძლება ადრე დაემთავრებინა კამოს საქმე და საბოლოოდ გაესწორებია ანგარიში მისთვის. 1911 წლის 6 თებერვალს მიხაილოვის საავადმყოფოს დირექტორისადმი გაგზავნილ მიმართვაში სასამართლოს პროკურორი მოითხოვდა: „გთხოვთ, დააჩქაროთ თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ პეტროსიანცის სულიერი მდგომარეობის შემოწმების შესახებ გამოტანილი დადგენილების შესრულება“ [3]. იმავე წლის აპრილში კამოს საექიმო შემოწმება დამთავრდა. 11 — 12 მაისს თბილისის საოლქო

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 22, საქმე 476, გვ. 104 — 105.

[2] იქვე, გვ. 102 — 103.

[3] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 3, გვ. 23.

სასამართლოს მე-2 უბნის სისხლის სამართლის განყოფილების შერეულმა სხდომამ ხელახლა განიხილა მისი სულიერი მდგომარეობის საკითხი და იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „ამჟამად ტერ-პეტროსოვი აშლილია ისტერიული ფსიქიზმის ფორმით, რომელიც გადადის ჭკუამოკლეობაში და უსპობს შესაძლებლობას გაიგოს თავისი მოქმედების თვისება, მნიშვნელობა და საკუთარი ქცევის ბატონ-პატრონი იყოს“ [1]. კამო ავადმყოფად სცნეს. კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო კოლეგიის 1911 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის დევნა მის მიმართ დროებით, გამოჯანსაღებამდე შეაჩერეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეთვალყურეობა არ შესუსტებულა. ექიმების თხოვნა მისთვის, როგორც ავადმყოფისათვის, ბორკილების მოხსნის შესახებ არ დააკმაყოფილეს. პირიქით, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მომართვის თანახმად, მას მეტეხის ციხეში ან რომელიმე სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანასაც კი უპირებდნენ.

მიხაილოვის საავადმყოფოდან გადაყვანის სერიოზული საფრთხის გამო, საჭირო გახდა გაქცევის სწრაფად და ენერგიულად მომზადება. ნიადაგი ამისათვის კამოს უკვე მოსინჯული ჰქონდა. იგი დაუახლოვდა საავადმყოფოს შეშლილთა განყოფილების ერთ-ერთ მეთვალყურეს, თვითმპყრობელობისადმი ზიზღით აღსავსე ახალგაზრდას — ივანე ბრაგინს. თავისუფალ დროს ისინი ხშირად თამაშობდნენ ბანქოს, საუბრობდნენ, სათანადო დაკვირვების შედეგად კამომ ბრაგინი სანდო ადამიანად ცნო, გაბედულად გაუზიარა გაქცევის განზრახვა და სთხოვა დახმარება. ბრაგინი დათანხმდა. მალე მან კამოს დავალებით ჯავაირა ტერ-პეტროსიანს გადასცა ძმის წერილი და წამოიღო მისგან ინგლისური ბეწვახერხი, თოკი და გაქცევისათვის საჭირო სხვა ნივთები. გაქცევა უნდა მომხდარიყო საპირფარეშოს ფანჯრიდან, რომელიც მდინარე მტკვრის მხარეს გადიოდა. კამომ, ბრაგინის მორიგეობის დროს, რამდენიმე დღეში გადახერხა ფანჯრის რკი-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 3, გვ. 40.

ნები და ბორკილი, რომელიც დადებული ჰქონდა მას. წვრილი მავთულით დამაგრებული გადახერხილი ადგილები შენიღბვის მიზნით კამომ მოხერხებულად დაფარა შეზელილი პურის გულით. 11 აგვისტოს ბრაგინის ხელით მან კვლავ გაუგზავნა წერილი ჯავაირას და აცნობა გაქცევის დღე.

15 აგვისტოს შეშლილთა განყოფილებაში მხოლოდ ერთი ზედამხედველი იყო. კამომ საპირფარეშოში გაყვანა ითხოვა. ამ თხოვნის შესრულების შემდეგ ამავე განყოფილების ერთ-ერთმა ავადმყოფმა კამოსთან წინასწარი შეთანხმებით ასტეხა ხმაური. ზედამხედველმა „მშფოთვარე“ ავადმყოფის ოთახს მიაშურა და მასთან დაახლოებით 30 წუთი დაჰყო. უმეთვალყურეოდ დარჩენილმა კამომ გამოიღო გადახერხილი რკინები, გაძვრა ფანჯარაში და რაფაზე გამობმული თოკის საშუალებით დაეშვა ძირს. აქ მას შეხვდნენ თავისი დები: ჯავაირა, არუსიაკა და სხვა პარტიული ამხანაგები. კამომ სწრაფად გადაიცვა მათ მიერ მოტანილი ტანსაცმელი და მშვიდობიანად მიიმალა.

V

საავადმყოფოში კამოს თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ მისი გაქცევა მაინც მოულოდნელი იყო. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა საიდუმლო ცირკულარით სასწრაფოდ აცნობა სამძებრო განყოფილებას კამოს ნიშნები და დაავალა მას გაქცეულის აღმოსაჩენად ფართოდ აემოქმედებინა სააგენტურო ქსელი. ოხრანკაში შემოსული ცნობების მიხედვით, ორი სამი დღის შემდეგ კამო საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა. ამიტომ ქალაქის სამივე რკინიგზის სადგურში (თბილისი, ნავთლუღი, ავჭალა) და ვლადიკავკაზის, თელავ-სიღნაღის და ალექსანდროპოლის გზატკეცილებზე დაცვის განყოფილებამ დააყენა სპეციალური გუშაგები პოლიციის ზედამხედველთა მეთაურობით. ფოტოსურათის საშუალებით მეთვალყურეები ზუსტად იცნობდნენ კამოს გარეგნობას. და სინჯავდნენ თბილისიდან გამოსულ ყველა პიროვნებას. დაიწყო

ჩხრეკა, დაპატიმრებები. ციხეში მოათავსეს მიხაილოვის საავადმყოფოს შეშლილთა განყოფილების ზედამხედველები ყდაკოვი და გრიგორიევი. 19 აგვისტოს გაჩხრიკეს კამოს ნათესავები თბილისში, გორში. რეპრესიები ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასაც შეეხო. სააგენტურო ცნობებისა და ეჭვების საფუძველზე გაჩხრეკილ იქნა ო. გაბუნიას და ა. აკოპიანის ბინები. პარტიული ამხანაგების მიმართ სასტიკი მეთვალყურეობა დაწესდა. მაგრამ თვითმპყრობელობის ცდები უშედეგოდ დამთავრდა. მეძებართა აპარატმა ვერ მიაგნო კამოს კვალს, რომელიც თბილისის პარტიული ორგანიზაციის დახმარებით 1911 წლის 19 აგვისტოს ჩავიდა ბათუმში და აქედან გემის ტრიუმში დამალული, უდიდესი კონსპირაციის დაცვით საზღვარგარეთ — საფრანგეთში გაემგზავრა.

აგვისტოს ბოლოს კამო უკვე პარიზშია, სადაც ხვდება ვ. ი. ლენინს, ნ. კ. კრუპსკაიას, ს. ორჯონიკიძეს და სხვ. პარტიულ ამხანაგებს. რუსეთისა და ამიერკავკასიის გუბერნიებში კი ამ დროს კვლავ გაფაციცებით ეძებდნენ მას. საპოლიციო სამმართველოებს დაეგზავნათ ოფიციალური მიწერილობები სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანის საყოველთაო ძებნის გამოცხადების შესახებ.

კამოს გაქცევის ორგანიზატორებს მხოლოდ შემთხვევით მიაგნეს. 1911 წლის ნოემბრის ბოლოს ქუთაისში დააპატიმრეს ბრაგინი, რომელიც კამოს გაქცევის დღესვე გაიპარა მიხაილოვის საავადმყოფოდან. მისი გამოტეხის შემდეგ, 23 — 24 დეკემბერს, დააპატიმრეს აღნიშნული საქმის დანარჩენი მონაწილეები კამოს დები ჯავაირა, არუსიაკა და სხვა პარტიული ამხანაგები.

კამო საზღვარგარეთ იმ პერიოდში ჩავიდა, როდესაც ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ შეიქმნა დარაზმული ანტიპარტიული ბლოკი — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დაჯგუფებებიდან ტროცკის გამცემლურ აგვისტოს ბლოკამდე. ვ. ი. ლენინმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთლიანად ჩაბმული იყო პარტიის სიწმინდის, მისი იდეოლოგიური, ტაქტიკური, და ორგანიზაციული პრინციპების დასაცავად გაჩაღებულ

სასტიკ და უთანასწორო ბრძოლებში, გულთბილად, განსაკუთრებული მზრუნველობით მიიღო კამო და საკმაოდ დიდი დრო გამონახა მასთან საუბრისათვის. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია იგონებდა: „კამომ მთხოვა ნუში შეყიდნა მისთვის, იჯდა ჩვენს სასტუმრო ოთახში — სამზარეულოში, ჭამდა ნუშს, როგორც სამშობლოში ჭამდა ხოლმე და გვიამბობდა დაპატიმრებაზე, სიმულაციაზე, როდესაც სიგიჟე მოიგონა, მოშინაურებულ ბეღურაზე, რომელსაც ციხეში ელოლიავებოდა“ [1]. ილიჩი ყურადღებით უსმენდა და თავის მხრივ არკვევდა მას პარტიის, რევოლუციური ბრძოლის მომავალ ამოცანებში, ამავე დროს ითვალისწინებდა კამოს მიერ გადატანილი ტანჯვის სიძნელეებს და თავდაპირველად ურჩევდა შესვენებას, მცირე ხნით მაინც ბელგიაში წასვლას, თვალის ოპერაციის გაკეთებას. 1911 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინმა კამოს პარიზიდან გამგზავრების წინ აჩუქა თავისი თბილი პალტო. 1912 წლის მარტში კამო ევროპიდან თურქეთს ჩავიდა. აქ, სტამბოლის გარეუბან ფერკუსში ცხოვრობდნენ ქართველი კათოლიკე ბერები. რუსეთთან საომრად შემზადებული თურქეთის მთავრობის წაქეზებით აღნიშნულ ღვთისმოსავთა მონასტერი კავკასიიდან გამოქცეული ნაციონალისტების საიმედო თავშესაფრად იყო გადაქცეული. კამო, რომელმაც თავი ქართველ ფედერალისტად გაასაღა, დაუახლოვდა ქრისტეს მსახურთა ამ ორგანიზაციას და ერთხანს მათ სამონასტრო სახლშიც კი ცხოვრობდა.

მალე იარაღისა და ფეთქებადი მასალების შესაძენად კამო ბულგარეთში გაემგზავრა. სოფიაში ჩასულ კამოს ოსმალეთის ჯაშუშობა დასწამეს და დაატუსაღეს. პოლიციის ეჭვებს კამომ სასტიკი პროტესტით უპასუხა და განაცხადა რომ იგი სოციალ-დემოკრატია. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატების ბელადის დიმიტრი ბლაგოევისაგან მიღებული დასტურის გამო პოლიცია იძულებული გახდა ამავე დღე!

---

[1] ნ. კ. კრუპსკაია, მოგონებები ვ. ი. ლენინზე, პარტგამომცემლობა 1933 წელი, ნაწ. II, გვ. 165.

გაეთავისუფლებია უმიზეზოდ დაპატიმრებული პირი. კამომ ბულგარელი რევოლუციონერების დახმარებით შეიძინა იარაღი, ფეთქებადი მასალა და თურქეთში დაბრუნდა. ამჯერად იგი სტამბოლის საბაჟო მოხელეებმა დააკავეს. კამომ ეშმაკობას მიმართა. მან უარი განაცხადა ნივთების შემოწმებაზე და მთავარ საპოლიციო სამმართველოში გადაგზავნა ითხოვა. იქ ესაუბრა პოლიციის პრეზიდენტს, გამოამჟღავნა ამ დროისათვის რუსეთს და თურქეთს შორის შექმნილი საგარეო ურთიერთობის, პოლიტიკური ვითარების ზუსტი ცოდნა და მოხერხებულად დააღწია თავი სასჯელს. იგი იგონებს: „მე განვუცხადე მას, რომ ივანე ზოიძე ვარ, ქართველი ფედერალისტი, აქ რამდენიმე კვირის წინათ ჩამოვედი, რათა გამეცნო აქაური გაბატონებული პარტიების ბელადები და მეთხოვა კავკასიის განმათავისუფლებელ მოძრაობაში იგივე როლი ეკისრათ, რაც რუსეთმა და ავსტრიამ მაკედონიასა და ალბანეთში იკისრეს, რადგან რუსეთმა ტრიპოლიტანიის ომით ისარგებლა და ჯარს თავს უყრის ყარსში, რათა ძალით გაგახსნევინოთ სრუტეები და შეიძლება ომმაც იფეთქოს“ [1]. კამო უფრო შორსაც მიდიოდა: ინიღბებოდა რა ქართველ ფედერალისტად, მას სურდა თურქეთის პოლიცია დამხმარედაც კი გამოეყენებია იარაღის შეძენისა და რუსეთში ტრანსპორტირებისათვის. „ჩვენ გვინდა, — აცხადებდა იგი, — მოგვყიდოთ ყველა საჭირო იარაღი, გვქონდეს თავისუფალი მიმოსვლისა და მოქმედების ნება თურქეთში, აგრეთვე ცოტაოდენი დახმარებაც თქვენის მხრივ. ეს საჭიროა ახლავე მოხდეს, ვიდრე არ დაგვიანებულა, თორემ როდესაც ომი იფეთქებს, მაშინ დიდი დახმარების აღმოჩენასაც მოინდომებთ, მაგრამ უხერხული იქნება სხვადასხვა მოტივის გამო, და ჩვენც იძულებული ვიქნებით უარი ვთქვათ... ის კი, რითაც ჩვენ ეხლახან დაგვაკავეს, საჭირო იყო იმისათვის, რომ სამზადისს შევდგომოდით და ამავე დროს თქვენი ყურადღებაც მიგვეპყრო ამაზე“ [2].

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 31 (თემის მიხედვით), საქმე 139, გვ. 76—77.

[2] იქვე. გვ. 77.

სტამბოლის პოლიციამ ბოდიში მოიხადა „ივანე ზოიძის“ წინაშე, გადაიყვანა სასტუმროში და უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა მას მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი კვირის განმავლობაში კამო მაინც ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მისი „მცველი“ სულთან ჰამიდის დროინდელი, ძველი დაშნაკცაკანი იყო. იგი კამოს თანამოსაგრედ, ქართველ ნაციონალ-შოვინისტად თვლიდა და ცდილობდა საერთო ენა გამოენახა მასთან. ამ პიროვნებისაგან კამომ გაიგო, რომ კავკასიელი ნაციონალისტები იარაღს ძირითადად საბერძნეთში — ათინაში მცხოვრებ „დაშნაკთა“ და სომეხ საეკლესიო მსახურთა დახმარებით შოულობდნენ. ამის გამო, განთავისუფლების შემდეგ, იარაღის მარაგის შევსების მიზნით, იგი ათინაში გაემგზავრა. პარტიული საქმეების მოგვარებასთან ერთად, კამომ დაათვალიერა საბერძნეთის ისტორიული ადგილები, ღირსშესანიშნავი ძეგლები, რამდენიმეჯერ ინახულა პართენონი და მალე კვლავ კონსტანტინეპოლში ჩამოვიდა. აქ იგი შეხვდა ერთ-ერთ ნაცნობს კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრს და მასთან ერთად 1912 წლის 6 ივნისს, ფეთქებადი ნივთიერებითა და იარაღით დატვირთული, ბათუმის გზით რუსეთში დაბრუნდა. ბათუმში ისინი რამდენიმე დღე დარჩნენ. აქ კამომ იშოვნა საზღვარგარეთული პასპორტი საბერძნეთის ქვეშევრდომ ფიდგასის გვარზე და მალე თბილისში გამოემგზავრა.

1912 წლის ივნის-ივლისში კამო არსენალის ქუჩაზე (სახლი № 21) თავის ახლო ნაცნობ ლობჟანსკებთან ცხოვრობდა, აგვისტოში რამდენიმე დღე გოლოვინის პროსპექზე — სასტუმრო „ბოლევიუში“ გადავიდა, აქედან კი შებრძოლი ტექნიკური ჯგუფის ძველი წევრის ვ. მაისურაძის ბინაში (საპიორის ქუჩა, სახლი № 14) გადასახლდა. მალე აღნიშნული ბინა საპიორის ქუჩაზე რევოლუციონერთა შესაკრებ პუნქტად და ყუმბარების დამამზადებელ ლაბორატორიად გადაიქცა. ვ. მაისურაძის ქალიშვილი თამარ მაისურაძე იგონებს: „ჩვენს სახლში კამოს მეთაურობით აკეთებდნენ ყუმბარებს, ყალბ პასპორტებს, მართავდნენ ფარულ კრებებს

და სხვ.“ [1]. კამომ თბილისში დაბრუნების შემდეგ მოკლე დროში იმოგზაურა ელიზავეტპოლსა და ქუთაისში, დაუკავშირდა ტ. ვახტანგოვს, სხვა სანდო პარტიულ ამხანაგებს: ჩამოაყალიბა სამხედრო-ტექნიკური ჯგუფი და მოაწყო ყუმბარებისა და ფეთქებად ნივთიერებათა დამამზადებელი რამდენიმე ფარული ლაბორატორია ავჭალასა და თბილისის სხვადასხვა რაიონში (გრიბოედოვის ქ., სახლი № 27, ღვინის ალმართი, სახლი № 30).

1912 წლის 24 სექტემბერს, სათანადო მომზადების შემდეგ, სამხედრო-ტექნიკური ჯგუფი კამოს ხელმძღვანელობით კოჯრის გზაზე თავს დაესხა სახაზინო ტრანსპორტის მცველ კაზაკთა შეიარაღებულ რაზმს. თვითმპყრობელობის მოხელე, თბილისის სასამართლოს პროკურორის თანაშემწე უთენელოვი წერდა: „კამოს განზრახული ჰქონდა ეშოვა ფული, რომელიც მას პარტიისათვის ესაჭიროებოდა, იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მტკიცე მიმდევარი იყო და სურდა აქტიურად ემუშავა მისი მიზნების განხორციელებისათვის. კამო ხედავდა, რომ უფულოდ მუშაობა შეუძლებელი იყო. პარტია კარგავდა თავის საუკეთესო, აქტიურ წევრებს, რომლებიც დაპატიმრებული იჯდნენ ციხეებში. ასეთი განზრახვებით აღსავსე კამო ყველაფერს, რისი გაკეთებაც სურდა და რისთვისაც შეეძლო მიეღწია,... აკეთებდა პარტიისათვის, მისი საბოლოო მიზნისათვის — არსებული მეფის მთავრობის დასამხობად“ [2].

კოჯრის გზაზე მოწყობილი თავდასხმის შემდეგ კამო უკავშირდება ა. აკოპიანს, დეკემბერში კი მცირე ხნით მიემგზავრება ბაქოში, სადაც ხვდება მ. ლიადოვს და თბილისისა და ბაქოს პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ამზადებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ ახალ რევოლუციურ აქტებს. მაგრამ ოხრანკამ მიაგნო მის კვალს. 1912 წლის 20 ოქტომბრიდან ვ. მაისურაძის სახლი, სადაც

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 6, გვ. 13.

[2] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 31, საქმე 325, გვ. 190 — 191.

კამო ცხოვრობდა. ჯაშუშთა სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ შოექცა. კამომ ადრევე აიღო ალღო და შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, რამდენიმე კვირა იგი ალაზნის ქუჩაზე № 5 სახლში იმალებოდა ერთ-ერთ ნაცნობ აფთიაქართან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამჯერად მან ვეღარ შეძლო დასხლტომოდა ხელიდან ჟანდარმერიის მრავალრიცხოვან აგენტებს და 1913 წლის 10 იანვარს სასახლის ქუჩაზე დაპატიმრებულ იქნა[1] პოლიციის ზედამხედველ შულცის მიერ.

ბურჟუაზია და სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტები აღტაცებული შეხვდნენ კამოს დაპატიმრებას. გაზეთები სავსე იყო ცნობებით ტერ-პეტროსიანის დატუსაღების შესახებ. შავრაზმული პრესა, რომელიც ხაზს უსვამდა კამოს არაჩვეულებრივ მოხერხებულობას, ნიჭსა და წონას რევოლუციურ პარტიაში, მის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. რეაქციულ წრეებს მხარში ამოუდგნენ ქართველი მენშევიკებიც. მათ არ დააყოვნეს ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური ჭორების გავრცელება. განსაკუთრებით დიდი იყო თავდასხმები კამოზე. მის შესახებ ათასგვარ ჭორებს თხზავდნენ, სწამებდნენ მას ძალადობას, პროვოკატორობას, აცხადებდნენ, რომ დაპატიმრების შემდეგ მან თითქოს გასცა თავისი თანამებრძოლები და სხვ. თვითმპყრობელობა მოხერხებულად იყენებდა თავისი ლაქიების მიერ ატეხილ ზემოაღნიშნულ კომპანიას. მთავრობის ოფიციალური პრესა (გაზ. „კავკაზი", „ზაკავკაზიე", „ტიფლისკაია რეჩ" და სხვ.) კამოსა და ბოლშევიკებისათვის სახელის გატეხის მიზნით დაჟინებით იმეორებდა, რომ კამო ყველაფერში გატყდა, რომ მან ზუსტად დაასახელა მასთან ერთად სამხედრო ტექნიკურ-საქმიანობაში მონაწილე ყველა პიროვნება და სხვ. კამოს საქმეს, რომელიც სამხედრო წესების თანახმად უნდა გარჩეულიყო, ხელი მოჰკიდა საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა რუსანოვმა, რომელიც ადრიდანვე .იც-

---

[1] დაპატიმრებები 8 და 11 იანვარსაც მოხდა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჟანდარმერიის მიერ დაკავებულთა რიცხვი 26 კაცამდე აღწევდა.

ნობდა ბრალდებულს და ზუსტად იცოდა მის მიერ გადადგმული თვითეული ნაბიჯი. 4 თებერვალს კამო მეტეხის ციხის სასიკვდილოთა საკანში ჩასვეს. 9 თებერვალს საექიმო შემოწმებამ იგი ჯანმრთელ და სავსებით ნორმალურ ადამიანად ცნო. მდგომარეობა კრიზისული იყო. გამოსავალი მხოლოდ გაქცევაში ჩანდა. კამომ რამდენიმეჯერ სცადა კიდეც გაქცევის მოწყობა, მაგრამ უშედეგოდ. სასჯელის სიმძიმეს თითქოს ვეღარაფერრ შეაშსუბუქებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კამო იმედს არ ჰკარგავდა, და მართლაც, იგი ამჯერადაც გადაურჩა სიკვდილს.

კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო კოლეგიის სხდომა, რომელიც 1913 წლის 1—2 მარტს შედგა და რომელმაც განიხილა კამოს საქმე, იმის გამო, რომ ამავე წლის 23 თებერვალს გამოვიდა მანიფესტი რომანოვების გვარის რუსეთში მეფობის 300 წლისთავთან დაკავშირებით, იძულებული გახდა ბრალდებულისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი 20 წლის საკატორღო სამუშაოებით შეეცვალა.

განაჩენის სისრულეში მოყვანა საქმეში გამავალ მრავალრიცხოვან ბრალდებულთა საჩივრების გამო საგრძნობლად გაჭიანურდა. კავკასიაში მეფისნაცვალმა, გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა საბოლოოდ რედაქტირებული განაჩენი მხოლოდ 1914 წლის 16 დეკემბერს დაამტკიცა. ერთი თვის შემდეგ, 1915 წლის 21 იანვარს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს აცნობებდა: „საგუბერნიო სამმართველო აცნობებს თქვენს უკეთილშობილესებულებას, რომ გადასასახლებელი — საკატორღო პატიმარი სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსოვი ა. წ. 19 იანვარს გაგზავნილ იქნა ხარკოვის დროებითს საკატორღო ციხეში“ [1].

კამომ გაიგო, რომ ეტაპი ბაქოში გაივლიდა და იქ ორი დღე გაჩერდებოდა. მან სწრაფად შეადგინა გაქცევის გეგმა და ფარულად აცნობა იგი ჯავაირას. გეგმა ასეთი იყო: ბა-

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 31, საქმე 325, გვ. 26.

ქოში შეჩერებისას პარტიულ ამხანაგებს კამოსათვის მოხერხებულად უნდა გადაეცათ დამაძინებელი ფხვნილი, ფული და ქლიბი; ამავე დროს მის მატარებელს უნდა გაჰყოლოდა საიმედო ამხანაგი. გზაში კამო დააძინებდა დარაჯებს, გადაიხერხავდა ბორკილებს, გაიკეთებდა გრიმს, გადაიცვამდა ტანისამოსს, რომელსაც მიაწვდიდა მას მეზობელ ვაგონში მყოფი ამხანაგი, და მიიმალებოდა. ამის გამო 1915 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ჯავაირა ტერ-პეტროსიანი ბაქოში მიემგზავრება. აქ იგი უკავშირდება ს. შაუმიანს, ნ. ზავარიანს, ბ. გელენიძეს და ამზადებს კამოს გაქცევას, მაგრამ გაქცევის ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

1915 — 1917 წლებში კამო იჯდა ხარკოვის საკატორღო ციხეში. მიუხედავად საპყრობილეში გამეფებული უსასტიკესი რეჟიმისა, იგი სულიერად არ გატეხილა, არ მისცემია უიმედობასა და სასოწარკვეთილებას. პირიქით, კამო კვლავ განთავისუფლებაზე, გაქცევაზე ფიქრობდა, აწყობდა ათასგვარ გეგმებს, ამასთან შეუსუსტებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქვეყნად შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას.

VI

1917 წელს რუსეთში გაიმარჯვა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელიც ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებზე შორს წავიდა და დიადი გარდატეხის დასაწყისი გახდა. „რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმარისი შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, მეორე ეტაპზე გადასვლაში, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს“ [1].

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24, გვ. 4.

კამო მთელი არსებით გრძნობდა და აღტაცებით მიესალმებოდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. 1917 წლის 5 მარტს ხარკოვის საკატორღო ციხიდან თავისი დებისადმი გამოგზავნილ წერილში იგი წერდა: „თქვენ კი, ძვირფასებო, გკოცნით, გეხვევით მილიონჯერ და გილოცავთ ახალი, დიდი გადატრიალების დასაწყისის დადგომას, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და, რაც მთავარია, მიღწევებს განახლების დიად და საერთო საქმეში“ [1].

ამავე დროს კამო ბოლშევიკისათვის დამახასიათებელი გამჭრიახობით ამხელდა ძალაუფლების სათავეში გამძვრალი ბურჟუების — ლვოვების, მილიუკოვების, გუჩკოვების, მენშევიკების — ჩხეიძე-ჩხენკელის ტიპის რეაქციონერების საქმიანობას, მათს სრულ უმწეობას მშრომელთა მოთხოვნების ან რაიმე მნიშვნელოვანი რევოლუციური აქტის განხორციელებაში, იგი წერდა: „ძველი წყობილება შეცვალა ახალმა, მაგრამ, მე მგონია, რომ ადამიანები, რომლებიც მთავრობის სათავეში გაძვრნენ, უმწეონი არიან გააკეთონ ხეირიანი რამ“ [2].

1917 წლის 6 მარტს კამო განთავისუფლდა ხარკოვის საკატორღო ციხიდან და თბილისში ჩამოვიდა. მისი ჯანმრთელობა სერიოზულად იყო შელახული და მალე იგი იძულებული გახდა სამკურნალოდ რაჭაში — უწერას წასულიყო. უწერაში ამ დროს ხე-ტყის დამზადებაზე 80-მდე ჭიათურელი მუშა მუშაობდა. კამო ჩასვლისთანავე დაუახლოვდა მათ და ფართო რევოლუციური პროპაგანდა გააჩაღა. იგი ნიღაბს ხდიდა მენშევიკების კონტრრევოლუციურ-გამცემლურ საქმიანობას და მოუწოდებდა მუშებს გაჰყოლოდნენ მშრომელთა ინტერესების ნამდვილ დამცველებს ლენინსა და ბოლშევიკებს. ამის შემდეგ კამო მცირე ხნით ონში ჩავიდა და სხვადასხვა ნაციონალისტური ჯგუფების წარმომადგენლებთან

---

[1] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 4, გვ. 2.

[2] იქვე, გვ. 1.

კამათში სასტიკი ბრძოლა გააჩაღა ბოლშევიკურ-რევოლუციური პოზიციების დასაცავად [1].

საქართველოში თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ვერ მოახდინა ღრმა და მნიშვნელოვანი ძვრები. ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა („ოზაკომმა"), რომელიც 1917 წლის 18 მარტს შეიქმნა და რომელშიც კადეტებთან ერთად შევიდნენ მუსავატების, ფედერალისტებისა და მენშევიკების პარტიათა წარმომადგენლები, უცვლელად დატოვა ძველი აპარატი, ეკონომიური და პოლიტიკური მწვერვალები კვლავ დარჩა კონტრრევოლუციურ მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელში.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად თითქოს დაშვებული იყო პარტიების „თავისუფალი" არსებობა, შავრაზმელებთან ხელიხელჩაკიდებული მენშევიკები სასტიკად სდევნიდნენ ბოლშევიკებს. მენშევიკებს არ უნდოდათ ეპატიებიათ კამოსათვის წარსული რევოლუციური მოღვაწეობა. ისინი სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ხარკოვის ციხიდან კამოს განთავისუფლებისა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მისთვის სახელის გასატეხად. ძალადობასთან, თვითნებობასა და ცილისწამებასთან ერთად, მენშევიკებს შეეძლოთ კამოს წარსული რევოლუციური მუშაობის დამადასტურებელი მასალების განადგურებაც. ამის გამო 1917 წლისივნისში კამომ მოახერხა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს არქივიდან ხელზე მიეღო ამ მასალების ნაწილი, მათ შორის ბერლინის ფსიქიატრების დასკვნები მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ, მეტეხის ციხესა და მიხაილოვის საავადმყოფოში მეთვალყურეობის შედეგად შექმნილი ჩანაწერები და სხვა ძვირფასი დოკუმენტები, რომლებიც 1954 წლის ივლისში მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს გადაეცა.

---

[1] ცნობები რაჭაში კამოს საქმიანობის შესახებ მიღებული გვაქვს ძველ რევოლუციონერ-ბოლშევიკთან ა. იოვიძესთან გასაუბრების დროს. ამბ. იოვიძე. ამჟამად ცხოვრობს ქ. თბილისში და მუშაობს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის გამგედ.

VII

1917 წელს გაიმარჯვა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურ-მა რევოლუციამ. რევოლუციის გამარჯვებამ პეტროგრადში დასაბამი მისცა ახალ ერას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ერას, უზრუნველყო საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური მსვლელობა, იხსნა რუსეთის განაპირა მხარეების კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნები საკუთარი და უცხოელი კაპიტალისტების ბატონობისაგან. კამო აღტაცებით შეხვდა ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხას და მალე გაემგზავრა კიდეც რუსეთში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიის მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი, გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. კავკასიაში შექმნილ მდგომარეობას მუდამ დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. მათი ინიციატივით 1917 წლის 18 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭომ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნა ამხ. ს. შაუმიანი და გამოჰყო სპეციალური თანხა კომისრის ფონდის შესაქმნელად.

ფული და საგანგებო კომისრის მანდატი, რომელსაც ხელი მოაწერეს ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა, სპეციალური ფელდგერის საშუალებით უნდა გადაეგზავნათ თბილისში შაუმიანისათვის. ეს კი უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. რუსეთის ველებზე დათარეშობდნენ კორნილოვის, კრასნოვის და სხვათა კონტრრევოლუციური ბანდები. ყუბანი და დონი შავრაზმელ კალედინის ხელში იმყოფებოდა; ბოლოს, თვით საქართველოშიც განუკითხავად პარპაშობდა მენშევიკური რეაქცია. საჭირო იყო გამოცდილი კონსპირატორი. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მითითებით ეს საპასუხისმგებლო საქმე კამოს დაევალა. მან ჩვეული ოსტატობით, მშვიდობიანად განვლო გრძელი და ფათერაკით სავსე გზა პეტროგრადიდან თბილისამდე და კიდევ ერთხელ ღირსეულად გაამართლა პარტიის ნდობა.

1918 წლის 10 თებერვალს ქართველმა მენშევიკებმა დაბურეს ბოლშევიკური გაზეთები, დაარბიეს რედაქციები, დახვრიტეს თბილისელ მშრომელთა საპროტესტო მიტინგი ალექსანდრეს ბაღში და დააპატიმრეს კავკასიის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტის მთელი რიგი აქტიური წევრები. ხელმძღვანელი მუშაკების დიდი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. მათთან ერთად კამომაც დასტოვა საქართველო და პეტროგრადში გაემგზავრა.

პეტროგრადში კამო სწორედ იმ დროს ჩავიდა, როდესაც გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ და აიღეს ფსკოვი.

რუსეთის პროლეტარიატი გმირულად ებრძოდა უცხოელ ინტერვენტებს. გამოვიდა დეკრეტი: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია". დაიბადა წითელი არმია. მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში მოქმედებდნენ პარტიზანული რაზმები, რომლებიც არღვევდნენ მოწინააღმდეგის ზურგს, ანგრევდნენ კომუნიკაციებს, სპობდნენ საწყობებს, იარაღის, სურსათის ტრანსპორტებს და სხვ. პეტროგრადის მუშების მთავარ რაზმთან ერთად კამო გაემგზავრა ფსკოვისაკენ, იგი დანიშნული იყო მთავარი ეშელონის კომისრად და მონაწილეობდა ფსკოვისა და ნარვის რაიონში გერმანელების წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებში.

1918 წლის გაზაფხულზე კამო საქართველოში დაბრუნდა და სასტიკი ბრძოლა გააჩაღა მენშევიკების კონტრრევოლუციური დიქტატურის წინააღმდეგ. 1919 წლის მაისის დამდეგს კამო შეხვდა ჩრდილოეთ კავკასიიდან თბილისში ჩამოსულ სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც თითქმის ერთი თვის მანძილზე კამოს კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობდა. მალე პარტიული საქმეების გამო სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვში წასვლა გადაწყვიტა. მისი გამგზავრების ორგანიზაცია კავკასიის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით დაევალა კამოს, რომელმაც უდიდესი ენერგიით მოჰკიდა ხელი ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. კამოს რჩევით დაზუსტდა მარშრუტი. სერგო ორჯონიკიძესთან ერთად ზინაიდა ორჯონიკიძე, ვარო ჯაფარიძე, თვით კამო და სხვები — სულ 13 კაცი — ბაქოზე გავლით, ზღვით ასტრახანში ჩავიდ-

ნენ, შეხვდნენ სერგეი მირონის ძე კიროვს, რომელიც ასტრა-ხანის პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა, და მისი დახმარებით, სპეციალური ვაგონით მოსკოვს გაემგზავრნენ.

მოსკოვში კამო შეხვდა ვ. ი. ლენინს და მუშაობა დაიწყო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

კამო აქტიურ მონაწილეობას იღებდა შინა და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ გაჩაღებულ სამოქალაქო ომში. „კამომ... სამოქალაქო ომის პერიოდშიც ნახა თავისი ადგილი, კვლავ გამოავლინა არაჩვეულებრივი გმირობის მაგალითები“ [1], — წერდა ნ. კ. კრუპსკაია.

ვ. ი. ლენინმა განიზრახა კამოსათვის დაევალებინა განსაკუთრებული რაზმის შექმნა მტრის ზურგში აფეთქებების მოსაწყობად, ხოლო ამისათვის ლენინს საჭიროდ მიაჩნდა კამოს წინასწარ შეესწავლა სამეთაურო საქმე. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს მიმართავდა:

„წინადადებას გაძლევთ

(1) მისცეთ მას საშუალება შეისწავლოს სამხედრო საქმე (მიიღოთ ყველა ზომა დასაჩქარებლად, განსაკუთრებით ლექციების წაკითხვისა და სხვ.).

რა შეიძლება გაკეთდეს?

(2) დაავალეთ მას ჩამოაყალიბოს განსაკუთრებული რაზმი მტრის ზურგში აფეთქებების etc [2] მოსაწყობად“ [3].

სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ შეასრულა ლენინის დავალება და მართლაც 1919 წლის ზაფხულში კამოს ინიციატივით შეკრებილ იქნა გულადი, აქტიური ამხანაგები [4], რომლებიც სწავლობდნენ ყუმბარების კეთებას, ვარჯიშობ-

---

[1] ნ. კ. კრუპსკაია, მოგონებები ვ. ი. ლენინზე, პარტგამომცემლობა, 1933 წ., ნაწ. II, გვ. 165.

[2] და სხვ.

[3] ლენინის კრებული XXXV, გვ. 73.

[4] კამოს რაზმში შედიოდნენ: ს. მახარაძე (დაიღუპა 1920 წელს გიკალოს მთებში მენშევიკებთან შეტაკების დროს), ნ. ნოვიკოვი (ჩამოხრჩობილ იქნა 1920 წლის გაზაფხულზე აზერბაიჯანის მუსავატისტური კონტრრევოლუციური მთავრობის მიერ — ბაქოში ჩამოსულ-დენიკინის დელეგაციაზე თავდასხმის გამო), პარტიული ქალი ა. ნოვიკოვა და სხვ.

დნენ მათ ტყორცნაში, აფეთქებათა მოწყობაში და ემზადებოდნენ რთული საბრძოლო ოპერაციების ჩასატარებლად. სხვადასხვა ხერხებით კამო სცდიდა და ამოწმებდა თავის რაზმელებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულებაში. იყო შემთხვევა, როცა მან ასეთი შემოწმების დროს გამოავლინა კიდეც რამდენიმე მერყევი.

შემოდგომისათვის რაზმი მზად იყო მტრის ზურგში გასამგზავრებლად. კამომ, როგორც მისმა მეთაურმა, 1919 წ. 3 სექტემბერს მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი სპეციალური მოწმობა. მისი ტექსტიდან ნათლად ჩანდა, თუ რა დიდი ნდობით სარგებლობდა კამო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის მხრივ. ვლადიმერ ილიას ძე წერდა: „ამხ. კ. პეტროვს... ვიცნობ პირადად მე. ვთხოვ ყ ვ ე ლ ა ს ა ბ ჭ ო თ ა დაწესებულებას, ს ა მ ხ ე დ რ ო და სხვა ხელისუფალთ აღმოუჩინონ ამხ. კ. პეტროვს სრული ნდობა და ყოველმხრივი დახმარება“ [1].

1919 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში კამოს რაზმი სამხრეთისაკენ გაემგზავრა და მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში ორიოლთან და კურსკთან. სოფ. ალექსანდროვსკოესთან მას შეტაკება მოუხდა თეთრგვარდიელთა დიდ შეიარაღებულ რაზმთან. ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის შედეგად მტერი განადგურებულ იქნა. კამოს გადაწყვეტილი ჰქონდა შემოევლო დენიკინის ფრონტისათვის ასტრახანიდან — კავკასიაზე გავლით და დაერტყა მისთვის ზურგში, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა. ბაქოში ჩასული რაზმის დიდი ნაწილი 24 ნოემბერს მუსავატებმა დააპატიმრეს. კამო იატაკქვეშა მდგომარეობაზე გადავიდა. მან რამდენიმე ამხანაგთაგან ერთად დატოვა ბაქო და თავად წულუკიძის [1] გვარით ჩამოვიდა თბილისში, სადაც ენერგიული არალეგალური მუშაობა გააჩაღა კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

რკპ(ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით 1919 წლის 24 ოქტომბრისათვის განზრახული იყო საქართვე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1928 წ., 15 ივლისი, № 163.

ლოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, მაგრამ აჯანყებამდე ორი დღით ადრე, 22 ოქტომბერს მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა სამხედრო-რევოლუციური შტაბი. რეპრესიები გრძელდებოდა. 1920 წლის 15 იანვარს დაუპატიმრეს კამოც, მაგრამ ორი თვის შემდეგ, 1920 წლის აპრილში მან მოახერხა საპყრობილიდან თავის დაღწევა.

რკპ(ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტის მითითებით კამო გაემგზავრა ბაქოში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში.

კამომ ბაქოს პროლეტარულ რაიონებში (შავი ქალაქი, ბაილოვი, ბიბიეიბათი, რამანა და სხვ.) ჩამოაყალიბა მუშათა რაზმები და მათი დახმარებით აწყობდა შეიარაღებულ გამოსვლებს, თავდასხმებს, აფეთქებებს. იგი ამეღავნებდა კონტრრევოლუციონერთა ზრახვებს. იტაცებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი თეთრგვარდიული ბანდების ოპერატიულ გეგმებს, საიდუმლო ცნობებსა და სხვ.

1920 წლის 28 აპრილს ბაქოში შეესვენდნენ წითელი არმიის ნაწილები, რომელთა დახმარებით აზერბაიჯანის მშრომელებმა დაამხეს მუსავატების საძულველი რეჟიმი; აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამის შემდეგ, პარტიის გადაწყვეტილებით, კამოს მიერ ორგანიზებული რაზმები დაშლილ იქნა, თვით კამო კი მოსკოვს გაემგზავრა. აქ იგი მუშაობდა კრემლში და ცხოვრობდა მთავრობის სახლში (ვოზდვიჟენსკის ქუჩა, სახლი № 5). ცნობილი რევოლუციონერი ქალის — ბოლშევიკ ელენა სტასოვასთან გაიცნო კამომ თანამედროვე სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი და უდიდესი პროლეტარული მწერალი მ. გორკი. გორკის თავიდანვე ღრმა სიმპათია აღეძრა კამოსადმი, რომლის ნათელი ფიგურა იპყრობდა მას თავისი არაჩვეულებრივობით, დიდი გრძნობითა და რევოლუციური გაქანების სიღრმით. მათი შეხვედრები გულთბილი და მეტად ამაღელვებელი იყო. კამო უამბობდა გორკის წარსული რევოლუციური მოღვაწეობისა და საპყრობილეებში გადატანილი ტანჯვის შესახებ, განსაკუთრებული სიძულვილით ლაპარაკობდა იგი

მენშევიკებზე. კამოს აზრით, მენშევიკები ყველაზე საშიში მტრები იყვნენ პროლეტარიატის ყველა სხვა მტრებს შორის, რადგან სიტყვით ისინი მშრომელთა დამცველებად ინიღბებოდნენ, საქმით კი კონტრრევოლუციონერებად — მუშათა კლასის ინტერესების აშკარა მოღალატეებად გამოდიოდნენ.

ალექსეი მაქსიმეს ძე აღტაცებული იყო ამ შესანიშნავი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანით და მოითხოვდა, რომ საბჭოთა ხელოვნებას აესახა კამოს მდიდარი, თავდადებული ბრძოლის ისტორია, რომლის გაცნობა უაღრესად სასარგებლო გავლენას მოახდენდა ახალგაზრდობაზე — განამტკიცებდა მასში რევოლუციის მონაპოვარისადმი სიყვარულს, გმირობის, სიმამაცისა და საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობებს. გორკის ინიციატივით დაიწყო კამოს ბიოგრაფიის სტენოგრაფიული ჩაწერა[1]. 1931 წელს საქართველოს კინო ეკრანზე გამოუშვეს მხატვრული ფილმი „კამო". გორკი გულთბილად, უდიდესი სიხარულით მიესალმა საქართველოს კინომრეწველობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს და წერდა: „სიამოვნებით გავიგე, რომ საქართველოს კინომრეწველობამ გამოუშვა სურათი „კამო". ძალიან მოხარული ვარ. ასეთი ფილმები აუცილებელია. მათი აღმზრდელობითი გავლენა ახალგაზრდობაზე დიდი და ღრმა უნდა იყოს... საჭიროა ვუჩვენოთ კამო ისეთი უბრალო და დამაჯერებელი, ისეთი უსაზღვროდ გაბედული, მშვიდი და ნათელი, როგორიც იგი იყო. ეს იყო ადამიანი პოზის გარეშე, იგი რევოლუციის მხატვარი იყო. გულწრფელად, მთელი სულითა და გულით ვუსურვებ საქართველოს კინომრეწველობას წარმატებებს მის მუშაობაში"[2].

მ. გორკი დაინტერესებული იყო კამოს პირადი ცხოვრებითაც, და დიდი ბწერლისადმი უღრმესი პატივისცემის, მეგობრობის გრძნობით აღსავსე კამოც უზიარებდა მას თავის

---

[1] მათი დამთავრება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა კამოს ტრაგიკულად დაღუპვის გამო. სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც წყდება 1905 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდით, ამჟამად ინახება მარქს — ენგელს — ლენინ სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივში.

[2] „ლიტერატურნაია გაზეტა", 1954 წლის 21 სექტემბერი. № 113.

კამო და აზერბაიჯანიდან მუსავატების
განდევნის მონაწილე, საბჭოთა ჯავშნოსნის
მეთაური ამხ. ეფრემოვი.

1920 წ. 28 აპრილი. ფოტო.

აზრებს სიყვარულზე, მეგობრობაზე. ე. სტასოვასთან კამო გაეცნო და დაუახლოვდა ექიმ ქალს სოფიო ვასილის ასულ მედვედევას, რომელიც მისი ერთგული მეგობარი და მეუღლე გახდა.

კამო რევოლუციურ-ტექნიკური საქმიანობისათვის იყო შექმნილი; იგი შეეზარდა, შეესისხლხორცა, მთელი თავისი სიცოცხლე და შემოქმედებითი ენერგია შესწირა პრაქტიკულ, არალეგალურ მუშაობას, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლას. ამიტომ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში იგი კიდევ დიდხანს იმყოფებოდა ბრძოლის ამ წარსული, იატაკქვეშა მეთოდების შთაბეჭდილების ქვეშ, სწუხდა, ვერ პოულობდა თავის ადგილს, გრძნობდა, რომ არ ჰყოფნიდა თეორიული მომზადების დონე, „სულ ლაპარაკობდა სწავლის გაგრძელების აუცილებლობაზე და ამავე დროს ოცნებობდა სხვადასხვა გმირობაზე“ [1]. ამ დროს, 1921 წლის ზაფხულში, ინახულა მან ვ. ი. ლენინი და მიიღო კიდეც მისგან დარიგება, რჩევა. ილიჩი მოითხოვდა, რომ კამოს, ახალ პირობებთან შეფარდებით, თავისი შემდგომი მოღვაწეობა სამხედრო აკადემიაში სწავლისადმი მიეძღვნა. კამოს წინაშე ახალი პერსპექტივები ისახებოდა და მართლაც, თავისი მეუღლის სოფიო ვასილის ასულ მედვედევასა და სხვა მეგობრების დახმარებით იგი მთელი ენერგიით შეუდგა სწავლას. მეცადინეობასთან ერთად კამო განაგრძობდა პრაქტიკულ საქმიანობასაც.

1921 წლის მაისში იგი დაესწრო რკპ(ბ) მეათე კონფერენციას, რომელზედაც კვლავ შეხვდა და ესაუბრა ვ. ი. ლენინს. კამოს სურდა პარტიის დავალებით საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. ამ მიზნით, ერთი თვის შემდეგ, ივნისში — კომინტერნის მესამე კონგრესის გახსნის წინ მან ილიჩს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა: „დიდად პატივცემულო და ძვირფასო ვლადიმერ ილიას-ძევ! რკპ პარტიული

---

[1] ნ. კ. კრუპსკაია, მოგონებები ლენინზე, პარტგამომცემლობა, 1933 წელი, ნაწ. II, გვ. 165.

კონფერენციის დროს მე გაცნობეთ ჩემი სურვილი მესაუბრა თქვენთან ჩემი ახალი, შესანიშნავი გეგმების შესახებ. ეს გასაუბრება შეიძლება შედგეს თქვენი სეირნობის ან დასვენების დროს და ოდნავადაც არ დაგღლით. იქნებ თქვენ ცნოთ, რომ ჩემი მოსაზრება მეტად ძვირფასია, სოლო მისი განხორციელება ახლანდელი მომენტისათვის დიდად მნიშვნელოვანი. თუ არადა, მიიღებთ მას თავშესაქცევ რაიმედ და, როგორც გჩვევიათ, გულიანად გაიცინებთ.

მე მინდოდა მოგესმინათ ჩემთვის კომინტერნის კონგრესის დაწყებამდე ან მისი გახსნის წინ. თქვენი ერთგული კამო" [1].

კამოს მეუღლე სოფიო ვასილის ასული მედვედევა — ტერ-პეტროსიანი იგონებს: „კამოს წინადადებამ, რასაკვირველია, ძლიერ გააცინა ლენინი, მაგრამ ილიჩმა მისთვის დამახასიათებელი ადამიანურობით მოთმინებით აუხსნა კამოს შეცდომა, რომელიც დაუშვა მან მაშინდელ მომენტში ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებისას" [2].

ვლადიმერ ილიას ძის სურვილის თანახმად კამო მიმაგრებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოზე, როგორც განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი. 1921 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დავალებით კამო თეირანს იმყოფებოდა, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ კი ჩამოვიდა თბილისში.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით 1922 წლის 8 მაისს კამომ მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის საბაჟოს საოლქო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. ამ ორგანიზაციის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები იგრძნობოდა, მაგრამ კამოს ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად მდგომარეობა სწრაფად გამოსწორდა. მალე აღნიშნული დაწესებულება გადაიქცა სისხლსავსე, აქტიურ ორგანოდ,

---

[1] ლენინის კრებული XXXV, გვ. 264.

[2] მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, კამოს პირადი ფონდი, საქმე 6, გვ. 25.

რომელიც წარმატებით იბრძოდა კონტრაბანდისტებისა და მათი ტიპის კონტრრევოლუციონერების ათასგვარ შენიღბულ აგენტთა წინააღმდეგ.

1922 წ. 14 ივლისს კამო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იყო გამოძახებული სხვა, კიდევ უფრო მაღალ და საპასუხისმგებლო სამუშაოზე გადასაყვანად, მაგრამ ამავე დღეს მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ უაზროდ იმსხვერპლა ეს მგზნებარე რევოლუციონერი და სამუდამოდ შეწყვიტა მისი გულისცემა.

14 ივლისს, საღამოს 11 საათზე ვერის (ამჟამად ელბაქიძის) დაღმართზე სწრაფად დაშვებული ველოსიპედით კამო ავტომობილს დაეჯახა. დაჯახების ძალამ იგი ქვაფენილზე გადაისროლა. კამო სასწრაფოდ წაიყვანეს მიხაილოვის საავადმყოფოში, მაგრამ მიღებული ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა და დაშავებიდან ორსაათნახევრის შემდეგ, 1922 წლის 15 ივლისს იგი გარდაიცვალა.

კამოს ნეშტი შრომის სასახლეში დაასვენეს. მიცვალებულთან გამოსათხოვრად მოდიოდნენ მუშები, მოსამსახურეები. სასახლის დიდი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. აქ იყვნენ: რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების, კომუნისტური ახალგაზრდობის ც. კ-ის, წითელი არმიისა და მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მრავალრიცხოვან გვირგვინებს შორის კამოს კუბოსთან ეწყო გვირგვინები, რომლებზედაც ეწერა: „დაუვიწყარ კამოს — ლენინისა და კრუპსკაიასაგან“, „პროლეტარული რევოლუციის მუდმივ დარაჯს — რ. კ. პ (ბ) ც. კ-საგან“.

კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები ვოროშილოვი და ფრუნზე წერდნენ: „ღრმა მწუხარებით გავიგეთ ჩვენ რევოლუციის ძველი ვეტერანის ამხ. კამოს უდროოდ დაკარგვა. გამოვსთქვამთ საქართველოს პროლეტარიატის წინაშე უღრმეს გულისტკივილს მისი რიგებიდან ამ ახალი დანაკლისის გამო. ღრმად გვწამს, რომ ამხ. კამოს ხსოვნა მუდამ წმინდად იცოცხლებს არამცთუ საქართვე-

ლოს, არამედ რუსეთის პროლეტარების გულშიაც კი"[1]. კამოს სიკვდილს უდიდესი გულისტკივილით შეხვდა ს. მ. კიროვი. „შეუბრალებელმა ტრაგიკულმა სიკვდილმა, — წერდა იგი, — რომელმაც გამოსტაცა ჩვენს რიგებს ამხ. კამო, — ერთი ცნობილი კომუნისტთაგანი, ჯერ კიდევ ძალღონითა და ენერგიით სავსე ამხანაგი, — თავზარი დაგვცა თავისი მოულოდნელობით. რა მწარე ირონიაა! კამო, რომელმაც არა ერთხელ გამოსცადა სახრჩობელას ბაწარი მეფის ჯალათებისაგან, პოულობს თავისი დაუდგრომელი სულის განსვენებას უბრალო შემთხვევით. ამხანაგ კამოს სახით ჩვენ დავკარგეთ უძველესთაგანი და აქტიური წევრი ჩვენი პარტიის სახელოვანი გვარდიის ოჯახისა"[2].

კამოს დაკრძალვა მოხდა 1922 წლის 18 ივლისს პუშკინის ბაღში. საქართველოს და ამიერკავკასიის პროლეტარიატი უდიდესი მწუხარებით გამოეთხოვა კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს. დაკრძალვის წინ სიტყვებით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ა. მიასნიკოვი და რევოლუციური მოძრაობის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. 1922 წლის 17 ივლისს კამოს ხსოვნის პატივსაცემად გაიმართა თბილისის კომიტეტის სპეციალური პლენუმი. მისმა მონაწილეებმა მოისმინეს სიტყვები კამოს რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. კამოს სახელის უკვდავსაყოფად დიდი მთავრის ქუჩას, სადაც იგი ცხოვრობდა, ეწოდა კამოს ქუჩა. კამოს სახელი მიენიჭა აგრეთვე ერთ-ერთ ქარხანას თბილისში, რამდენიმე საბავშვო და დასასვენებელ სახლს საქართველოს კურორტებზე. 1924 წლის 27 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მესამე წლისთავთან დაკავშირებით, სამოქალაქო ომში გამოჩენილი გმირობის გამო კამო დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

მგზნებარე რევოლუციონერის კამოს გმირული სახე მუდამ ცოცხლობს საბჭოთა ადამიანების გულში. მისი სახელი

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ., 18 ივლისი, № 162.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ., 20 ივლისი, № 164.

განსაკუთრებით ძვირფასია საქართველოს მშრომელებისათვის, რადგან, მან სწორედ აქ დაიწყო თავისი რევოლუციური მოღვაწეობა და თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად იბრძოდა ცარიზმის, ბურჟუაზიისა და კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ხალხის ბედნიერი მომავლისათვის.